

180/3  
1936

31

6.1.3.

ეროვნული  
გეგმითობა



180/3

საბჭოთა  
ხალხობრივა

15  
9-10

## కొఠిచుట్టు

ఎస్. సిఫోల్గింగ్స్ కోమిసరీస్ రైప్పులు	
భారతీక్రియామ్యూల్స్ .....	1
2. భారతభూతా. మిస్యున్యూషన్ కూర్తులు క్షేత్రా- వ్యాపిస్ డ్యూక్స్ గామి .....	3
మాల్వా గుహాలింపి. కూర్తులు ఉపర్యుధిస్ గానాక్ల్యామ్యూల్స్ భార్యమ్మి .....	6
3. ఎత్తించిప్పిల్లా. మార్శిల్లా దుష్టించిస్ 10	
టాటాపిల్లిస్ అంబురుల్లా. కుల్చిస్ వ్యాపారాలు	
గూళుల్లాప్రీమియమ్ .....	13
4. కొత్తాతిప్పిల్లా. బ్రూన్స్ ఆపిల్లిస్ ల్యాఫ్ట్- ల్లిస్ వ్యాపారమ్మీ భార్యల్లా మిస్సిప్పుల్లి కొర్కుల్లి	
మిస్ట్రీస్ ప్రోఫెసర్స్ .....	18
5. కుల్చిల్లా. బున్ను ఉన్నిప్పుల్లిని ..	30
6. కింగ్స్. సాక్సాల్స్ మెట్రిపుల్లి డి. న. గుప్త- మ్మిల్లి .....	36
7. లెప్పుల్లా. గౌరిస్ ఘాఫ్యేగ్మార్యుధిస్ క్షే- త్రామింపుల్లి వ్యాపా .....	39
8. కొప్పల్లాప్. బాక్స్ మెట్రిపుల్లి క్షేత్రా ..	42
<b>అప్పాత్తిలో వెత్తించిస్ మాసాల్చేపి</b>	
9. పిప్పిల్లా. కుమిల్లిని సిట్యువా మూర్ఖించి కొర్కీ పిప్పిల్లిని క్షేత్రా .....	43
10. కుల్చిల్లా. కొర్కీ మెస్సి ..	46
శాఖలు .....	48

## పొర్కు వ్యాపారాలు

అంబురుల్లా సత్తాల్లిని (గుర్తుప్పుల్లా)

1. క. యాంగ్లినిప్పిల్లా స.స.స. ర్యూష్యుప్పుల్లిని  
సాక్సాల్స్ వ్యాపారాలు

## ప్రధానీ

అంతిమశాఖల్లా ఇం మిస్సి సామానించిస్ అంత-  
మిసిప్పిల్లా మెట్రిపుల్లి క. క్రిష్ణల్లి శ్రీమిల్లి

პასუნისშვებელი გამოშვები—

ს. ი. აბულაძე

კორექტორი—

ნ. ბ. გალანი

მეტრამპაფი—

გ. ი. შავლაშვილი

ილუსტრაცია დამზადდა სახელგამის ცინკო-  
გრაფიკის ცინკოგრაფები—

გ. ნ. გოგიჩაშვილი

ჭ. გ. ალექსო

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის  
პროსპექტი № 21, ტელეფონი 3—09—64

მიღება ყოველდღე, გარდა გამოსასვლელ დღე-  
ბისა, 2-დან 5 საათამდე.

თბილისი. გამოცემის მეორე წელი. 4 ბეჭდვითი  
ფურცელი. მასალების ჩაბარება 20/XII-36 წ.  
წელმოწერილია 20/II-37 წ. შეკ. № 1424. ტი-  
რაჟი 2300. მთავლიტი 7029. სტამბა „ტექნიკა  
და შრომა.“ თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

**Х сабчота 9-10**  
**Хеловнеба**

**Журнал литературоведения и искусства**

Орган Управления по делам искусств  
при СНК ССР Грузии

შესაბამის დოკუმენტთა ცვლილებებისა, გადახურვისა!

# საბჭოო ფორმა წერტილი

საქართველოს სახმარებელი სამინისტრო  
სამსახურის მიერ გადახურვის მიზანი


სსრ სახმარებელოს აღმასრული ხელოვნების  
სამსახურის მიერ გადახურვის მიზანი

ამ ფორმას გადახურვის რიგით ა. ი. რ უ ს რ ე ბ ა ვ ა  
პ/ვ. რ ე ბ ა ვ ა მ თ მ ი ს ა მ ი ს ა მ ი ს ა მ ი ს ა  
ა მ ი ს ა მ ი ს ა მ ი ს ა მ ი ს ა მ ი ს ა მ ი ს ა მ ი ს ა



9-10

1 9 3 6



0. სტანისლავ



# ხასახ შოთა ხადოვნება

## სოციალიზმის კონსტიტუცია დამტკიცებულია

ამიერიდან გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუცია საბჭოთა ხალხის ცხოვრების ურყევი კანონი გახდა.

გაიღლის საუკუნეები, და ხალხთა შეგნებაში წარიხოცება ის დრო, როდესაც ადამიანი ექსპლოატაციას უწევდა ადამიანს, როდესაც ერთი მუჭა უსაქმურნი და პარაზიტინი სცხოვრობდენ მშრომელი მასების ხარჯზე. მაგრამ კაცობრიობის მეხსერებაში მუდამ იბრწყინვებს ლირსშესანიშნავი თარიღი, როდესაც მრავალერინმა საზოთა ხალხმა მიიღო თავისი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების ძირითადი კანონი.

კონსტიტუცია ერთსულოვნად მოიწონა მთელმა ხალხმა. რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა კონსტიტუციის საყოველთაო — სახალხო განხილვა, რამდენ უდიდესი სარგებლობა მოიტანა. განხილვაში შესძრა კილით — კილებური ჩვენი ქვეყანა. სსრ კავშირის მშრომელნი სიხარულის უდიდესი მღელვარებით, თავის ხალხისათვის, თავისი სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით, იხილავდნენ პროექტს, რომელიც ნაყოფია სოციალისტური მშენებლობის უდიდესი ისტატის — ამხანაგ სტალინის კალმისა. ყველას გული ყრილობის დელევატთა გულთან ხმაშეწყობილად სძევრდა, როდესაც ამხანაგი სტალინი თავის ისტორიულ მოხსენებას აკეთებდა. საბჭოთა მიწა-წყალის საუკეთესო ადამიანებმა, ამ მიწა-წყალზე მცხოვრებ ათობით ხალხთა წარგზავნილებმა, გამგზავნელთა ძმედები და ნუობა გაამართლეს, მიიღეს რა მუხლობრივად წაკითხვით კონსტიტუცია — ახალი საზოგად იუბრივი წყობილების ეს ოქროს წიგნი. საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგად ყრილობამ კონსტიტუციის თავდაპირველ პროექტში შეიტანა 43 შესწორება, მათ შორის შეიღი არსებითი.

სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას სამართლიანად ეწოდა სტალინური კონსტიტუცია. ეს გენერალური ლიკურენტი, რომლითაც ახალი ხანა იწყება კაცობრიობის ცხოვრებაში, ისტორიაში შევა ამხანაგ სტალინის სახელთან განუყრელად დაკავშირებული, გინაიდან სტალინი ლენინს გვერდს უდგა და ისე ზრდიდა და აწრთობდა ჩვენს დიად პარტიას. ლენინთან ერთად იგი აკრივებდა მუშათა კლასის ძალებს და მოაწყო მისი გამარჯვება ბურჟუაზიაზე. მან ლენინთან ერთად დაიცა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლება უთვალავი მტრებისაგან. ლენინის გარდაცვალების შემდეგ მან მოაწყო სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებანი ჩვენს ქვეყანაში. ლენინურ-სტალინურმა პარტიამ, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და ამხანაგ სტალინის მეთაურობით, ჩატარა უდიდესი გარდაქმნითი მუშაობა, რომლის ნაყოფი განსახიერებულია კონსტიტუციაში.

სტალინური კონსტიტუციის ძლიერება და სიღიადე იმაშია, რომ იგი — სოციალიზმის გამარჯვებათა სარკეა. მისი კარები და მუხლი მეტყველებენ არა იცნებებსა და დაპირებებზე, არა გეგმებსა და მისწრაფებზე, არამედ უზუავრებელ ფაქტებზე, და ამასთან უდიდესი მნიშვნელობისა და არაჩვეულებრივი ძლიერების ფაქტებზე. სოციალისტური წყობილება პირველად აძლევს მშრომელებს არა მარტო უფლებებს, არამედ მათი ნამდვილად განხორციელების შესაძლებლობასაც.

ყოველი მშრომელისათვის ჩვენს ქვეყანაში და მისი საზღვრების გარეშე ცხადია, რომ სტალინური კონსტიტუცია — სიხალულის უფლებაა, ბედნიერების უფლებაა. ამიტომ არის ასე უსაზღვრო საბჭოთა ხალხის ზემო და აღტავება. საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო მეტ III ყრილობამ ყველა მშრომელის გრძნობები და ნებისყოფა გამოჰქმდა, კონსტიტუციის მიღების დღე 5 დეკემბერი — საყოველთაო სახალხო დღესასწაულად რომ გამოაცხადა. სახელოვან რევოლუციურ თარიღებს, რომელსაც სსრ კავშირში ვღოვსასწაულობთ, მიემატა სოციალიზმის ქვეყნის ძირითადი კანონის დაბადების თარიღი.

ჩვენი ძირითადი კანონი, როგორც ცა დედამიწისაგან, ისე განსხვავდება ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან, სადაც მარქსის გესლიანი და სამართლინი შენიშვნით, „თვითეული მუხლი.... შეიცავს თავის საკუთარ წინააღმდეგობას,

სოციალიზმის  
ერთსითურია  
დაგრივი განვითარების

თავის საკუთარს ზედა და ქვედა პალატას: თავისუფლებას — ზოგად ურაზებში, თავისუფლების გაუქმებას — შენიშვნებში“.

სტალინური კონსტიტუცია მსოფლიოში პირველად ამტკიცებს, მშრალმეულების თა უფლებებს არა უსახური ზოგადი ფრაზებით, რომელსაც არარამდება სათანადო შენიშვნებით, არამედ როგორც სრულუფლებიან კანონის — უკანასკნელი უკე განხორციელებული სოციალისტური წყობილების ურუკე გაზას ემყარება. აქედან გამომდინარებს მისი უსაზღვრო მექანიზმი, მისი ბრძნული სისადავე, მისი აღმატებელი სიდიადე.

ამაშია მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ურუკე ძლიერების წყარო. ათასი წლების მანძილზე სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ექსპლოატორებს ჯერნდათ ხელში ჩაგდებული, ხალხის მტერი იყო, და ხალხის მასებს სტულდათ ეს ხელისუფლება. დიადმა სოციალისტურმა რევოლუციაში წარმოშვა საბჭოთა ხელისუფლება — ახალი ტიპის სახელმწიფო. სტალინური კონსტიტუცია „გამოდის იქიდან, რომ საზოგადოებაში უკე აღარ არიან ანტა-გონისტერი კლასები, რომ საზოგადოება შესდგება ორი ერთმანეთის მეგობრული კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან, რომ ხელისუფლების სათავეში დგანან სწორედ ეს მშრომელი კლასები, რომ საზოგადოების სახელმწიფო ხელმძღვანელობა (დექტატურა) ეკუთვნის მუშათა კლასს, როგორც საზოგადოების მოწინავე კლასს, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განვიტკიცოთ საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია მშრომელებისათვის“. (სტალინი).

ჩვენი კონსტიტუცია ამტკიცებს ისეთ საზოგადოებრივ წყობილებას, რომლის დროს ხალხი თავისუფლად და მშვენიერად სტრომბის, რომლის დროსაც საზღვრი არა აქვს ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერების ზრდას. კონსტიტუციის მიღება — უმნიშვნელოვანების ნაბიჯია სოციალისტური წყობილების, საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისათვის. ვაი მას, ვინც გაბედავს, ხელი ახლოს ჩვენს წყობილებას, ჩვენს სამშობლოს!

„რუსეთი ყველაზე მოკიაცე დემოკრატია იქნება დედამიწაზეო“, — წინასწარმეტყველებდა რეაგიის წლებში რევოლუციის სახელოვანი გრიგორია, დიდი პროლეტარული მხატვარი მ. გორეკი. მისი წინასწარმეტყველება აღსრულდა!

საყოველთაო სახალხო, ბოლომდე თანმიმდევრული სოციალისტური დემოკრატიზმის დროშა ძლიერი მოსილად ფრიალებს ჩვენს ქვეყანაში. და ეს იმ დროს, როდესაც ფაშიზმი მღვრიე ტალღად ედება კაპიტალის ქვეყნებს, აკუთხნებს რა მასებს უტყვია და უნებისყოფო პირუტყვის როლს, უკუაგდებს რა ეკროპის ოდესალაც მოწინავე ქვეყნებს კაცი-ჭარიობის დროის ზნეშეიულებებისაკენ. სტალინური კონსტიტუცია გამანადგურებლად ძლიერ ლახვარს სცემს კაცმოძულე ფაშიზმს, მისი ტროკისტულ-ზინოვიევლ ნაბოლარებსა და მათ ხელის შემწყობთ მემარჯვენე განდგომილთა რიცხვიდან.

საბჭოთა კავშირი — ერთად ერთი ქვეყანაა, რომელიც ბოლომდე თანმიმდევრულად ატარებს მშვიდობის პოლიტიკას. ჩვენს პარტიას, საბჭოთა მთავრობას არა აქვს და არც შეიძლება ჯერნდეს სხვა ინტერესები, გარდა მშრომელთა მასების ინტერესებისა, რომლებიც მშვიდობიანად აშენებენ სოციალისტური საზოგადოების მშვენიერ შენობას, მაგრამ თუ ფაშისტი აფირები შეეცდებიან ჩვენი მშვიდობიან შრომის დარღვევას. ისინი ხელს მოაწერენ თავის სასიკვდილო განაჩენს. საბჭოების ყრილობაზე და მთელს ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციის კის მიღების დღეებში ხმაშალლა გაისმოდა სიტყვები: ჩენ გვაქვს ის, რაც უნდა დავიცათ, გვყანან ისინი, ვინც უნდა დაიცვას, გვაქვს ის, რითაც უნდა დაგრიცათ! ყრილობამ მიიღო შესწორება თავდაცვის ძრეშველობის სახლი კომისარიატის მოწყობის შესახებ. ეს შესწორება შეესაბამება მშრომელი მასების აშეარად გამოხატულ ნებისყოფას.

„ამიერიდან იწყება რუსეთის ისტორიის ახალი ხანა „განაცხადა ლენინმა 1917 წლის 7 ნოემბერს. ახალი ხანა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უკე დიდი ხნია მოელი კაცობრიობის განთავისუფლების განთიადად იქცა. სტალინური კონსტიტუცია — ამომავალი მზის მძრტენავი სხივა ექსპლოატიციის და ჩაგვრის ცის ტარნობზე, რომელიც ასე მძიმედ დასწოლია დედამიწის მოსახლეობის უშრავლესობის. იგი ასახიერებს საკუთხესო იმედებსა და ზრახვებს ასობით მილიონებისას, რომლებიც ჯერ კადევ იტანჯებიან მძრაცებელი კაპიტალის ბრჭყალებში. იგი მათ უჩვენებს გამოსავალს მონობიდან, უნათებს მათ ბრძოლისა და გმარჯვებათა გზას.“

სტალინური კონსტიტუცია გვისახავს წინ, კომუნიზმისაკენ მოძრაობის თვალშემდეგ პერსპექტივებს, ვინაიდან მის მიერ გარანტირებული თვითეული შრომის უფლება ნიშნავს უფრო და უფრო კვალიფიციური, შემოქმედებითი, ნაყოფიერი, სასიხარულო შრომის უფლებას. დასვენების უფლება თვითეულ შრომელს აძლევს კულტურულ ლიტერატურულ ბათა გასაღებს, რომლებიც ექსპლოატატორი კალასები ცხრაკლიტურში ინავადნენ. განათლების უფლება ნიშნავს იმას, რომ მასები უფრო და უფრო ეზიარებიან მეცნიერებისა და ცოდნის საგანმურებლს.

იღებს რა კონსტიტუციას, საბჭოთა ხალხი წმინდა ფიცს სდებს შეინახოს ოგი თვალის ჩინიგით და დაიცვას იგი უკანასკნელი სისხლის წვეთამდე.

„პრაფლა“, 1936 წ. 6 დეკემბერი.

## ა. დუღუჩავა

# მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის გამო

საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხი თავისი ზეპირისტყვაობითი შემოქმედების სხვადასხვა სახეში, ბასრი ჰუმორისა და სატირის ფორმით, გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას ქვეყნის ფეოდალურ მხაგრელებისა და უცხო დამპყრობელებისადმი. ქართველი ხალხის მშრომელთა ფენა ცეკვებსა და სიმღერებში ასახვდა თავის გაჭირებას და დუხშირ ცხოვრებას, მშრომელი ხალხი მოთქვამდა თავის ტანჯვაზე საერო და სასულიერო ფეოდალების ულლის ქვეშ.

ქართული ხალხური შემოქმედება—ეს არის თვალსაჩინა და ცოცხალი ისტორია იმ ბრძოლების, რომელსაც ქართველი ხალხი აწარმოებდა თავის განთავისუფლებისათვის. მაგრამ ისტორიის ამ მხარეს არ თუ არ აქცევდნენ ყურადღებას გაბატონებული კლასები, არამედ ხელოვნურად ცდილობდნენ მიერქმალათ ქართველი ხალხის ეს ნამდვილი ბიოგრაფია.

ჯერ კიდევ 1885 წელს ქართული ლიტერატურის კლასიკის ილია ჭავჭავაძე ჩინდა, რომ ოფიციალურ ისტორიიდან, რომელშიც ქართველ მეფეთა გმირობაზეა ლაპარაკი, გამოთიშულია საზოგადოებრივი მოძრაობის ძირითადი ფაქტორი—ხალხი, ეს ხარები კი აუცილებლად უნდა შეივსოს.

მაგრამ ხალხური შემოქმედების ძალა თვითონ ლაპარაკობდა თავის თავზე. ქართული ლიტერატურული შემოქმედების უდიდესმა კორიფეებმა ვერ აუარეს გვერდი იმ სიმდიდრეს, რომელიც დაგროვილია სიტყვიერ ფოლკლორში. თვით ისეთმა გენიოსმა, როგორიცაა შოთა რუსთაველი, თავის უკვდავი პოემისათვის გამოიყენა სტყვიერი ფოლკლორის ცალკეული შემოქმედებითი ფორმულები.

ბეკიკი, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი თავიანთ შესანიშნავ თხუზულებებში საზროვნობდნენ ხალხური შემოქმედების უშუალო წყაროებით. სწორედ ამ ხალხურმა შემოქმედებამ იქინია გავლენა პროფესიული ქართული ხელოვნების განვითარებაზე. პქონდა რა საუკუნოებრივი კულტურული ტრადიცია, ქართულმა ხელოვნებამ თავის არაჩვეულებრივ აყვავებას მხოლოდ საბჭოთა წყობის დროს მიაღწია, ქართული ხელოვნების აღმოჩენისა მხოლოდ ლენინერ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკის სწორი გატარების პირობებში მოხდა; ამ პოლიტიკამ უზრუნველყო ხალხური შემოქმედების მდიდარი თავისებურების მთლიანი გამოვლენა და მისი გამოყენება სოციალისტური კულტურის მშენებლობისათვის.

მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადა იქნება იმ სიძლიერის დემონსტრაცია, რომელსაც მიაღწია ქართულმა ხელოვნებამ მხოლოდ ჩვენს დღეებში, გამარჯვებული სოციალიზმის დღეებში.

დეკადაზე ნაჩვენები იქნება საქართველოს საუკუთესო საოპერო ნაწარმოებები, დემონსტრირებული იქნება ხალხური ცეკვები და ხალხური გუნდური შემოქმედება.

ქართულ საოპერო შემოქმედებას ძალიან მოკლე ისტორია აქვს. მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში შედგა ის მუსიკალურ პროფესიონალიზმის გზაზე. ამას ხელი შეუწყო, უმთავრესად, იმ დიდა მეცნიერულ-მხატვრულმა ინტერესში, რომელიც გამოწვეული იყო ქართული ვოკალური ფოლკლორის თავისებური სტრუქტურით. სწორედ ამან გაულვივა ხალხური სასიმღერო შემოქმედების მასალების შეკრებისა და დამზადების სურვილი ცალკეულ კომპოზიტორებს და ენტუზიასტებს.

ამ საქმეზი დიდი როლი ითამაშა მხცოვანმა კომპოზიტორმა იპოლიტოვ-ივანოვმა, რომლის ოპერა „ლალატი“ (სუმბათაშვილის პიესის მიხედვით). გამსჭვალულია ქართული სმღერის მელოდიებით.

მაგრამ დაუფასებელი სამსახური ქართულ მუსიკას გაუწიეს კომპოზიტორებმა ფალიაშვილმა და არა აკაკი შვილმა, რომელთაც ეკუთვნით ქართული პროფესიული საოპერო შემოქმედების დამაარსებელთა ისტორიული როლი.

მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული ფოლკლორი იყო ის უშუალო წყარო, რომელიც ასაზრდოებდა ქართველ კომპოზიტორებს. სწორედ ამით აიტენდა ის, რომ ქართული ოპერა უმთავრესად ვითარდებოდა ხალხური სიმღერის გავლენით; მაგრამ რა თქმა უნდა, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ თითქო ქართველი კომპოზიტორები თავიანთ შემოქმედებას ამჟყვდევნენ ვიწორ ეზნოგრაფიულ ჩარჩოებში და განზე იღვნენ თანამედროვე მუსიკის მიღწევებისაგან. პოლიფონიურ ხეათამცირების უდიდესი რუსი სატარის ტანევის მოწაფემ, კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა თავის ოპერაში წარმატებით და ამავე დროს კრიტიკულად გამოიყენა რუსული მუსიკალური კულტურის ტრადიციები და ეგროპული მუსიკალურ აზროვნების კომპოზიციური ტექნიკის ცალკეული ლექციები. კველა ამ მიღწევას კომპოზიტორი უქვემდებარებს თავის ძირითად ამოცანას, რომელიც მდგომარეობს მიაში, რომ მეცნიერულ-მუსიკალურად ათვისებულ იქნას ქართული მელოდია, როგორც ნაციონალური საოპერო შემოქმედების განმსაზღვრელი ხაზი.

კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი, ავტორი ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, გვევლინება სიმფონიურ მუსიკის დიდ მცოდნედ და მაღალი კომპოზიციური ტექნიკის სატარად. აგრეთვე ისიც თავის შემოქმედებაში თანამედროვე მუსიკის მიღწევებს



აძლევს ერთს მიზნობრივ დანიშნულებას — ხალხური სა-სიმღერო შემოქმედების გახსნა და დამუშავება, რათა მიღწეულ იქნას ნაციონალური მუსიკალური სახის მაქსი-მალური გამოსახულება.

ქართული ხელოვნების დეკადაზე ნაჩვენები იქნება კომპოზიტორ ფალიაშვილის ორი ოპერა „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“. ორივე ოპერაში ავტორი უშუალოდ მიმართავს ფოლკლორის მასალებს, რომელიც გადამუშავებულია სათანადოთ და იმავე დროს შენარჩუნებულია, როგორც აღმოსავლეთი ისე დასავლეთ საქართველოს სიმღერათა თავისებური კოლორიტი.

კომპოზიტორი ზაქ. ფალიაშვილი, თავისი ოპერების მხოლოდ ზოგიერთ საგუნდო ადგილებში ხელუხლებლად იყენებს ცალკეულ ხალხურ მელოდიებს, რომელსაც ის სათანადო ორკესტროვას უკეთებს. მაგრამ მთელ თავის შემოქმედებითი ხას ზაქარია ფალიაშვილი განსაზღვრავს ხალხური სასიმღერო შემოქმედებისადმი ისეთი მიღო-მით, რომელიც კომპოზიტორს შესაძლებლობას მისუმს გამოიყენოს სიმღერათა მხოლოდ ინტონაციები, როგორც ძირითადი მელოდიური საშუალება მუსიკალური ფრაზის (ცხადყოფისათვის). ამის ღლუსტრაციაა აბესალომის შესანიშნავი არია (III აქტი), რომელშიაც ისნება თანდა-თანობითი მზარდი დრამატიული დაძაბულობა, აბესალომის და მურმანის დუეტი (IV აქტი), რომელიც წარმოადგენს ხალხური მელოდიის დამუშავებას და ლირიულ დიალოგში ხსნის აბესალომის სიყვარულის მთელ ტრა-გედიას.

ოსტატურად იყენებს აგტორი აგრეთვე ქართული რომანსის დამახასიათებელ თვისებებს — ეს არის ერცელი, გაგრძელებული სასიმღერო კილო სიმღერის მელოდიური სურათის დაკვით (მაროს არია — „დაისი“). ის იყენებს აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს დამახასიათებელ თავისებურობას — მელოდიურ რეჩიტატივებსაც („სულო ბოროტო“ — „დაისი“).

ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ ქართველი ხალხის საყვარელი ოპერებია. ქართული სასიმღერო ფოლკლორის გულითადი ლირიზმი და წარმტაცი რომანტიკა ამ ოპერებში ლაპარაკობენ მთელი თავიანთი გამომსახულობით. მშენიერი მელოდიები და თავისებური აღმოსავლური კოლორიტი, ეს არის დამახასიათებელი თვისება ამ ოპერებისა. „დაისი“ დაწრილია 1924 წელს, ხოლო „აბესალომ და ეთერი“ 1913 წელს. ამ ოპერებმა სათანადო გაფორმება მიიღეს მხოლოდ საბჭოთა საოპერო სკუნაზე, ჩერნი დღეებში, როდესაც ნამდვილი ხალხური ხელოვნებისადმი სიყვარული და მხრუნველობა განსაზღვრავნ სოციალისტური ქვეყნის კულტურულ მშენებლობის ყოველდღიურობას.

ხალხური სასიმღერო შემოქმედების განსაკუთრებით დაცვისა და მთლიანად ათვისების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძე. მან გაამდიდრა ჩერნი ქართული სარომანსო ლიტერატურა, რაშიაც გამოიყენებული აქვს ხალხური მუსიკის ელემენტები. ბალანჩივაძე მთელს თავის შემოქმედებაში უარყოფს ხალხური შემოქმედების ნიმუშების მზა სახით მიღებას და მათი ხელოვნურად შეკრიტებას თავის ნაწარმოებებთან: კომპოზიტორი იხდენს ხალხური შემოქმედების ელემენტების დიფერენციალის, სტრატურად ამუშავებს მათ და გადააქვს რა ორკესტრზე ან ვოკალურ პარტიებში, აღწევს მუსიკალური სახის შემოცურ ექსპრესიას და ლამაზო მელოდიის შექმნას.

ამის ილუსტრაციაა მისი ყველა რომანსი, აგრეთვე ოპერა „დარეჯან ცბიერი“, რომელიც გაულენთილია ქართული სიმღერის მშვენიერი და მომხიბვლელი შემოქმედებით.

მუსიკის ყველა ქანტის, როგორც „დიდის ისე პატარის“ — რომანსები, სიმღერნია, ოპერა — ორგანიული განვითარება დაიწყო მხოლოდ საბჭოთა წყობის დამყარებით საქართველოში. მხოლოდ განთავისუფლებულ შრომის ქვეყანაში შეიქმნა შესაძლებელი ხალხური შემოქმედების მთლიანი გამოვლინება და სოციალისტური კულტურის მშენებლობისათვის მისი სათანადო გამოყენება.

ის გარემოება, რომ 1936 წელს ჩენ გვაქვს 12 ორიგინალური ოპერა, რომელთა საგრძნობი უმრავლესობა შექმნილია საბჭოთა წყობის პირობებში, მრავალი სიმღერნი ნაწარმოებით და მდიდარი სარომანსო ლიტერატურა, საბჭოთა საქართველოს მუსიკალური კულტურის სწრაფი ზრდის ცოცხალი ილუსტრაციაა. სოციალისტური ქვეყნის მუსიკა, რომელიც გამსჭალულია სოციალურ ოპტიმიზმის მოტივებით არ შეიძლება. არ იყოს საღი, მხნე და მგზნებარე. სოკიალისტური ქვეყნის მუსიკა კრიტიკულად ითვისებს ყველა იმ მიღწევებს, რაც საუკუნოებით შეუქმნია კაცობრიობა: ის ვერდეს ვერაუხვევს აგრეთვე ფოლკლორის იმ ელემენტებს, რომელიც სათანადო გადამუშავებით ხელს უწყობენ საბჭოთა ხელოვნების სოციალისტური სტილის ფორმირებას.

ჩენი სამეცნიერო და სამხატვრო დაწესებულებათა მიერ ხალხური შემოქმედების გარშემო გაშლილშა მუშაობამ მაღლა ასწია შესრულების კულტურა. ამის ბრწყინვალე მავალითია სწრაფი ზრდა ქართული საგუნდო კულტურისა, რომელსაც საფუძვლად უდევს ქართული ხალხური სიმღერა მისი მრავალფეროვანი მელოდიური კილოებით.

ბეღნიერი ქვეყნის ბეღნიერი ხალხი მღერის დიდ ადამიანზე სტალინზე, მღერის შეძლებულ ცხოვრებასა და სიხარულზე, სამშობლოსა და სოციალისტური შრომის პათოსზე.

საბჭოთა ფოლკლორი განსაზღვრავს ძირითადად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ გუნდების რეპერტუარს, მაგრამ ეს გუნდები არა მარტო ვოკალური კოლექტივებია, ისინი არა მარტო მღერიან, არამედ უკრავენ და ცეკვავენ.

საქართველოს საგუნდო ხელოვნება ვითარდება სიმღერის, საკრავებისა და ხალხურ ცეკვათა ორგანიული სინთეზის ხაზებში. უძველესი, მაგრამ მივიწყებული საქართვები — ჩოგური და ფანდური სოციალისტური ქვეყნის განსაზღვრულ შემოქმედებაში კვლავ იკავებენ თავიანთ აღგილს. მეჩინგურებისა და მეფანდურების ინსტრუმენტულური ანსამბლები იძლევიან არა მარტო ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, არამედ მათ დასახული აქვთ ამოცანად ჩერნი მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასისათვის ზედმიწევნით მისაწვდომი გახადონ პროფესიული, კლასიკური მუსიკის დიდი ნაწარმოების სწორედ ხალხურ საკრავებზე შესრულებით.

საუკუნოებრივი კულტურა უდევს საფუძვლად აგრეთვე ქართულ ცეკვას. მოძრაობის სიმდიდრე, ცეკვის სურათის ხასიათის მრავალფეროვანებით ემოციური გამოშაბაცებია და სასიცოცხლო სისაცე — აი, ქართული ცეკვის დამახასიათებელი თავისებულებანი.

ლაშქრულ-შრომითი, მხიარულების და სპორტულ-შეჯიბრებითი ხასიათის ცეკვების დანიშნულებაა მოძრაობის მკეთრო რიტმში გამოავლინოს ადამიანის რეაქცია გარეშე მოვლენებზე.

ცველაზე უძველესი ცეკვებია სვანური „ფერხული“ და აჭარული „ხორუმი“, რომლებიც ჩვენამდე მოღწეულია ხელუხლებელ სახით.

საქართველოს ხალხური ცეკვები განიყოფებიან ინდივიდუალურ, წყვილ ჯგუფურ და გუნდურ-მასობრივ ცეკვებად.

საქართველოში ცველაზე უფრო პოპულიარულ ცეკვად გავრცელებულია „ლექური“, რომლის შესრულება მოითხოვს ტექნიკის დიდ ოსტატობას, პლასტიურობას და მოქნილობას. ამ ცეკვის შესრულებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან და ურთიერთ შერწყმულია მოქნილობა, ალლოს აღების სწრაფი უნარი, სილამაზე, სიტურფე და ვაჟყაცობა.

„მთიულურ“ ცეკვებში სჭარბობს ნახტომებრივი ხასიათის მოძრაობები: მათში არ არის იმდენი სრიალი და ცურვადი მოძრაობები, როგორც ლექურში. ეს რა თქმა უნდა არ გამორიცხავს მსუბუქი მოძრაობის არსებობას „მთიულურ“ ცეკვაში, მაგრამ სტილითა და ხასიათით ისინი განსხვავდებიან ლექურის მოძრაობის ელემენტებისაგან.

ლაშქრული ცეკვა „ხორუმი“ შესდგება 4 ნაწილი-საგან. პირველ ნაწილში ასახულია სტრატეგიული პუნქტის ძიება, მეორე ნაწილში ხდება მოწინააღმდეგის დაზვერვა, მესამე ნაწილში ნაჩენებია ბრძოლა, ხოლო უკანასკნელი გვიჩვენებს მტერზე გამარჯვებას და ბედ-

ნიერ დაბრუნებას. ეს ცეკვა გამოხატავს მოქნილობებს, სისწრაფეს და მოსწრებულ მომედებას, კუკუჯულური ხასიათისაა და ასრულებენ მხოლოდ მაშავეცები.

სვანურ ცეკვას „ფერხულს“ აქვს არამატერიალური რიანტი. ყველა ვარიანტი ერთიანდება სიმღერით. „ფერხულში“ მონაწილეობენ ქალებიც, რომლებიც ასრულებენ იმავე მოძრაობებს რასაც მამაკაცები.

ხალხურ ცეკვის 30 ზე მეტი სახე თავიანთი მრავალფეროვანი ვარიანტებით წარმოდგენილია ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში. ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებამ მეტად ხელი შეუწყო თბილისის ქართული ბალეტის ჩასახვას.

პირველი ქართული ბალეტი „მხე ჭაბუკი“ პირველი სერიოზული ცდაა, კლასიკურ საცეკვაო ხელოვნებაში ხალხური ქორეოგრაფიის ელემენტების ორგანიული გამოყენებისა.

ჩატარებულმა ხალხურ ცეკვათა ოლიმპიადამ ფართო პორიზონტი გაუქნა ქორეოგრაფიულ ხელოვნებას და ბრწყინვალე პერსპექტივები დაუსახა ქართულ საბალეტო ხელოვნებას.

ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში ეს არის თავისებური შემოქმედებითი ანგარიში საბჭოთა კევშირის დედაქალაქის მშრომელთა წინაშე, ეს არის დემონსტრაცია იმ დიდი სიყვარულის და მზრუნველობის, რომელსაც უწევენ ჩვენს ხელოვნებას საქართველოს კომუნისტური პარტია და კერძოდ მისი ხელმძღვანელი ამხანაგი ლავრენტი ბერია, რომლის სახელთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებულია საბჭოთა საქართველოს მხატვრული კულტურის ნამდვილი აღორძინება.

## ოპერისა და ბალეტის თბილისის სახელმწიფო თეატრის ლენინის ორდენით დაჯილდოვების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენ ს:

განსაკუთრებული წარმატებებისათვის ქართული თეატრალური კულტურის, ხალხური სიმღერებისა და ცეკვის განვითარების საქმეში ოპერისა და ბალეტის თბილისის სახელმწიფო თეატრი დაჯილდოვებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ. კალინიკ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდიგარი ი. აკულინი.

მოსკოვი, ქრემლი.

1937 წ. 14 იანვარი.

სედარცისაბაზან: მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის შესახებ დაწვრილებითი მასალები მოთავსებული იქნება ჩვენი უურნალის 1937 წლის მეორე ნომერში.

**შალვა ბუაჩიძე**

## ქართული ოკერების განაცხადული დადგმები

მეფის თვითმპყრობელობა მხეცურად უსწორდებოდა ქართულ ხელოვნებას. ოეატრი სულ ღაფავდა უუფლებობის და უსახსრობის მარწებებში. მას არ გააჩნდა ბინა, მატერიალური საფუძველი.

საოპერო ხელოვნების განვითარებაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ერთადერთი ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი“ დიდხანს ელოდა სცენიურ ხორჯესხმას, მაგრამ ვერ ელირსა. „დარეჯან ცბიერმა“ პეტერბურგში იხილა რამპის სინათლე, საქართველოში კი მისთვის დახშული იყო თეატრის კარები.

მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ გაუხსნა გზა ქართულ საოპერო ხელოვნებას. დღეს ქართული რეპერტური თორმეტად მატები იპერას ითვლის. მძლავრად განვითარდა სიმღერა და ცეკვა. სოციალიზმის გამარჯვებამ, ლენინურ სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკმ უჩვეულო სიმაღლეშე აიყვანა ქართული ნაციონალური კულტურა, იდეალური პირობები შეუქმნა ქართული მუსიკის განვითარებას.

პარტიისა და მთავრობის უურადღება ხელოვნებისადმი ნათლად იჩენს თავს იმ შზრუნველობაში, რომლითაც გარშემორტყმულია ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. წელს ოპერის თეატრმა დიდი მუშაობა გასწია ქართული ოპერების შხატვრულად გასცენიურებისათვის. კურსი აღებულია იქითქენ, რომ სათანადო პირობების შექმნით გამომჟღავნებულ იქნეს მთელი ის სიმდიდრე, რომელიც ჩვენს ოპერებშია ჩაქსოვილი.

ქართული ოპერების ახალი დადგმები გვიჩვენა ოპერის თეატრმა. მკაფიო მხატვრულ ჩარჩოში ჩასმული, ისინი ახალი სიძლიერით ამეტყველდნენ, მსმენელმა ახა-

ლი, დღემდე უცნობი სილამაზე იგრძნო მათ გულწრფელ, გულის სილრმეში ჩამწვდომ მელოდიებში.

პირველ სპექტაკლად ოპერის თეატრმა ზ. ფალიაშვილის „დაისი“ გვიჩვენა. ამ ოპერას მხოლოდ 12 წლის ისტორია აქვს. ის დაიწერა 1924 წელს და ამავე წელს დაიდგა თბილისის სახელმწიფო ოპერის სცენაზე. მაყურებელმა ერთბაშათ შეიყვარა „დაისი“, რადგან მასში ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებასთან კავშირი დაინახა. ოპერა ხიბლაეს მსმენელს თავისი მელოდიურობით, ღრმა გრძნობით, გულწრფელობით, ფორმის უბრალოებით.

„აბესალომ და ეთერის“ მონუმენტური სტილისაგან განსხვავებით, „დაისი“ ტიპიური ოპერაა არიების, დუეტების, ანსამბლების და ხალხური სცენების დასრულებული ფორმებით. ღრმა ლირიზმი, სევდიანი განწყობილება — აი, ამ ოპერის მუსიკის დამახასიათებელი ნიშანი. ამ მხრივ შესანიშნავია არიები „თავო ჩემო“ და „მაროს ტირილი“, რომელთა ბადალი ემოციური ზეგავლენის მხრივ ქართულ მუსიკალურ ლიტერატურაში არ მოიპოვება. მათი ფესვი იმავე ხალხურ შემოქმედებაშია.

სპექტაკლის ავტორია სცენის გამოცდილი ოსტატი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალ. წუწუნვა. ნათელი რეალისტური შეგნების დალი აზის მთელ მის ნაბეჭდების. აქ საქმე მარტო ის როდია, რომ რეჟისორმა დასძლია საოპერო სპექტაკლის ჩვეულებრივი, ათეული და ასეული წლობით დაკანონებული ხასიათი, რომ დადგომაში არ არის იაფთასიანი ზიზილპიპილები, ფსევდორომანტიკული სილამაზე. ოპერის შინარსი გახსნილია ცოცხალი და რეალური მხატვრული სახეების შეჯახებით. ოპერის მსმენელის არა დადგმები და მათთვის თეატრი



ლენინის ორდენის ოპერის და ბათუმის  
თეატრი

„ა ბესალომ და ეთერი“  
მეარე მუსიკება  
დადგმა ხელოვნების დამს. მოღაწის ორდენისან  
შ. ა ღ ს ა ბ ა ძ ი ს  
მხატვარი—ორლენსანი ირ. გამრეკელი

ნელი, რომელიც ჩვეულებრივ პასიურია, ამ სპექტაკლში სცენაზე გადაშლილი დრამის აქტიური თანამონაწილე ხდება.

ა. წუწუნავამ „დაისის“ დრამატიული მხარე დიდ სიმაღლეზე აიყვანა, ამასთან, ოდნავი ზიანიც არ მიუყენებია კომპოზიტორისათვის. სპექტაკლის ყველაზე ძვირფასი თვისება ისაა, რომ დრამატიული დაძაბულობა ორგანულად გამომდინარეობს ნაწარმოების მუსიკალურ შინაარსიდან, დრამატიული და მუსიკალური სახეები ორგანულ კაშირში არიან ერთმანეთთან.

ორეიფურად გამოკვეთილია მასობრივი სცენები. მასა ცოცხალია, მძრვავი, მისი მოქმედება ახლა უფრო გააზრებულია. დიდი ყურადღებით არის დამუშავებული ცალკე დეტალები.

დადგმის წარმატებას ხელს უწყობს მოხდენილი მხატვრული გაფორმება. ქართული პეიზაჟის ლამაზი, თეატრალურად მოხერხებული დეკორაცია მოგვცა მხატვარშა ს. ვირსალაძემ. ზომიერების გრძნობა, გემოვნება წითელი ზოლივით გასდევს მოელ მის ნამუშევარს.

შემსრულებელთა შეფასება გუნდით უხდა დავიწყოთ. მართლაც რა უილაჯოდ, მოშლილად გამოიყურება ოპერის თეატრის წინანდელი გუნდი ამ შესანიშნავ საგუნდო ანსამბლთან შედარებით! გუნდი მშვენიერად მღერის, ახალგაზრდა ხმები ზრივით რეკავენ. გუნდის ყოველი გამოჩენა სცენაზე გვახარებს ბეჭრის სისუფთავით, სიწმინდით, დისკიპლინით და მრავალფეროვნებით. ახლა თვალნათლივ გამოჩენა აუ რა სიმდიდრის შემცველია „დაისის“ საგუნდო ნომრები.

სპექტაკლის დიდ ლირსებას წარმოადგენს მისი საუცხოო ახსამბლი. ახალგაზრდა მომღერალმა მერი ნაკაშიძემ, რომელიც მაროს როლს ასრულებდა, შევარებული ქალის პოეტური სახე შექმნა. მ. ნაკაშიძის ხმა საქმარებლივ და ლამაზი ტემპისაა.

მაღალ, ზის პარტიას მ. ყყარელაშვილი მდერნდა. ამ როლით დაიწყო მისი, როგორც საოპერო მომღერლის, ქარიერა და ის მას კარგად აქვს დამუშავებული წელს მისი ჩბილი, სასიამოვნო ტენორი კიდევ უფრო ლამაზად ბეჭრს, მაღაზის სცენიური სახეც უფრო დახვეწილია.

ჭრაშარიტად შესანიშნავია კიაზოს როლში პ. ამირანაშვილი. მისი კიაზო ვაჟაპობის განსახიერებაა. ამირანაშვილის შესრულების სცენიური და მუსიკალური მიარე შეღუღებულია ერთმანეთთან.

საინტერესო სახეები შექმნეს დანარჩენმა შემსრულებლებმაც: ნ. ცომაიამ (ნანო), ზ. სვანიძემ (ტიტო) და ვ. ხამაშურიძემ (ცანგალა). უურადლებას იძყრობს ამ უკანასკნელის ლრძა ბანი. ხამაშურიძე კარგად გრძნობს იუმორს, რომელიც დამახასიათებელია ცანგალისათვის.

განსაკუთრებული სიბრწყინვალით არის ნაჩვენები სპექტაკლში ცეკვა, რომელიც იტაცებს მაყურებელს თავისი უშუალობით, რეალიზმით, ხალხურ ცეკვასთან სიახლოვით (ბალეზმეისტერი დ. ჯავრიშვილი). ლეკური და ფერხული შესრულებული იყო ისეთი ტექნიკური ოსტატობით და ემოციურობით (მოცეკვავენი ლ. გვარამაძე, ი. სუხიშვილი, ბართუდაროვი, ჩოჩიშვილი, ჩიხლაძე, ნონიევი, ქავთარაძე), რომ დარბაზი ზანზარებდა ტაშით.

მომზიდლავად, დინამიკური მრავალფეროვნებით ბეჭრს ზ. ფალიაშვილის პარტიტურა. „დაისის“ ორკეს-

ტრობის სილამაზე და ორიგინალობა ხელოვნების დაწეს. მოღვაწის უვაგ. მიქელაძის შეირ გახსნილია შთელი სისრულით.

\* \*

მელიტონ ბალანჩივაძემ დიდი ღვაწლი დასდო ქართულ მუსიკას. როგორც მისი რომანსებით („შენ გეტრფი მარად“, „ნანა“, „ოდესაც გიქ(ურ)“) ჩაეყარა საფუძველი ჩევეზი სარომანსო ლიტერატურას, მპერის დარგშიაც პიონერობა მ. ბალანჩივაძეს ეკუთვნის. მისი „დარეჯან ცბიერი“ („თამარ ცბიერი“) ქრონოლოგიურად პირველი ქართული საოპერო ნაწარმოებია. ეს განსაზღვრავს მის ლირსება-ნაკლს. თავდპირეველად ერთ მოქმედებად დაწერილი, ის პირველად პეტებურგში დაიდგა რუსულად 1897 წელს.

„დარეჯან ცბიერი“ კომპოზიტორის ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია. მ. ბალანჩივაძემ თავისი მოღვაწეობა მუსიკის დარგში ხალხური სიმღერების შექრებით დაიწყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ის დადის სოფლიდან სოფელში, ერთი კუთხიდან მეორეში და გულმოდგინედ აგრძოვებს იწერს უცელაფერს საინტერესოს, რაც კი ხალხის მუსიკალურ გენის შეუქმნია. მან, როგორც მუსიკალურმა ფოლკლორისტმა, თავი მოუყარა იმერეთის, სამეგრელოს და ქართლ-კახეთის საუცხოვო მელოდიებს და საფუძვლად დაუდგა თავისი ოპერას. ამ მხრივ „დარეჯან ცბიერი“ წმინდა ხალხური ხასიათის ნაწარმოებია.

გაფართოებული „დარეჯან ცბიერი“ პირველად 1925 წელს დაიდგა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. უკანასკნელად მან კი დევ განიცადა ქორექტივები გადამუშავებულია ზოგიერთი ადგილი დამატებულია ცალკე მუსიკალური ნორები.

ამ კორექტივების შედეგად უთუოდ მოიგო. სახეები ახლა უფრო გამოკვეთილია; ჩუსიკაც უფრო რეალურად ულერს.

ოპერის ახალი დადგმა, რომელიც რესპ. სახ. არტ. ალ. წეწუნავას ეკუთვნის ბეჭრის მხრივ არის საყურადღებო. ისევე, როგორც „დაისში“, ა. წუწუნავას მთავარი ყურადღება მასობრივ სცენებზე გადააქვს. მაგრამ მასის განლაგება აქ რეჟისორის ხელში თვით მიზანი როდია, იგი ემსახურება ისტორიული სინამდვილის, ეპოქის სტილის აღდგენის. ამავე დროს რეჟისორი კარგად გრძნობს მუსიკის ხასიათს, მისი გეგმა ყველგან მუსიკასთან არის შეთანხმებული, მოქმედების მუსიკისაგან მოწყვეტას ვერსად ვხვდებით.

ქების ლირისია მხატვარ ს. ქობულაძის ნამუშევარი, რომელიც სწორედ გადმოგვცემს ეპოქის სტილს. განსაკუთრებული ლამაზია პირველი და მეოთხე აქტის გაფორმება.

ოპერის ვეკულური პარტიები მომღერლებისათვის დიდ სიძნელეს არ შეიცავს. ნ. ცომაიამ (დარეჯანი), ვ. მალკოვამ (კირა), ნ. ქუმსიაშვილმა (ხიჯო), გ. ვენაძემ (გოჩა), ვ. შარაშიძემ (მეფე), ზ. სვანიძემ (მასხარი), ს. კუხიანიძემ (სახლოუცუცესი) კარგად შეასრულეს თავიანთი როლები და ლამაზი სიმღერისათან ერთად მოფიქრებული თამაში გვიჩვენეს.

მშვენივრად ბეჭრს გუბდი (ლოტბარი პოლ. ფალიაშვილი). გუნდის მოხდენილმა სიმღერამ თბერის ბეჭრი ისეთი ადგილი გამოაჩინა, რომელიც წინად შეუმნეველი რჩებოდა. მიმზიდველია გურულებისა და იმერლების გუნდები.



„აბესალომ და უთერი“

აბესალომი—ჩესპ. დამს. არტ. ორდენისანი 6. ქუმსია შვილი

ქართული ხალხური ცეკვის სიმღიდრე და შრავალუროვნება კარგად არის ხაზგასმული ბალეტმეისტერ დ. ჯავრიშვილის ნამუშევარში. მოხდენილად ცეკვავენ დ. გვარამაძე და ი. სუხიშვილი.

\* \*

ქართული საოპერო ლიტერატურის შედევრება, შ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერმა“ წელს ორი ახალი დადგმა განიცადა. მარტში ის გვიჩვენა კონსერვატორიის საოპერო სტუდიამ სახალხო არტისტის ალ. წუწუნავას დადგმით, ხოლო ნოემბერში ოპერის თეატრმა ის ხელახლა დადგა (ჩევისორი—ხელოვნების დამსახურებული მოღაწე შ. აღსაბაძე).

ეს ორი დადგმა პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საოპერო სტუდიის ნამუშევარი ექსპერიმენტალური ხასიათის იყო. სტუდიამ უკუაგდო ოპერის ჩვეულებრივი გაება და თავისი ინტერპრეტაციას საფუძვლად დაუდო სოციალური მოტივი. მეფისწული აბესალომის და ობოლი გლეხი ქალის ეთერის სიყვარული გაგებული იყო, როგორც სოციალური უთანასწორობის ტრაგედია. არ შეიძლებოდა აბესალომის და ეთერის სიყვარული ბედნიერად დაგვირგვინებულიყო, — ამბობდა საოპერო სტუდია, — რადგან შეთ შორის ლრმა სოციალური უფს-

კრული იყო გაოხრილი. ამ იდეით იყო გამსჭვალული მთელი სპექტაკლი.

საოპერო თეატრი „აბესალომ და ეთერმა“ მოღაწე როგორც ზღაპარის, და ეს მიღომა, რასაჭირებულია, სწორი რია. მომხიბლავი ხალხური თქმულება—ზღაპარი სწორედ „ზღაპრულ“ გაებას საჭიროებდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დადგმის სიმღიდრისა და ფერების სიუხვის მხრივ სპექტაკლი მართლაც შესანიშნავი გამოვიდა. სინათლე, მეტად და მრავალფეროვანი კოსტუმები, ასეულ ადამიანთა მონაწილეობა მასობრივ სცენებში. ყველაფერი აქ ბრწყინვას და არ შეუძლია არ გირტაც მაყურებელი. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ორდენისანმა ირაკლი გამრეკელმა კვლავ გვიჩვენა თავისი დიდი მხატვრულ დეკორატიული სხტატობა. მან შექმნა თეატრალური დეკორაციის მხრივ გრანდიოზული სპექტაკლი, სადაც ყველაფერი გათვალისწინებულია სულ მცირე დეტალებამდეც კი. მშვენიერი პოეტური დეკორაცია პირველ აქტში, ცხოველმყოფელი ფერები აბესალომის და ეთერის ქორწილის სცენაში, წარმტაცი და მონუმენტური „ბროლის ციხე“ მცოთხე აქტში; ასეთია განსაურულებით თვალსაჩინო მომენტები ირ. გამრეკელის ნამუშევარში. პირველი სურათიდან უკანასკნელამდე მაყურებელი აღტაცებული შესცემის სცენას და მოუთმენლად მოღლის, თუ რა მოულოდნებულებით გააკვირებენ კიდევ მას. რასაკირველია, ზღაპარში ასეც უნდა იყოს.

მაგრამ ოპერაში მთავარი შაინც მუსიკაა. ეს კარგად აქვთ გათვალისწინებული რეჟისორს და სპექტაკლის მუსიკალურ ხელმძღვანელს, რომელთა შეასწორებული მუშაობის შედეგად თეატრმა „აბესალომ და ეთერმი“ საორეგისტრო და სცენიური შესრულების თითქმის აბსოლუტურ მთლიანობას მიაღწია.

„აბესალომ და ეთერმი“ თავიდანვე ერთგვარი გაჭიანურება ახასიათებდა. პირველი წარმოდგენა დამის 2 საათზე გათავდა. ოპერიდან უმტკიციურებულოდ ამოღებულ იქნა მთელი სურათი. მაგრამ მაინც დარჩა ზოგიერთი სცენა, რომელიც ანელებდა მოქმედებას და სიუჟეტის გაშლის დინამიურობისთვის საზიანო იყო. კომპოზიტორი თვითონ გრძნობდა ამას და განზრახეა ჰერნდა საბოლოო რეაქცია გაეცემოდა თეატრისათვის, მაგრამ არ დასუალდა. დღეს ეს სამუშაო ხელოვნების დამსახურებულმა მიღვაწე დირიჟორმა ეგგენი მიქელაქემ შეასრულა.

გაერთიანებულია ოპერის პირველი ორი სურათი, გადამული და შემცირებულია ზოგიერთი მუსიკალური აღგილები, სრულებით ამოღებულია დედინაცეალის სცენა, რომელსაც ორგანიული კავშირი არ ჰქონდა მოქმედების განვითარებასთან. ამ მონტაჟის შედეგად ოპერამ მოიგო: ახლა იგი უფრო დახვეწილია მუსიკალურად, სცენიური მოქმედება უფრო ლოგიურია, თანაც დინამიკური. საღაოდ მიგვაჩინა მხოლოდ ეთერის ლამაზი არის ამოღება მეოთხე მოქმედებიდან. ახლა ეთერს სასიმღერო თითქმის აღარაფერი დარჩა.

სპექტაკლის ჩევისორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შოთა აღამაძემ შესძლო გაღმოყეა ზღაპრის სილამაზე და ხალხურობა. ჩევისორმა მუშაობის საუკეთესო მომენტებია მასობრივი სცენები, რომლებიც სპექტაკლში ფრიად მაღალ ღონებზე სდგას. შესანიშნავია მთელი მეოთხე მოქმედება, რომელიც თავისი დეკორატიული აღნაკობით, შესრულებელთა ჯგუფების განლაგებით, სინათლის ეფექტების გამოყენებით დამდგმელის მაღალ სტატობას ამჟღავნებს.



„აბესალომ და ეთერი“  
აბესალომი—ჩეხ. დამს. არტ. ორდენისანი დ. ანდრუშაძე

შ. ალსაბაძემ ააშობრავა ოპერის მსახიობი, უფრო მოქნილი „და ელისტიკური გახადა იგი. მართალია ეს ერთნაირად არ ახასიათებს ყველას, მაგრამ გარდატეხა ამ მხრივ უფუოდ არის.

შეიძლება ათასჯერ ნახო „აბესალომ და ეთერი“, მაგრამ აბესალომის სიმღერა „გეძებდი ბედისა“ ყოველ-თვის ააღლვებს მსმენელს. ის ღრმად დრამატიულია თა-ვისი შინაარსით და შემსრულებელისაგან დიდ გრძნობას და ოსტატობას მოიხსოვს. დამსახურებული არტისტები დ. ანდრუშაძე და ნ. ქუმაშია შვილი კარგად მღე-რიან ამ არიას. ლამაზად ბგერს მათი ხელი მთელი პარტი-ის მანქილები. დ. ანდრუშაძეს უფრო გმირულ ხაზებში მოჰყავს როლი, ნ. ქუმაშია შვილის აბესალომი კი უფრო რაილი და ლირიკულია.

ობოლი გლეხი ქალის მიმზიდველი სახე შექმნეს დამს. არტისტმა ეკ. სოხაძემ და გოსტენინამ. სოხაძეს ახასიათებს შესრულების გულის სიღრმეში ჩამ-წვდოში მანქრა, რაც ასე ხიბლავს მსენელს და რაც აუ-ცილებლად საჭიროა ისეთ ლირიკულ ოპერაში, როგო-რიც „აბესალომ და ეთერია“.

მურმანს მღერის პ. ამირანაშვილი. გადაჭარ-ბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ის ყველაზე მე-ფით ფიგურაა სპექტაკლში. ის მურმანს გვიხატავს, რო-გორც ძლიერი ნებისყოფის ადამიანს, რომელმაც იცის რისთვის იბრძვის. ნიჭიერი მსახიობი პირველი გამოჩე-ნისთანავე იპყრობს უდიტორიის ყურადღებას. მღერის პ. ამირანაშვილი ლამაზად, თავისუფლად იყენებს, რა თა-ვის უფრო ვოკალურ შესაძლებლობას. უნდა აღინიშნოს რომ პ. ამირანაშვილი გამოიჩინება სპექტაკლის ყველა, მონაწილისაგან სხეულის მოქნილობით, რაც მიმზიდვე-ლობას მატებს მის მიერ შექმნილ სახეს.

მუსიკალურად ასრულებენ მარიხის კანცონეტას ნ. ხარაძე და ქ. ტატიშვილი.

კარგია ნათელას, აბიოს და თანდარუხის ეპიზოდი-ურ როლებში ნ. ცომაია, ტ. შარატა-დოლი-ძე, ვ. შარაშიძე, გ. გრიგორაშვილი და ზ. სვანიძე.

გუნდი მშვენივრად მღერის. ლოტბარ ა. კაპულ-ს კის მუშაობა საესებით დამაკაყოფილებელია.

რბილად და პლასტიკურად ცაკვავენ ლექურს დამს. არტისტი ელ. გვარამაძე და ი. სუხი შვილი, თუმცა ბალეტი მთლიანად „დაისის“ მკაფიო ცეკვების შემდეგ მკრთალ შთაბეჭდილებას სტოფებს.

„დაისის“, „დარეჯან ცბიერის“ და „აბესალომ და ეთერის“ სახით თბილისის ოპერის თეატრმა დადი მას-ტრაბის სპექტაკლები შექმნა. ეს სპექტაკლები მოწმობენ, თუ რა უსაზღვრო მდიდარი და დაუშრეტელია ხალხური შემოქ-მედების წყაროები. ამავე დროს ისინი თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ რა მხრუნველობით და ყურადღებით ეპყრობა საბჭოთა მთავრობა კლასიკურ მუსიკალურ შემ-კვიდრეობას. ამ სპექტაკლებმა ცხადჰყვეს, რა ცხოველ-მყოფელი და ძლიერი ხდება ხელოვნება, როდესაც ის გამსჭვალულია ნამდვილი ხალხურობით, მაღალი იდეუ-რობით.

# მარტინი გავმოგისას

შოშ. მაყ. თეატრი, პიესა ი. 3 სეზონის სკოცისა

რეჟისორი — ბორ. გამრეველი

Товарищ Ворошилов  
Я быстро подросту  
И стану вместо брата  
С винтовкой на посту.

ასე სწერს ებრაელთა გამოჩენილი პოეტის ეგიტეკოს პატარა გმირი, რომლის ძმაც წასულია წითელი აში. მისი ძმა პატრიოტია სოციალისტური სამშობლოსი, — დე, კოროშილოვიც მიეხდოს მას და ოუ ბრძოლაში მისი ძმა დაიღუპება, — შაშინ ეს პატარა შეცვლის მას. რადგან „საქართველო გაიზრდება“.

მათ სწრაფ ზრდას ხელს შეუწყობს წარმტაცი აბები და აშიტომ ჩენს ბავშვებს დაუშერეტელი წყურვილი აქვთ გაიგონ ძეტომბრის რევოლუციის ბელადების გრიფული წარსული. ჩენი ლეგენდარული სარდლების წარსული, — თათი ნამდვილი ბიოგრაფია და ზოგიერი ემოციებისა და ინტერესის გამოწვევი.

და აი, ცნობილმა საბავშო მწერალმა ლ. კასილმა საყვარელი ბარშალი ს. მ. ბუდიონი მოგვცა ბავშვთა წრეში, ერთ-ერთი ფაბრიკის საბავშო ბალში, სადაც ბუდიონმა ბავშვთა აღლუმი მოაწყო და თვითონვე ხელმძღვანელობდა მას. ეს წიგნი, რომელსაც „ბუდიონიში“ ჰქვია, საყვარელი წიგნია ბავშვებისათვის.

დრამატურგ ნ. ვსევოლოვსკი — საც თავისი „მარტალი ბავშვობისას“ აგებული აქვთ ბუდიონის ბიოგრაფიულ მსალაშე და განუზრახახეს შეჯჭმანას ტრილოგია მართლაც ამ არაჩვეულებრივი ბავშვობის ძრინე წითელი სარდლის ბიოგრაფიიდან, რომელსაც თვალსაჩინოდ დაინახავს პატარა მაურებელი საკუთარ თეატრში.

პიესა სამ მოქმედებისა და 7 სურათისაგან შესდგება. პიესის მთავარი გმირი 12 წლის სიომაა. მისი გაბედულება, დიდი ლტოლვა ბრძოლისადმი, უხომო სიყვარული ცენტრისადმი, სამხედრო ვარჯიშობისადმი, გარმონაზე შესანიშნავად დაკვრა, მღრაიშვიათი ცეკვა (პროფესიონალურ მო, ცეკვავესაც კი სჯობნის) და სხვა თვისება, ისეთი მიმზიდველი ხდება მისი „უტორის რაზმისათვის“, რომ მას უშიშარ ატამანს ეძაბინ მიის სწორები და თავდადებით უყვარო.

ამ გმირისათვის შეჯჭმილია გარემო: მდიდარი ყაზახ-სტეფან გერასიმოვი რომელიც უმუშავლოდ დასცინის ხა-



შოშ. მაურებელთა თეატრის რეჟისორი  
ბ. გამრეველი

ხოლებს, ჰყვლეთავს მათ, სულსა ხდის, განსაკუთრებით სიომას დედას მელა-ლანია ნიკიტიშვილის. არის სხვა ყაზახებიც, რომელთა შორის გამოიჩევა ახალგაზრდა აფანასი თავისი ადამიანური გრძნობებით და ვერც უსამართლობას ეგუება; არის მუშაც — ია-ტაკევეშ მოძუშვე, პატარებში ეწევა რევოლუციონურ პროპაგანდას და თი-თქოს იმარტომ შედის პიესაში, რომ უკეთ გამოჰკვეთოს სიომას რევოლუციონერობა.

ვერ ვიტყვით პიესა იყოს გამართული და სიტყვიერი მასალითაც მდიდარი. პირიქით, არის ყალბი და გაუმართავი ადგილები. ზოგიერთი სცენა უფრო ფრაგმენტია, სადაც ერთი მომატები მეორე შეიძლება სტანიცის მართველობის წინ ყრილობა უნდა მოეწყოს. აი, გვინიათ ყრილობაშე გამოირკვევა ატამანების დამოკიდებულება ჩასახლებულთა მიმართ, მაგრამ უცებ არყის ბოჭკა ჩრდება და ყრილობის საკითხი, ჩაძოსახლებულებზე მიწების გადაცემა, იხსნება და კულისებში გადადის.

მესამე მოქმედების პირველ სურათში სიომა ხვ იება მიხეილ ავეგვას — ცენტრალურის მეკატრონის ურევაკოვის მოურავს. მათ შორის იმისთანა დიალოგი იმართება რომ 12 წლის ბავშვს ყოვლად შეუძლებელია ჰქონი-

და ასეთი მსჯელობა. სიომა ეუბნება აგევვას: „ფეხები ნუ მებლანდები, თორებ მოგვლავ“. „თავს ველარ ვიჭერ... იცოდე, რართლა მოგვლავ“ და ორჯაბს დაუშენს. აგევვის ყვირილზე ხალხი შემორბის. სიომა ამაყად ამბობს: „ადექი; იცოცხელე, ვის რათ უნდა შენისთანა მამუნის მოკვლაო“ და სხვა.

ეს არაფერი. სიომა „ვაჟა-ფურად“ იმუქრება და ასევე რიხით ელაპარაკება სტანიცის წურბელას — გრასიმოვს: „გამოჩერებული ბებერიი“, რას გვერჩით, რა გინდოთ ჩენგან ავაზაკებო, მეცებო, ოქვენს გამოხუცს დავებესგავსე“ და მრავალი სხვა, რომელიც მოკლებულია ბუნებრივიაბას და მაყურებული ცოტა არ იყო დიაბეგვა: თუ კი ასეთი ყვირილი მეიძლეობა პოლიციელზე, ატაბანზე, — ისიც პატარა ბავშვებისაგან, — რალად გაიარეს ჩენი ოკტომბრის რევოლუციის ბელადებმა ციხეები, კატორა, ცმბირი, იატაკევეშ მუშაობა, სახრებელა, და სხვა მრავალი ტანჯვა-წამება! ეს ნაკლი განსაკუთრებით ალვნიშნეთ რადგან იგი ხელს უშლის სიომას ბავშვურობის სრულყოფას. ამის გასწორება კი შეიძლება. ამიტომ მიუხედავად არ ნელისა ი ვესევოლოგეს პიესა თავისთავად ძალიან სცენიურია, ის დრო ალტერებას, ალფროვანებას იწვევს მაყურებლებში და იმედი გვაქვს ასეთივე პათოსით იქნება მოცემული ტრილოგიის დანარჩენი როი ნაწილიც, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს ამ ბუმბერაზი მარშლის მხელი სიძნელების და დაბრკოლებების გადალახვა.

პიესის დამდგმლმა რეჟისორმა ბორის გამრეველმა (მასვე ეკუთვნის პიესის თარგმანიც) ერთხელ კიდევ გვიჩვენა თავისი ისტატობა — თუ როგორი ემოციონალური, სადა, რეალისტური, მხატვრული სკექტაკლები უნდა იღმენდეს ბავშვებისათვის.

რეჟისორის წინაშე პიესის აღნაგობამ დააყენა რთული ამოცანები: თავი უნდა დაელწია პიესის ზედმეტი ადგილებიდან. ისე გაეკეთებინა მასობრივი სცენები, რომ მოეცა ყაზახთა ცხოვრების კოლორიტი. რეჟისორმა ეს შესძლო. შესძლო სწორეთ მსახიობთა კოლექტივის გულწრფელი მუშაობით. სპექტაკლის კომპოზიციური შეკვრა და ანამბლის მხატვრული ზომიერება კიდევ ერთხელ ამჟღავნებს მოზარდ-

მაყურებელთა თეატრის აქტიორულ  
ძალთა სრულყოფას.

შთელ მასაში ძლიერად იგრძნო-  
ბა მიხე ილ აგევვი—ვახტანგ  
არეზიძე, რომელმაც ზედმიწვნით  
მხატვრულად შექენა სიმღიდრისა და  
თანამდებობისგან გულასუყებული,  
სულიერად დაბალი ლირსების იდა-  
მიანის გაცოკვეთილი სახე. ალსანიშ-  
ნავა მისი ერთი შეტად დამახასია-  
თებელი შტრიხი — ულვაშზე ხელის  
ჩამოსობა, რითაც შესანიშნავდა სრულ-  
ჰყო, მიხეილ აგევვის შინაგანი ბუნება.  
ასეთივეა ცრუმორწმუნე, მშიშარა,  
ლაჩარი და ლოთი ყაზხი აკიმის  
სახე, რომელიც ზომიერად განასახიე-  
რია ა. კაჭკაჭიშვილშა. მისი  
ცუკვა ბაზრობაზე, არყის ბოთლის  
მოყუდება ყრილობაზე, სულიერი სი-  
ლატაკისა და სილაჩრის გამომეულავნე-  
ბა უკანასკნელ სურათში — დატყვევე-  
ვებულ მუშასთან ეშმაკებზე საუბრის  
დროს, — გვიჩვენებს იმას რომ ა. კაჭ-  
კაჭიშვილი უკვირდება თავის როლს  
და აქტიორული შემოქმედებით იჩრ-  
დება.


ვ. ნინუა — შეუდარებელი ტიპია  
პატარა ბიჭი ფედკა „ხუტორის  
რაზმიდან“. ვ. ნინუას გარეგნობა მე-  
ტად არის შეხამბული იმ კომიკურ  
მდგომარეობასთან, რომელშიაც ეს  
პატარა ბიჭი აცხნებს ლოლქე თავის  
თავს: ვარჯიშობაზე, ბაზრობაზე —  
აპოლონის წინ გადახტომა-გადმოხ-  
ტომა, უკანასკნელ სურათში მისი  
ყიყინი ბაყაყივთ — ყველა ეს უტყუა-

რი სახეა იმ ბავშვის, რომელიც გულ-  
უბრყეილობით არის სავსე და ასე  
მოხდებილად ასრულებს მსახ. ვ. ნინუა.

კარგი სახე მოგვცა ომშასი მ. მი-  
ქაშავიძემ, განსაკუთრებით გულ-  
წრფელია იგი როცა მრს მეგობარს —  
დათვს მოუკლავნება და ტირილითა და  
ლრიალით დაეხეთქება მის გვერდით.

ბევრჯერ თქმულა გ. კუპრა ა-  
შვილის მსახიობურ ნიჭებ. მან იცის  
ბავშვის უტყუარი და ხშირად დაუვი-  
წყარი სახის შექმნა. მას ახასიათებს  
როლის ინტუიტური გაგება. სწორედ  
ეს გამოიჩინა მსახიობმა სიომას რო-  
ლის შესრულებით. ყველა იმ თეატე-  
ბას, რაც ზემოთა ვთქვით სიომას და-  
ხასიათების დროს დიდი ცეცხლით  
ასრულებს გ. კუპრაშვილი. დაუვიწ-  
ყარია მსახიობი თავის „ხუტორის  
რაზმში“ ომის გათამაშების დროს.  
არაჩვეულებრივი შხატერული ზომი-  
ერებით მოხაზული აქვს ცხენზე ჯი-  
რითის ბავშვური ინსცენირება, შესა-  
ნიშნავია სცენა გერასიმოვის ქალი-  
შვილთან კატის ძებნისას. საერთოდ  
გ. კუპრაშვილის აქტიორული პორ-  
ტრეტი ეს არის ბავშვი, რომელიც  
ამ სპექტაკლშიც ნიჭიერად განასა-  
ხიერა იმ გამონაკლისის გარდა  
სადაც მას დრომატურგი, როგორც  
ზევით ავლიშნეთ მოზრდილი პროტე-  
რანტივით აღაპარაკებს.

მელანია ნიკიტი შანა (სიომას  
დედა) — ეს არის შრომაში და გაჭირ-  
ვებაში გამობრძმედილი, კრასობ-  
რივი უსამართლობისგან დაჩაგრული



შოზარდ მაყურებელთა თეატრი

ზევიდან: აგევვი—მსახ. ვ. არეზიძე, მელანია—მსახ. ნ. სიმონაძე და  
ქვევით: პირველი სურათი, შუაში სიომა — მსახ. გ. კუპრაშვილი



მაგრამ მშრომელი ადამიანის მეობას არავის შეაღახვინებს: „არა, სტეფან ფედოსეი მდაბლად თავს არ დაგიკრავ. ლარიბები ვართ, მაგრამ ჩვენც გვაქვს ჩვენი სიამყოფი“. ასეთია 6. სირბილა და და მას მას მაგრამ მოქლებული შინაგან წვას, სითბოს და ს უშლის მაყურებელში განწყობილების შექმნას, მის როლის თანდათანობირი ზრდისადმი. 6. სირბილა და განსაკუთრებით კარგია გერასიმოვთან შეხვედრისას და ცეკვის დროს, რომელშიც გამოხატულია დიდი სევდა, დამცირების გრძნობა, ნაძალადევად ასრულება—რათა ცეკვის საფასურად მიიღოს ქრისაგან გამოგზავნილი წერილი.

ვასილი კორბოვი ფაბრიკის მუშა—იმდენად არის პიესაში შეჭრილი რამდენადაც დრამატურგს ესკიროება სიომგას ფონად. რაც უნდა მჭირი იყოს მისი სიტყვიერი ძასაღა, მასში მაინც იგრძნობა გამოცდილი მებრძოლი, იატაკებებში მომტავე, და ის რაც საერთოდ რევოლუციონერს ახასიათებს. მაგრამ გ. აბაშიძე ამ როლში სრულიად ვერ ჰქმნის საერთოდ მუშის, —სადა, უბრალო, ცხოვრებაში დაფიქრებული ადამიანის შთაბეჭდილებას. გ. აბაშიძე უფრო დარდიმანდია, ცოტა კომიტი, ცოტა ქარაფშუტა, მხიარული, ცოტა პოზიორია, და ყველა არ უქმნის ისეთ გარემოს, რომ ის ჩიმოსულია, გარდა მოჯამაგირეობისა, რევოლუციის აგიტაციისათვის და საზოგადოდ იატაკებებში სამუშაოდ.

როგორც ვთქვით, აფანასი გმოირჩევა სხვა ყაზახებიდან. გ. დარის პანიშვი შვილი გულწრფელად ასრულებს ამ როლს. ის მუნებრივია და სადა, მაგრამ ტყეში სადაც მუშის ვასილის ნამბობიდან მთელი სიმწარით განიცდის სევდას, მეტად ფერშეკრთალია და ამით ოდნავ გაყალბებული აქვს თავისი გულწრფელობა.

დან. ჩერებ მონაწილეებში უნდა ვალნიშნოთ, რომ ზოგიერთი ვერ ქმნის დამაჯერებელ სახეს მაგალითად, ერთფეროვანია ა.

კი ისა შვილი—სიარული, ხელების ხმარება, ლაპარაკის კილო—ლვთისაგარის განმეორებაა, 6. გვარაძე—სრულიად არა ჰქმნის სტანიცის ატამანის სახეს და გვაგონებს უფრო გიქორის ხახეინს—გადაცმულს სამხედრო რანსაცემელში, ხოლო ა. ქერეკა შვილი ნაცარებეკიას მეცვეა და არა გიმხაზიელი.

ს. გამრეკელის (ბოშა მოცეკვავე) ცეკვა მეტად ელასტიურია და ლამაზი, მაგრამ მისი კოსტიუმი მოგვაგონებს უფრო ბალეტის მოცეკვავეს, ვიდრე მოხეტიალე ბოშას.

3. ვოლჩინსკის მხატვრული გაფორმება ყოველმირივ კარგია, მხატვარს უთუოდ კარგად შეუსრულებია სტანიცის დამახასიათებელი დეტალები, მაგრამ გაუგებარია და ყოვლად უშინარსო მისი აქანებული ლობე. ის მეტის მეტად არღვევს სცენის რეალობას და არათრით არ არის გამართლებული.


საერთოდ სპექტაკლი იწვევს მაყურებლები იშვიათ ქორციას და სწორ რეაქციებს. ამაშია რეუ. ბ. გამრეკე-

ლის ლირსება. ამ სპექტაკლში ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ბავშვს იტაცებს მოქმედება კუცნიაჲ, ძაფუშვი მაყურებელი ძალისან ჭარავებულია. იგი გრძნობს სულილები კულტურული მართლობებას: როცა სიომას უდანაშაულოდ დააბრალებენ ლორი „უკუს“ დახმარებას მაყურებელი აღზფოთებულია, რომლითაც გამოხატავს მჩაგვრელებისაგან სიძლულვილს. მაშიასდამე სპექტაკლი მაყურებლამდე მივიდა და მიზანი გაამართა. ვიმეორებთ ეს არც რეჟისორის მიღწევა.

სეთი განწყობით ბავშვი საერთოდ მივა პიესის იდეური მხარის გაგებამდის, ოლონდ მასთან საჭიროა მუშაობა. ჩვენი თეატრის ჰედნაწილი კი არავითარ მუშაობას არ აწარმოებს პიესისა და სპექტაკლების გარშემო.

არ შევგიძლია ორიოდე სიტყვით არ შევხოთ ახალი სეზონის რეპერტუარს.

აქვს თუ არა თეატრს რეპერტუარის თემატური გეგმა? რით ეხმარება, და ემსახურება ჩვენი მ. მ. თეატრი დლევანდელობებას, სადღეისო თემებს: ესპანეთის მშრომელი ხალხის გმირულ ბრძოლას, მათ ქვეყნებში ათასობით ბავშვთა შიმშილი, ან ჩვენს საბჭოთა პატრიოტიკას, გმირობას—რაც ორიგინალური პიესებში უნდა იყოს გამომულავნებული: ან შოთას, ილიას იუბილესათვის სამზადისის სად არის? ჩვენ ვფიქრობთ, ყველა ამით თეატრი დაინტერესებული უნდა იყოს. თეატრი კი ყველა ამის გარეშე დგას და კმაყოფილდება. თავისი წარსული მიღწევებით.



# ხალხის ფარსულის გაყაღება

თაილის თეატრალურ გუჟაკთა თათბირი

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოში შესდგა თბილისის თეატრალურ მუშაკთა თათბირი, რომელმაც განიხილა ხელოვნების საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის დადგენილება დემიან ბედნის პიესის „დევგმირების“ მოხსნის შესახებ მოსკოვის კამერული თეატრის დადგმიდან.

თათბირს დაესწრენ რუსთაველის სახელობის თეატრიდან ა. ვასაძე, ა. ხორავა, გ. გუგუნავა, გ. სალარაძე, ს. ჯაფარიძე, ქოჩიტაშვილი; მარჯანიშვილის სახელობის თეატრიდან — დ. ანთაძე, ა. მურაჩაშვილი, დ. ჯანელიძე; გრიბოედოვის სახელობის თეატრიდან — ქ. შახ-აზიზოვი, სახელმწიფო ოპერიდან — ა. ჭილაძე; 26 ქომუნარის სახელობის თეატრიდან — გ. საკოვი, ლუარსაბოვი; სომხური მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან — აბალიანი; ერევნის სახელმწიფო თეატრიდან — შამირხანიანი; პრესის მუშაკებიდან — შ. ბუაჩიძე, ბ. შუმსკი და სხვა.

თათბირი გახსნა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თამჯდომარის მოაღილებ ამხ. ა. დუდუჩია და ვამ.

— ყველა ხედავს, — სთვა ამხ. დუდუჩიავამ, — იმ განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას, რომელსაც იჩენენ პარტია და ხელისუფლება შემოქმედებითი შრომის მუშაკებისაღმი. ყველა ხედავს იმ მიღწევებს, რომელიც გვაქვს მხატვრული კულტურის, კერძოდ თეტრალური ხელოვნების დარგში.

საბჭოთა თეატრი მსოფლიო თეატრია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ჩვენს ქვეყნაში სწარმოებდა, თავის სპეციფიურ გამოხატულებას პოულობდა თეატრულ ფრონტზეც. კლასობრივად უცხა ელემენტები, კლასობრივი მტერი ცდილობდა გაეპარებია ისეთი სპეციალურები, რომლებიც უცხო იყო საბჭოთა ხელოვნებისათვის, ჩვენი კულტურის ძირითადი მოთხოვნებისათვის.

ყველა ჯურის ფორმალისტები, ნატურალისტები და ვულგარიზატორები ერთდაიმავე მიზანს ისახავდნენ — სახელი გაეტეხათ საბჭოთა ხელოვნებისათვის, სახელი გაეტეხათ შემოქმედებითი შრომისათვის.

იმ დისკუსიაში რომელიც ფორმალისტებისა, ნატურალისტებისა და ვულგარიზატორების წინაღმდეგ სწარმოებდა, განსაკუთრებით მწვავეთ დაისვა ხელოვნების უბრალოების, ხალხურობის საკითხი. თავის მხრივ ეს საკითხი ორგანიულად გამოიმდინარეობდა ხალხური შემოქმედების პრობლემის, ძველი კულტურის ათვისების პრობლემის სწორი გაგებიდან.

ამ საკითხშიაც იყო ცდები ეგრეთშოდებულ „მემარცხენების“ მხრიდან უარესოთ ცველავერი, რაც საუკუნეების მანძილზე იყო შექმნილი, უკუგლით ცველავერი ძველი, რომლის ელემენტებიც დღემდე ინარჩუნებენ, როგორც მარქსი მმდობდა, მიუწვდომელი წინშების მნიშვნელობას.

„დევგმირების“ მოხსნის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამ კონკრეტულ მაგალითზე ერთხელ კიდევ გამოჩენდა, თუ როგორ არ უნდა ავითვისოთ ხალხის ისტორიული წარსული.

დემიან ბედნიმ დასწერა პიესა „დევგმირები“. ამისათვის ის წაკეშა კამერული თეატრის ხელმძღვანელმა ა. თაიროვით. და ეს საკითხი — რუსეთის დიდი ხალხის რევოლუციური წარსულის კრიტიკულად ათვისება — მან არა თუ მიჩქმალა, არამედ პრინციპულად თავდაყირა დააყენა. „დევგმირებში“ იდეალიზებულია ყაჩალები, რომელთა შესახებაც ხალხური ეპოსი ამბობს, რომ ისინი პირადი გამორჩენის ადამიანები იყენენ, და სახელგატენილია ხალხის საყვარელი გმირები — დევგმირები, რომლებიც ყოველთვის ებრძოდნენ ამ ყაჩალებს.

და როგორც ლოგიკური დასკვნა ყველა აქედან დემიან ბედნი მახინჯათ მიუდგა რუსეთის მონათვლის საკითხს. თქვენ იცით, რომ რუსეთის მონათვლა დადგბითი ფაქტორი იყო რუსეთის ხალხის განვითარებაში კიევის რუსეთი, მოსკოვის რუსეთი და საერთოდ მთელი რუსეთი მაშინ დაუახლოვდა მაღალი კულტურის ხალხებს ასე, რომ ისტორიული პერსპექტივის უალსაზრისით რუსეთის ხალხის განვითარების თვალსაზრისით რუსეთის მონათვლა რასაკერველია, დადებითი უწოდო იყო. ეს კერ გაიგო დემიან ბედნიმ და მისი შეცუმა გააღმაგა თაიროვამა, რომელმაც ეს ფაქტორი უარყოფით მოვლენად გამოიყანა რუსეთის ხალხის ცხოვრებაში.

კამერული თეატრის ეს დადგმა მოხსნილ იქნა რეპერტუარიდან, როგორც უცხო, მტრული დადგმა, რომელიც ამახინჯებს რუსეთის ხალხის რევოლუციურ წარსულს.

კამერულ თეატრს თავის შემოქმედებით ინვენტარში არა ერთხელ ჰქონია ჩავარდნა, აიღეთ „ტარელკინის სიკედილი“, „ნატალია კარბოვა“, „ბაგროვი ოსტროვ“ (კონტრარევოლუციური პიესა) „თანასწორთა შეოქმულება“, „ეგვიპტის ლამეები“.

მიუხედავათ იმისა, რომ კამერულ თეატრს ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ, რათა მას საქმით მოხერხებია გარდაქმნა, მიუხედავათ იმისა, რომ თეატრის ხელმძღვანელი ბეკრ ლაპარაკობდა ყრილობებზე გარდაქმნის შესახებ, ფაქტიურად არავითარი გარდაქმნა არ მომდარა და კამერულმა თეატრმა კერ მოხერხისა საბჭოთა კავშირის მოწინავე თეატრების რიგში ჩადგომა. კამერული თეატრი ისევ მოესთეტო თეატრად დარჩა, რომლის შემოქმედებითი მეთოდი მანქანა-გრეხებაში გამოიიხდა. კამერული თეატრი მოწყვეტილი დარჩა საბჭოთა სინამდვილისაგან, ის მტრული აღმოჩენდა საბჭოთა ხელოვნებისათვის, მისმა უკანასკნელმა დადგმაშ („დევგმირები“) კიდევ უფრო დაადასტურა ეს აზრი.

უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაკები ხელოვნების საქმეთა საკითხი- 13

რო კომიტეტის დადგენილებას. ამ დადგენილებიდ თეატრებს ისეთი დასკვნა გამოაქვთ, რომ აუცილებელია რეპერტუარის გადასინჯვა, გაჯანსალება, აუცილებელია ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლა. საჭიროა აქე-დან დასკვნა გავაკეთოთ ჩვენც საქართველოში.

თქმა იმისა, რომ ჩვენ დაზღვეული გართ ასეთი ჩა-გარდნებისაგან, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. წარსულში ჩვენ გვქონდა ჩავარდნები და საკმაოდ სერიო-ზული ჩაგარდნებიც.

ხალხური შემოქმედების ელემენტების სრული დამა-ხინჯვა გვაქვს ჩვენ, თუ გნებავთ, ისეთ პიესაში, როგო-რიც არის „ლამარა“.

ისტორიული წარსულის, მშრომელი ხალხის მიერ ფეოდალურ მხაგრელების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის შეცდარი გაგება გვაქვს ჩვენ ისერა „ბახტრი-ონში“. მე უნდა ვსთქვა კადევ, რომ ხალხის რევოლუციური ნებისყოფის გაბიაბრუების ელემენტები არის ნაწილობრივ „ყვარევარე თუთაბერშიც“.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ ქართველი მშრომე-ლი ხალხის რევოლუციური პროტესტის თავისებული პრო-ფანცია არის „არსენას“ დადგმაში, რომელიც თავის დროზე განსენებულმა მარჯანიშვილმა განახორციელა.

თეატრებმა, მე ვფიქრობ, უნდა გადასინჯონ, გას-ტმინდონ თავისი რეპერტუარი, რადგან „დევგმირებას“ შესახებ მიღებული დადგენილება მთელ რიგ მნიშვნელო-გან საკითხებს აყენებს თეატრალურ ცხოვრებაში.

რასაკირველია, ძირითადი მომენტია საკითხი ის-ტორიული პიესის ტიპის შესახებ. როგორი უნდა იყოს ისტორიული პიესა, შეიძლება ისტორიულმა პიესამ არა-ფერი უთხრას თანამედროვე მაყურებელს, შეიძლება ის-ტორიული პიესა მარტო წარსულ დღეთა მოთხოვობა იყოს? რასაკირველია, არა. ისტორიულია პიესამ უნდა აალე-ვოს მაყურებელი, ეს კი მოხდება მხოლოდ მაშინ, როდე-საც ისტორიული წარსული ათვისებული იქნება მარქს-ლენინ-სტალინის უდიდესი მოძღვრების თვალსაზრისით.

ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენს სინამდვილეზე და დავსახოთ ლონისძიებანი ისტორიული პიესების შესაქ-მნელად.

ამხანაგ ბერიას მოხსენება — „ამიერ-კავკასიის ბოლ-შევიეური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ — დიდ შესაძლებლობას აძლევს ყველა ჩვენს დრამატურგს, მხატვარს და ხელოვნების სხვა მუშაკს. მხატვრებმა იქი-დან საჭირო დასკვნა უკვე გააკეთეს.

ამ. დუდუჩავას შესავალი სიტყვის შემდეგ გაიხსნა კამათი.

ვ. ბოკუჩავა. ხელოვნების საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის დადგენილება სცილდება კამერუ-ლი თეატრის ფარგლებს. ამ გადაშევეტილებას ლრმა პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ამხანაგი დუდუჩავა ლაპარაკობდა, რომ საკითხი ეხება არა მარტო ისტორიული პიესების დადგმას, არა-მედ ამ პიესების ტიპს, საკითხი ეხება იმას, თუ როგორ უნდა უჩქვენოთ მაყურებელს ხალხის წარსული ისტორია.

არის აქ კიდევ საკითხის მეორე მხარე. საქმე იმა-შია, რომ ისტორიული წარსულის დამახინჯება ძალიან ხშირად იწვევს თანამედროვე სინამდვილის დამახინჯება-საც. ამიტომ უნდა გადავსინჯოთ რეპერტუარი, შევამოწ-მოთ — გვაქვს თუ არა ისეთი პიესები, რომლებიც ამახინ-ჯებენ ხალხის წარსულს და ამშეოს.

ამასთან დაკავშირებით იბადება ფოლკლორის გა-მოყენების საკითხი. გვაქვს თუარა ჩვენ ფოლკლორის და-მახინჯებულად გამოყენების ელემენტებიც რესურსებულება, გვაქვს. ამის მკაფიო მაგალითია „ლამარას“, დაზღვანებუ-ლაველის თეატრში, სადაც ფოლკლორის დამახინჯებუ-ლად არის მოცემული, ისე, როგორც ეს თეატრის მაშინ-დელ ხელმძღვანელს.

თუ ავილებთ რუსთაველის თეატრის კიდევ ერთ დადგმას — „თეოთულდს“, უნდა ვსთქვათ, რომ „თეოთულდ-მა“ და მახინჯებულად წარმოგვიდგინა თანამედროვეობა და ამას ნაკლები ზიანი არ მოაქვს, ვიდრე ხალხის წარ-სულის დამახინჯებას.

მე ვფიქრობ, რომ პიესა „შამილი“, რომელიც მიღი-ოდა მარჯანიშვილის თეატრში, დამახინჯებულ წარმოდ-გენას გვაძლევს იმ ბრძოლაზე, რომელსაც აწარმოებდნენ კავკასიის ხალხები ცარიშმის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ხალხის ბრძოლა არსებითად აყვანილია პირად ინტრი-გამდე შამილისა და მის გარშემო მყოფ პირებს შორის.

ყველაფერი ეს მოითხოვს ფხიზელ მიდგომას რეპერ-ტუარისადმი. არა მარტო თეატრის ხელმძღვანელობამ უნ-და გადასინჯოს რეპერტუარი, არამედ ამ საქმეში უნდა ჩაებას ფართო საზოგადოებრიობაც.

გ. გუგუნავა. ხელოვნების საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის დადგენილება უფრო იდრე უნდა ყოფილიყო მიღებული და აი რატომ. ამ რამდენიმე ხნის წინათ რუსთაველის თეატრში მოხდა ხელმძღვანელობის შეცვლა. ეს თავის დროზე დადასტურებულ იქნა (კ. კ-ის გადაშევეტილებით). რა ედო საფუძვლად ამ გადაშევეტი-ლებას ი თეატრის მაშინდელი ხელმძღვანელის ამეტელის მთელი რიგი პრინციპული შეცდომები. ამ საკითხზე სწარ-მოებდა ფართო მსჯელობა, როგორც თვითონ თეატრში, ისე მის გარეთ. მე ვფიქრობ, რომ ამეტელის ისტორია ჭიუსის მასშავლებელი უნდა ყოფილიყო სხვა თეატრები-სათვისაც, არა მარტო აქ, არამედ მთელს კავშირში, რადგან ამეტელის მუშაობაში გამომუღავნებულ იქნა ნა-ციონისტური ხასიათის შეცდომებიც. მაგრამ სამწუხა-როდ ამ ფაქტს სხვა რესპუბლიკებში გამოხმაურება არ მო-ჰყოლია. მე ვფიქრობ რომ ამეტელის ფაქტი არ იყო რაღაც კერძო საქმე რუსთაველის თეატრისა, ეს საერთო საქმე იყო იმიტომ, რომ ასეთი შეცდომა ბევრ თეატრს ჰქონდა.

აიღეთ ამეტელის „ლამარა“. ჩემის აზრით, ბევრია საერთო ამეტელსა და თაიროვს შორის „ლამარას“ შე-სახებ ბევრი იწერებოდა, იყო უარყოფითი რეცენზიები, პრესამ არ მიიღო ეს სპექტაკლი, და მაინც სანამ ის თითონ არ მოიხსნა სცენიდან მის აკრძალვაზე საკითხი არ დასმულა.

მე ვფიქრობ, საჭიროა ამ დადგენილების ფართოდ დამუშავება ცალკე თეატრებში.

ა. ჭყონია. დღემდე ლიტერატორებიც და დრა-მატურგებიც არჩევნენ ეწერათ უფრო ისტორიულ თე-მებზე, ვიდრე თანამედროვე თემატიკაზე. იყვნენ ისეთები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ფაქტების დამახინჯება აუცილებელია. ზოგჯერ აქ ჭყუის ძალდატანებასთან ერ-თად აღგილი ჰქონდა მავნებლობასაც.

ვიღოთ კონკრეტული მაგალითები საოპერო ცხოვ-რებიდან. „ქეთო და კოტე“ დადგმაში მოცემულია 80-იანი წლების თავადაზნაურობა და ვაჭრები. მართალია, ოპერა კომიტურია, მაგრამ აქედან არ გამოდის, რომ სა-ჭიროა ცალკე გმირების რაღაც მახინჯებაზ გამოყვანა. ამხანაგმა ბერიამ სთქვა — გვიჩვენეთ თავადაზნაურობა იმ

სახით, როგორიც მას ჰქონდათ. თუ ჩვენ გვინდა ხაზი გაუსვათ პროლეტარიატის გამარჯვებას, ოქტომბრის რევოლუციის ძალას, ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ის ფენებიც, ის კლასებიც, რომელთაც ებრძოდა პროლეტარიატი, იმ სახით, როგორიც მას ნამდვილად ჰქონდა. თქვენ გახსოვთ, აღმართ, თუ როგორ არის დადგმაში წარმოდგენილი თავადი ლევანი.

ზოგჯერ საქმე ანეგდოტებამდე მიღიოდა. მაგალითად, „შოთა რუსთაველში“ განხრახული იყო დედოფლის ძალზე ფსირცხვილო სახით წარმოდგენა.

ანდა ავილოთ პიესა „კაკ დ გულში“. ეს დაცინვაა იმაზე, რაც ჩვენს გარშემო ხდება. კინო სურათმა „ჩაბაევმა“ სწორედ იმით გაიმარჯვა, რომ ის რეალისტური სურათია, კლასობრივი მტერი ნაჩვენებია ისე, როგორიც ის სინამდვილეში იყო. ამით უფრო ხაზვასმულია პროლეტარიატის ძალა.

ა. ვასაძე. როგორც სჩანს, კამერულ თეატრში ისეთივე ისტორია ყოფილა, როგორც ახმეტელის გარშემო. იქ დახშულია ყოველგვარი თვითერიტიკა. ჩვენ ვიცნობთ კამერული თეატრის საუცხოვო კოლექტივს, რომლის ხმაც დღემდე არ გაუგონია არცერთ საბჭოთა თეატრის. ეს რაღაც განცალკევებული თეატრია, ეს რაღაც კარჩაეტილობაა, სადაც თაიროვა მეფობს.

თაიროვის ლოზუნგი რიტმის შესახებ ეხმაურება ახმეტელის ლოზუნგს. აქტიორი მხოლოდ რიტმის გამოხატულება იყო. ერთიც და მეორეც თითქმის ცეკვის რიტმზე აგებდნენ დარამატიულ სპექტაკლებს. ცხოვრებამ გვიჩვენა ამ თეორიების მთელი უსაფუძვლობა.

ჩვენ ვერ შემოვიფარგლებით მარტო „დევგმირებით“. მე სწორად მიმჩნია ამს. გუგუნავას წინადადება, რომ ეს დადგენილება ფართოდ განვიხილოთ თვითეულ კულტურულ საწარმოში და გადავინჯოთ ჩვენი მუშაობა.

მე უნდა შევჩერდე კრიტიკაზე. ამ საქმეში მცირე როლს არ თამაშობს კრიტიკა. აქ აღნიშნავდნენ, რომ კრიტიკა იყო „ლამარაზეც“, „თეოთულდზეც“ და „კაკალ გულზეც“. იყო კრიტიკა „შამილზეც“, მაგრამ ამ სპექტაკლებს ლირსული შეფასება არ მიუღიათ. ჩვენ ერთი მავნე ტრადიცია გვაქვს და კრიტიკაში ეს ხშირად იჩენს თავს—ეს არის ან ხელალებითი გინების, ან ხელალებითი ქების ტრადიცია. ლესინგი ამბობდა, რომ ნამდვილი კრიტიკოსი ის კი არ არის, რომელიც თავზე გვახვევს თავის გემოვნებას, არამედ ის ვინც საქმის შინაარსილან გამოდისო. აი ეს შინაარსი გვაკლია ჩვენ. კრიტიკოსი პასუხისმგებელი უნდა იყოს თავისი წერილებისათვის. ძალიან ხშირად პიესის ავტორის ლირსებებს მიაწერენ თეატრს, ანდა პირიქით. ეს ორივეს უბნევს გზაკვალს და ორივეს-თვის საზიანოა.

დ. ანთაძე. თაიროვს პირველად არ მიუთითობენ შეცდომებზე. მე მახსოვეს წერილები „სოერტსკო ისკუსტვოში“. განსაკუთრებით ხშირად სწერდა თაიროვის შეცდომებზე, „კომსომოლსკაია პრაგდა“. თაიროვი გამოიდიდა თაბირზე, პრესაში და იძლეოდა დაბირებებს, მაგრამ, როგორც სჩანს, კონკრეტულ ზომებს გარდაქმნისათვის არ ლებულობდა.

ახლა, ჩემის აზრით, სდგას არა მარტო „დევგმირების“, არა მარტო ისტორიის დამახინჯების საკითხი, არამედ საერთოდ კლასიკოსების დამახინჯების, თანამედროვე თემატიკის შემცდარად გავების საკითხი. აი ამ მხრიდან უნდა მიუდგეთ ჩვენ რეპერტუარს. თეატრებმა უნდა გადასინჯონ პიესები, გაითვალისწინონ თავისი შეცდომები გამოისწორონ ისინი.

კ. შახაზიზ თეატრის რეპერტუარში გადასასინჯავი თითქმის არაფერია. ჩვენ ახალ პროდუქციაზე ვმუშაობთ. შეიძლება შეცდომა იყო „დიდო დადო“ დადგმა. რაც შეეხება კლასიკოსებზე მუშაობას, ჩენის თეატრი ამ მხრივ ახალგაზრდა თეატრია. ჩვენ ვმუშაობდით შილერის პიესაზე „ფიესკოს შეთქმულობა“. სპექტაკლი ჩენის მიერ ცუდათ იყო დადგმული და ის მოკლე ვადაში მოვხსენით, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში წარმატება ჰქონდა. ჩვენ ზარშან დევდგით „ვა კუუ საგან“, სადაც მთელი რიგი პერსონაჟები კარიკატურულად გამოიყვანეთ. წელს ხელახლა ვიმუშავებთ ამ პიესაზე. ამებად ჩვენ ძალიან ფხიზლად ვუდგებით კლასიკოსების საკითხს. ისტორია, რომელიც კამერულ თეატრს შეემოზვა, კიდევ უფრო თვალნათლივ გვიჩვენებს თუ რას მოითხოვნ ჩენგან პარტია და მთავრობა.

იყო დრო, როდესაც ჩვენ მივღიოდით მდიდრულად გაფორმებული სპექტაკლების გზით. მე ვფიქრობ, მომავალში ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებთ, მე მინდა ესთხოვო ხელოვნების საქმეთა კომიტეტს რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაგვაკავშიროს ხელოვნების მუშაკები. ჩვენ, თბილისის თეატრალური მუშაკები, სუსტად ვიცნობთ ერთმანეთს და ასეთ პირობებში მუშაობა ძნელია.

გ. სააკოვი. მე ვფიქრობ, „დევგმირების“, შესახებ მიღებული და დაგენილება საფეხით დროული და სწორია.

ჩვენი თეატრი თბილისის თითქმის ყველაზე ახალგაზრდა თეატრია, მაგრამ მასაც საქმაოდ მოეპოვება შეცდომები. თუმცა ჩვენ დიდი ხანი არ არის, რაც დავიწყეთ მუშაობა, მაგრამ ფორმალისტური ხასიათის მანქანა-გრეხვა ჩვენს თეატრში საკმაოა.

კრიტიკის საკითხი ჩვენთვის ყველაზე მშვავე საკითხია. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაში ვართ. კრიტიკის საკითხი ჩვენ მთელი სიგრძე სიგანით უნდა დავსვათ, რაღაც უკრიტიკოთ მუშაობა ძნელია.

ა. ხორავა. პოლიტიკურად ჩამორჩენილი თეატრები ყველთვის ღრმა პოლიტიკურ შეცდომებს უშვებენ. ჩვენი თეატრის მუშაობა ეს მხრივ საგულისმო მაგალითს იძლევა. წარსულში ფიქრობდნენ, რომ ხელმძღვანელი თეატრში ერთია და ის ვალდებულია ყველას მაგივრად იყიდებოს. ასეთი ატმოსფერო არა სასურველ სიტუაციას ქმნის. თეატრში უნდა იყოს თვითერიტიკა. ერთი კაცი კი არ ხელმძღვანელებს თეატრს, არამედ მთელი კოლექტივი.

არასოდეს არ მომხდარა წარსულში რომ ჩვენს თეატრში დაწინაურებულიყოს ვინმე, გარდა ხმრავასი და ვასაძისა. „არსენაში“ კი ერთბაშად დაწინაურდა მრავალი.

ჩვენ არ გვქონდა საქმაო თვითერიტიკა და ამის გამო, ნებით თუ უნებლივე, გვეპარებოდა კონტრრევოლუციური იდეები. ასეთი ისტორია ხდებოდა კამერულ თეატრშიც. იქ ზის ერთი კაცი, ხელმძღვანელებს საქმეს ისე, როგორც მოეპრიანება, ეყრდნობა იმას, ვინც მისი სასიამოვნოა და ამის შედეგად თეატრი შემოქმედებითი ჩიხში მოხვდა. საქმე იქამდე მიიღიდა, რომ ის ეს მაურება უკვე კონტრრევოლუციურ განწყობილებებს.

თვითერიტიკა აუცილებელია. უნდა ვიზრუნოთ აქტიორზე. აქტიორს უნდა განუვითაროთ თვითერიტიკის გრძნობა, მაშინ ასეთ უმსგავსოებას ადგილი არ ექნება.

აილეთ ვახტანგოვის თეატრი. წარსულში ის იმ მდგომარეობამდე მივიდა, რომ ის უნდა გაერექტა. გაჩნდა კარჩაკეტილობა, ჯვულები, მაგრამ წელს თვითერი. 15

ტიკის წყალობით თეატრი კვლავ გამოცოცხლდა. ვახ-  
ტანგოვის თეატრში გაჩნდა რაღაც საღი საჭყისი.

ასეთივე ბედი მოელის ყოველ თეატრს, საღაც დი-  
რექტორი არ არის დაინტერესებული მასით, საღაც კო-  
ლექტივი მანეკენის მდგომარეობაში ვრჩნობს თაქ.

შამირხანიანი. მე ზემთხვევითი სტუმარი ვარ  
დღეგანდელ თათბირზე. მე ერევნის თეატრის ერთერთი  
ძირითადი რეჟისორი ვარ და უნდა მოგახსნოთ, რომ ის  
დამახინჯებანი, რომელზედაც აქ იყო ლაპარაკი, არის არა-  
მარტო მოსკოვში, არამარტო თქვენთან, არამედ ჩვენთა-  
ნაც ჩვენი ეს დამახინჯებანი მივიდა იქამდე, რომ შექსპი-  
რი ჩვენს სცენაზე თითქმის სოციალ-დემოკრატად გამოი-  
ყვანეს. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ კარგ სპექტაკ-  
ლად ითვლებოდა ისეთი, რომელიც ჭრელად გამოიყურე-  
ბოდა, საღაც ბევრი იყო ცეკვა, სრულიად ანგარიშს არ  
უწევდნენ ისეთ ძალას, როგორიც აქტიორია, სპექტაკ-  
ლები კი სწორედ ავტორის აზრიან თამაშს უნდა ეყრ-  
დობოდეს. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ კრიტიკას და თეატ-  
რის მუშაკთა უმრავლესობას კარგად არ ესმოდათ ხე-  
ლოვნების მიზანი და დანიშნულება.

დღეს, ჩემის აზრით, საჭაროა დაისვას მარქსისტუ-  
ლი მსოფლმხედველობით შეიარაღებული კადრების მომ-  
ზადების საკითხი. შემომქმედი მუშაკები უნდა დავაყენოთ  
წარსული კულტურის და დღევანდელი სინამდვილის სწო-  
რად გაგების გზაზე. უძისოთ ჩვენ ვერ მივაღწევთ იდე-  
ურ სიწმინდეს და უბრალოებას, რომელსაც ჩვენგან მო-  
ითხოვენ.

აბოლიანი. მე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენში გამოხატულებას ვერ პოულობს ყველა ის საკითხი, რომე-

ლიც მოსკოვში ისმება. მაგალითად, წამოყენებული რყა/  
საკითხი მდიდრული დადგმების შესახებ. არავისთვის საი-  
დუმლოებას არ შეადგენს, რომ ასეთი დრულებული წევებზე  
ჯებერ პიესებს.

შეისტაციონი მართალი იყვნენ ამხ. შახაზიზოვი და ხორა-  
ვა, როდესაც ამბობდნენ, რომ თეატრალური ოჯახის წევ-  
რები მოწყვეტილი არიან ერთმანეთისაგან. მოსკოვში  
პირველ სპექტაკლს ესწრებიან თეატრალური მუშაკები.

მე ვფიქრობ, ხელოვნების საქმეთა სამართველომ  
საჭირო დასკვნა უნდა გააკეთოს აქედან. თეატრალური  
საზოგადოებრიობა თანამონაწილე უნდა გავხადოთ სპექ-  
ტაკლის მიღებისა.

დასასრულ, ამხ. დუღუჩავამ შეაჯამა რა თათბირის  
მუშაობა, აღნიშნა, რომ „დევგმირების“ შესახებ მიღე  
ბულ დადგენილებას საქართველოს თეატრალურში საზო-  
გადოებრიობაშ უნდა უპასუხოს ახალი შემოქმედებითი  
აღტკინებით, თეატრის მუშაობის გაჯანსაღებით.

თათბირმა აუცილებლად სცნო განხილულ იქნას ხე-  
ლოვნების საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის დად-  
გენილება ყველა ცალკე კოლექტივში.

მოეწყოს დასკვნისა კლასიკური მემკვიდრეობის ათ-  
ვისების პრობლემებზე.

დაევალოს უურნალ „საბჭოთა ხელოვნებას“ სისტე-  
მატიურად ბეჭდოს წერილები კლასიკური მემკვიდრეობის  
ათვისების საკითხებზე.

მოეწყოს კრიტიკოსთა სისტემატიური შეხვედრა  
თეატრებთან.

მოეწყოს თეატრალურ კრიტიკოსთა თათბირი.



მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

ლოპე დე ვიგა — „ცხვრის წყარო“

მარცხნიდან: ვ. ვ ი ძ ი ა შ ვ ი ლ ი — მენგო, წ. ს ი ბ ი ლ ი — პასკვალი, პ. კ ი ბ ა ხ ი დ ი — ფრანდოზო



ଶ. ଶ. ଶ. ରମେଶ୍ ପଣ୍ଡିତ ପାତ୍ରମାନ ଅଳ୍ପଦୂଷିତ  
ଛ. କ. ପାତ୍ରମାନ



# სურამის ციხის ლეგენდის ჭარბოშობა და მისი პარალელური მსოფლიო ფოლკლორი

მსოფლიო მასშტაბით აღებული ხალხური შემოქმედება, იქნება იგი პოეტური, მუსიკალური თუ სხვა, ნათესაობისა თუ მსგავსების მხრივ, დიდ საოცრებას წარმოადგენს. ერთმანეთისაგან სავსებით მოწყვეტილი მოდგმები, ააშკარავებენ თავისი შემოქმედების ისეთ ნათესაობას, მოტივებისა და სიუჟეტების ისეთ შეხვედრას და იგივეობასაც კი, რომ სრულიად უქმარისად მოსჩანან ის თეორიული დებულებები, რომელთ მიხედვითაც მეცნიერები სცდილობენ ამ საოცარი მოვლენის ახსნას. ესა თუ ის ძეგლი, რომლიც ოდესალაც სცოცხლობდა და იმისი არსებობის შესახებ მხოლოდ არქეოლოგიურმა გათხრებმა მოგვცეს საბუთები, დღესაც ცოცხალია სულ სხვა მოდგმათა შორის, და ისევე, როგორც ყოვილა მრავალი საუკუნის წინარე. მაგ. ზღაპარი „ორი მმის“ შესახებ, რომელიც უძველესი ეკვიპუტის ძეგლებში აღმოჩნდა. ეს ზღაპარი დღესაც ცოცხალია საქართველოში, და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა მოდგმათა შორისაც. ან და ბაბილონური „გილგა მეშიანი“, რომლის ცალკე ეპიზოდები თითქმის სიტყვა-სიტყვით არის შენახული დღემდე. მაგალითების დასახელება მრავალი შეიძლება. ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ზღაპარი საერთაშორისო მოვლენად გამოცხადდა და მთელს მსოფლიოში არსებულ აურებელ ზღაპართა ტიპოლოგიამ, რაღაც, 50-ოდე ფაბულარული სქემა მოგვცა, რაც საფუძვლად უდევს მთელ ქვეყნად მოარულ ზღაპართა ურიცხვ რაოდენობას.

რასაკიირველია, აკლიმატიზაციის მომენტიც ხშირი არის, როდესაც უცხო ზღაპარი შეეგუება ახალ პირობებს, ყოფიერებას, მსოფლმხედველობას და სხვ... რაც გამოიყვეს X ტიპის ახალ ვარიაციას, მაგრამ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლადაც, ერთი და იგივე ტაბი იქნება სრულიად ერთმანეთისაგან მოწყვეტილ მოდგმათა შორისაც. ჩვენს ზღაპარში, ეშმაქის როლში თუ მელა გამოდის, აზის ზოგიერთ მოდგმათა შორის, იმავ როლში ტურა არის გამოყვანილი, ამერიკის ზანგებ შორის კურდლელი, აფრიკაში—ან კუ, ან კურდლელი. ისევე, როგორც ჩვენებულ ნაცარ ქექისა უძმობილდება რუსების ივანუშკა-დურაჩიკა, გერმანული ჰანსი, ფინების მათე და სხვა... მაგრამ ძირითადი სქემა მაინც ერთი რჩება. ძველ საბერძნეთში არსებული როგვა კერაინი, ჩრდილო ამერიკის ინდიელებს აღმოაჩნდათ. უძველესი თქმულება ჰერა-დიონისეს შესახებ (ბერძნული), თითქმის სიტყვა-სიტყვით არის შენახული ქართული გერის — თავის თქმულების სახით. „ ილიადა-ოდისეიას“ მითოლოგია დღესაც უხვად არის განვითარებით ეს შეიძლება ითქვას ქართული ზღაპრისა და ეპიურ ციკლთა შესახებ. ერთი სიტყვით, რა მოტივიც არ უნდა ავილოთ, ყველას ექცევება შესაფერი პარალელი და ნათესავი, როგორც თანამედროვე მოდგმათა შო-

რის, ისე უძველეს და დალუპულ ცივილიზაციათა წრეში. ასეთი ზედმიშვნითი მზგავსების ასახსნელად კარგახანია. რაც ამუშავებულია მეცნიერული აზრი, გარკვეული პასუხი არსებობს ამა თუ იმ სკოლის მხრივ, მაგრამ ეს ნათესაობა ბევრად უფრო დამაფიქრებელია და თუ გნებავთ უცნაურიც, ვიდრე ის ახსნა, რომელსაც მეცნიერება იძლევა. ეს კა იმიტომ ხდება, რომ უფრო დამაზ ერ ბელი პასუხისათვის ჯერ არც მასალა აღწერილა, და მაშასადამე არც შესწავლილი ისე, როგორც ეს საჭარო არის მეცნიერული დასკვნების მიღებისათვის.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ლეგენდების ანუ თქმულებათა ქვეყანაში. მთელს ქვეყანად არის მოდებული ერთი და იგივე თქმულება აღაზიანის შექმნის შესახებ, ლეგენდები გადაგდებულ ბავშვთა შესახებ, წარლვნის შესახებ და სხვ... რომელთა ჩამოთვლაც საქმაოდ დიდ ადგილს მოითხოვდა. ინგლისელ მეცნიერს ფრეტერს, მთელი დიდი წიგნი აქვს დაბეჭდილი ფოლკლორის შესახებ „დაბადებაში“ (ბიბლია) და აქ „დაბადებაში“ შესულ ლეგენდარულ მასალას მოძებნილი აქვს ანალოგიები ისეთ შორეულ ქვეყნებშიც კი, როგორც ავსტრალია არის, ახალი გვინეია, შელანგზია, პოლინეზია, მიკრონეზია, მექსიკა და სხვ... და არა კულტუროსან მოდგმათა შორის, არამედ ნახევრად კულტუროსან და სრულიად უკულტურო მოდგმათა შორისაც.

ან და ავილოთ ლეგენდა ცეცხლის მოტაცების შესახებ. ბერძნულ პრომეტეს და ქართულ ამირანს თითქმის ყველგან ექცევება პარალელი. ავსტრალიაში, მურის მოდყვანებას, რომელიც განვითარების უმდაბლეს საფეხურზე იმყოფება, აქვს თქმულება, რომ ცეცხლი მოიტაცა აღამიანმა, რომელიც შემდეგ ფრინველად იქცა. ავსტრალიაშივე, სხვა მოდგმები, ცეცხლის მოტაცებას შეაგრძენს ზიაჭერენ. ახალ ზელანდიაშიც ცეცხლი მოიტაცა მაუიმ; კაროკების თქმულებით, ცეცხლის მომტაცებლად კოიოტი ითვლება. „ველებაში“ ცეცხლი მათარიშვანის მოტანილია, „კალვალაში“—ვეინეგერინენი... და მრავალი სხვა გმირის დასახელება შეიძლება, რომელიც ცეცხლის მომტაცებლის ძირითადი ტიპის ვარიაციას წარმოადგენს.

ლეგენდის ეს ხასიათი, მისი ძირითადი სქემის გავრცელებულება მთელ ქვეყანაზე—ძალიან საგულისხმო საკითხს წარმოადგენს. ამ საკითხს კვლევა კი აღძრავს საკითხს ლეგენდის წარმოშობის შესახებ, და ჩვენი დღევანდელი ცდაც ამ პრობლემის გამორკვევას ისახავს მიზნად.

მე ჯერ თავს ვინკებ ზოგადი დებულებების დადგენისაგან, რაღაც ამისათვის საჭირო მასალა ჯერ გახსილული და შესწავლილი არ არის. ჩვენა გვაქვს ლეგენდების სულ სხვა და სხვა ტიპები, რომელთაგან ზოგი თუ ახლოა სინადვილესთან, ზოგი სამაგიეროდ ისე არის დაშორებული, რომ თუ არა მეტად ფრთხილი და ღრმა ანალიზი, ისე მათ გულის გულს ვერ ჩავჭდებით და მაშასადამე 19

სინამდვილესთან კავშირსაც ვერ აღმოვაჩენთ. დღევანდელი ჩემითემის საგანი—კერძო ხასიათისა არის: ვიღებ ლეგენდათა ქვეყნიდან მხოლოდ ერთ ციკლ ს და იმისი ანალიზის გზით ვცდილობ გამოვარევით ჯერ-ჯერბით მხოლოდ ამ წყების ლეგენდათა წარმოშობის მიხეხი და განვითარების ხასიათი. რასაკირველია, კვლევის ტენდენცია, თუ გნებავთ ჯერ ფარული, იქით არის მიმართული, რომ ამ კერძო საკითხის ძიებიდან გამომდინარე დასკუნები განხოგადდნენ, მაგრამ ეს ტენდენცია მხოლოდ გამოუმელავ-ნებელ მაგისტრალად დარჩება, სხვა ძირითად ციკლოთა განწილვაძლე, რაც ჩემი მუშაობის შემდგომ საფეხურებს წარმოადგენს. ამ უამაღ კი, ჩემი ძიების თემა არის: ჩენ-ში საყოველთაოდ ცოდნილი ლეგენდა სურამის ციხის შესახებ, რომელიც ასე პაპულარული გახდა დანიელ ჭონქაძის მოთხოვნის წყალობით.

დანიელ ჭონქაძემ ეს ლეგენდა ოსტატურად გამოიყენა იმ კლასობრივი თუ წოდებრივი ანტაგონიზმის საჩერებლად, რომელიც ავტორსა ჰქონდა დასახული თავისი შემოქმედებითი ამოცანად. მაგრამ იმისი თქმა, რომ ეს კლასობრივი თუ წოდებრივი კოლორი ამ ლეგენდას იმ თავითვე ჰქონდა, რასაკირველია მართალი არ იქნება ეს ლეგენდა პირეულ-ყოფილი მაგიზმიდან მომდინარეონ ნ, თავისი განვითარების გზაზე, ამ ლეგენდამ დიდი ცვლილ ზები განიცადა. ამ ცვლილებათა მიხეხი—საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცვლაში უნდა მოიძებნოს, და აქედას გამომ დინარე—ფუნქციათა შენაცვლებაში.

ამ ლეგენდის ძირითადი სქემა ასეთია: სურამის ციხის აშენება უნდათ, მაგრამ ვერ იქნა და კედლები ვერ ამოიყვანეს. რამდენჯერაც აიტანეს კედელი, იმდენჯერ დაინგრა. ბოლოს, მკითხვის ჩემებით, კედელში ჩატანენ დედის-ერთა შვილს და ციხეც აშენდება. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ეს ლეგენდა საქართველოში მხოლოდ სურამის ციხის შესახებ კი არ არსებობს, არამედ რამდენიმე ციხისა და ეკლესიის შესახებ. ანალოგიური თქმულება არსებობს რაჭაში. „მინდა ციხის“ შესახებ. ლეგენდა მოგვითხრობს: —ამ ციხის ამშენებელს ძალიან გასჭირებია მისი საძირკვლის გამაგრება; თურმე რამდენჯერაც აუშენებია, იმდენჯერ ისევ დანგრევით. ბოლოს გაუგია, რომ ციხის საძირკვლის გასამაგრებლად საჭირო არის კედელში დაეტანებინა ცოკხალი ყალბული. ეს განწირული ყოფილა ვინმე, გვარად მინდელი, ის ჩაუტანებია ცოცხლად ქვით-კირში და ამის შემდეგ ციხის საძირკველი განტერიცებული. აქედან მომდინარეობს ციხის სახელიც: მინდა-ციხე, ანუ მინდელის ციხე. ანალოგიური თქმულება არსებობს ხონის ეკლესიის შესახებაც—როდესაც: ეკლესის აშენებლენ, ერთმა საოცარმა ამბავმა იჩინა თავი რამდენიც არ ააშენეს კედლები, იმდენი დაინგრა. ბოლოს ხალხმა გადასწყვიტა, რომ ეკლესია შესაწირავს თხოულობს. კენჭი ყარეს და შეხვდა ერთ ახალგაზრდას, სახელიდ ლევანს. ეს იყო დედის-ერთა შვილი, გვარად ბახტაძე. დედა შვილმა უარი სთქვეს ამ შესაწირავზე. მოახენეს მეფეს. ამ უკანასკნელმა ბრძანება გასცა, ძალით მოიყვანეს და კედელში ჩაკირეს. როცა ლევანს ჰქირავლენ დედა იქვე შორი ახლო იდგა და ეკითხებოდა; —შვილო ლევან, სადამდიო, ლ ვანი უპასუხებდა:—ვამე დედა კოკიმდისო. დედა კიდევ შეეკითხა და ამნაირად ამოყორეს კედლები. დედა მშუხარე ლ ქსით გამოეთხოვა:—“ჩემო შვილო ლევანა: ვო, მარგალიტის მტევნანგო”<sup>1)</sup>. ასეთივე ლეგენდა

არსებობს აფხაზეთში; კელასურის კედელი, ზოგის პორად რომ ჩამოდის, ვერა და ვერ ააშენეს. რამდენჯერ უკვე უკულუკ ყვანეს, იმდენჯერ დაინგრა. ბოლოს რომელიმე წერტილში და იმიტომ არის დესაც ეს კედელი მაგარიო.

მე მგონია, რომ იგივე მოტივი უნდა იყვეს შემდეგს ქართულ ხალხურ ლექსში:

მანგლისი რომ ააშენეს,  
წყარო ადინეს მილითა,  
ადგანან კალატონები  
გვერდებს ულესვეგ კირითა,  
შიგ ქალი ჩასვეს ლამაზი,  
თმა შეულებეს ინითა.  
მეცხვარე შემოეჩია,  
ყველს უზიდავდა სინითა...

მაგრამ როდესაც მეცხვარე ქალის მხრივ უარს მიიღებს, თავის სატრატოს მეცხვარე ასე ცწევლის:

მანგლისიც ამოვარდება  
ქვა აღარ ედოს ძირითა,  
შენ ქალო ლექსბს მიბეჭდე  
ვაი-ვაგლაშით, ჭირითა... და სსვ...

მართალია, ამ მოტივის გარკვეული კონტურები ამ ლექსში არა სჩანან, მაგრამ მგონია, რომ ამ ძეგლს იმდენი დოკუმენტი მაინც შეუნახავს, რომ ვიფიქროთ ამ მოტივის არსებობაზე. მაგ. რას უნდა ნიშნავ დეს ლექსის დასწყისი: მანგლისის შენებასთან დაკავშირებული ლამაზი ქალი— ადგან ნ კალატონები.

გვერდებს ულესებ კირითა,  
შიგ ქალი ჩასვეს ლამაზი,  
თმა შეულებეს ინითა.

საგულისხმო არის ლექსის დაბოლოვებაც:

მანგლისიც ამოვარდება,  
ქვა აღარ ედოს ძირითა,  
შენ ქალო ლექსბს მიბეჭდე და სსვ...

რასაკირველია, ხსენებულ ლექსს დაკარგული აქვს თავისი პირველყოფილობა, და სატრატიალო რომანტიკის შეუსია დავიშებულ თუ გადაშენებულ ლეგენდის ადგილები, მაგრამ შეჩრენილ რეალიების მიხედვით მაინც უნდა ვითიქროთ, რომ აქაც კედელში ჩატანებული ქალის დავიშებული ამბავი უნდა იყენეს საფუძვლად დადებული. მაგრამ ჩენი თემისათვის ამ მომენტს არა აქვს გადამშევეტი მნიშვნელობა. იგი საინტერესოა მხოლოდ იმდენად. რამდენადც თქმულება, რასაც პრინციპულად არა აქვს მნიშვნელობა.

ამ ლეგენდის პარალელები მხოლოდი ფოლკლორში საკმაოდ ბევრი არის, ამის შესახებ ცოტა ქვემოთ გვიქნება საუბარი. აქ კი მინდა აღვძრა ის საკითხი, რომლის გარკვევაც მიზნადა გვაქვს დასახული.

პირველი კითხვა ასეთი იქნება: რა ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო ეს ლეგენდა, და რა საფუძველი უნდა ჰქონოდა როგორც იმის წარმოშობას, ისე განვითარებასაც. ჩვენი პირველი დებულება ასეთია: უსაგნო ფანტაზია არ არსებობს; არც ლევანდა, არც ზღაპარი და არც სხვა რაიმე სახე შემოქმედებისა არა და ვერ წარმოიშვებოდა სრულიად გარკვეულ რეალიების გარეშე. ყოველგვარი ფანტაზია რეალიების ძირითა თავიანთ პირველის ძირი როგორც არის, ფანტაზია ტიყა კი იქ იშვება, სადაც რეალიები ჰკარგავენ თავიანთ პირველის ფუნქციას და ახალი ფუნქციისათვის, ან გადატანით მნიშვნელობა ეძლევა, ან შეტოლებითი, ან და განყენების გზით იშვება: მსგავს ნიშნების კომპლექსი, ნეზობლობის ასოციაციის საფუძვლზე, პარალელების გაერთიანება რომელსაც სინამდვილეში პირდაპირი შესატყვიის აღარ აქვს. ჩვენი ლეგენდის ძირიც სინამდვილეში უნდა მოიძებ-

<sup>1)</sup> იხ. საქ. მუხ. ფოლკ. განკ. მასალები. მელ. კალენჯერ. ჩინ არქივიდან, რე. 14. ჩაჭ. ბალ. მეგრელიშვილის მიერ.

ნოს, ეს სინამდვილე არის—მსხვერპლად შეწირვა ადამია-  
ნისა.

ამ სინამდვილეზე არის აღმოცენებული ეს ლეგენდაც.  
კაცობრიობის განვითარების გზაზე, ადამიანის  
მსხვერპლად შეწირვამ შედეგი საფეხურები განვლო:

I — ადამიანის მსხვერპლად მიტანა ნამდვილად.

II — ადამიანის მ. ბევრპლის შენაცვლება ცხოველით.

III — ცოცხალი არსების შენაცვლება ნივთით-სიძო-  
ლიური მსხვერპლი.

IV — ადამიანის მსხვერპლად მიტანა ა) როგორც  
მოგონება, ბ) როგორც დაუჯერებელი ამბავი, და გ)  
გადმოცემა გა გაფანტუსტიურება.

მე მეორია, ორმ ძირითად ლეგენდის წარმოშო-  
ბისა და განვითარების პუნქტი სწორედ არის მოძებ-  
ნილი, როს და აბუთებასაც ესლა შეუდგები.

I ადამიანის მსხვერპლად მიტანა ნამდვილად.

დღესაც, ზოგიერთ უკულტურო მოდგმას, წესად  
აქვს ადამიანის მსხვერპლად მიტანა. მაგ. აღმოსავლეთ  
აფრიკაში წესად ჰქონიათ მარტში, მამაკაცის და დედა-  
კაცის შეწირვა. ჯერ ნიჩბებითა და წერაქვებითა ჰქლავ-  
დნენ და შემდეგ შუა მინდორში მართავდნენ, რომ კარგი  
მოსაყალი მიეროთ.

კანარის მოდგმები, ყოველ-წლიურად, მკის დროს,  
ას ბავრებს სწირავდნენ მსხვერპლად.

ადამიანის მსხვერპლად მიტანა სცოდნიათ გვინეის  
სანაპიროებზე, ლაგოსში.

ეკვადორის ინდიელებს წესად ჰქონდათ ადამიანის  
სისხლისა და გულის შეწირვა, თესვის დაწყების დროს

კიტოს მოდგმები, ბერუს მოდგმები, მექსიკელები.  
ინდიელი პაუნები და მრავალი სხვა მოდგმა მისდევდა  
ამ წესს და ზოგნი დღესაც მისდევენ.

ინგლისელ მეცნიერს ფრეხერს ერთი ასეთი მაგა-  
ლითიც მოჰქავს, მნახელის მიერ წაწერილი:—სამოცდა  
ათი თუ ოთამაკი ჭლია წინად, გაქცეული ინგლისელი  
მეზღაური ჯონ ჯექსონი, ორი ჭლის განმავლობაში სცხოვ  
რობდა კუნძულ ფიჯზე, ველურებთან. იმისი იქ ყოფნის  
დროს, ველურება დაიწყეს თავიანთი მთავრის სახლის  
გაკეთება. ერთხელ ამ ჯექსონმა, იმ შენობის მახლობლად  
ყოფნის დროს, შენიშნა, რომ ამ ველურებმა, რამდენიმე  
ადამიანი მოიყვანეს და ცოცხლად ჩამარხეს ორმოებში,  
სადაც სახლის ბოძები იყო ჩადგმული. ველურები სცლი-  
ლობდნენ, რომ ჯექსონის ყურადღება სხვა რამეც გადა-  
ეტანათ, მაგრამ ეს უკანასკნელი სცდილობდა, რომ როგორ  
მე საბოლოოდ დარწმუნებულიყო ამ ფაქტის სიხამდვი-  
ლეში. მივიდა იგი ერთ-ერთ ორმოსთან და დაინახა შიგ  
კაცი, რომელიც ორივე ხელით ბოძს შემოხვეოდა. ჯექსო-  
ნის კითხვაზე, თუ ბოძთან ერთად ცოცხალ ადამიანებს რათა  
ჰჯლავთო, ველურებს უპასუხნიათ: ბოძები მალე გადაიქცე-  
ვინ, თუ ადამიანებმა ძირი არ გაუმაგრესო. და როდესაც  
ჯექსონმა კვლავ ჰქითხა: მკედარი ადამიანი ბოძს როგორ-  
და დაიმაგრებსო, ფრაგიელებმა უპასუხეს: რახან ადამიანმა  
გაჰქითხა საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვა, რომ  
ბოძი გაზარდეს, ამ მსხვერპლის ძალა აიძულებს ღერ-  
თებს, რომ მისი სიკვდილის შემდეგაც ის სახლი შეინახოს  
და დაიცვასო <sup>1)</sup>.

მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლებოდა,  
მაგრამ კმარია. ვნახოთ ასლა ადამიანის მსხვერპლად შეწირ-  
ვის არსებობა კულტუროსან მოდგმათა შორის. საბერძნეთ-

ლენინის ორდენის  
მაძრის და ბალეტის  
თეატრი



„აბესალომ და ეთერი“  
შურმანი — ორდენისანი  
მსახ. ს. ინაშვილი

ლენინის ორდენის  
მაძრის და ბალეტის  
თეატრი



„აბესალომ და ეთერი“  
შურმანი — ორდენისანი  
მსახიობი პ. ა მირანა ა-  
შვილი

ში იცოდნენ განკითხვის თხა ანუ ტარიგი, როდესაც მარ  
სელში, საბერძნეთის ერთ ერთ აყვავებულ ახალშენში  
შევი ჭირი ან სხვა რაიშე უბედურება გაჩნდებოდა,  
გამოარჩევდნენ ლარიბი კლასიდან ვინძეს განკითხვის თხად  
და მსხვერპლად სწირავდნენ. ამ მსხვერპლს მთელი ჭლის  
განმავლობაში ინახავდნენ სახელმწიფო ხარჯზე, ანგარიშებ-  
დნენ, აქმევდნენ საჟურნალო კერძოს. ჭლის თავზე ჰმოსავდ-  
ნენ სამღვითო ტალავარით, ჰროვავდნენ ნაკურთხო შტოებით  
და ასე დაჰყავდათ მთელ ქალაქში ლოცვა-ვედრებით. რომ  
ყოველგვარი უბედურება მხოლოდ იმის თავზე დატეხი-  
ლაყო. შემდეგ ამ მსხვერპლს გასდევნიდნენ ქალაქ გარეთ,  
ან და ჩაჰერილავდნენ ქალაქის გალიენის პირად <sup>2)</sup>.

ასევე იცოდნენ ათინაში, როდესაც ქალაქს რაიმე  
უბედურება დაატყედებოდა, გვალვა, შევი ჭირი, სიმშილი  
და სხვ... ხალხი ადამიანთა მსხვერპლს გაიღობდა, ერთს —  
გაჟებისათვის და მეორე — ქალებისოფის. აღსანიშნავია, რომ

<sup>1)</sup> იხ. ფრაგმენი: Le Rameau d'or. IV გვ. 162-163 რუს.

ასეთი მსხვერპლი სცოდნიათ ფარგელიის, დღეობაშიც, რომელიც ყოველ-წლიურად იმართებოდა (მკის დღეობა).

ლევა-დიის მცხოვრები, ყოველ წელიწადს, შეყვა-რებულთა კლდიდან ზღვაში აგდებდნენ რომელიმე ბოროტ-მოქმედს, და ეს იყო მსხვერპლი, ზღვის ლეთაებისადმი შეწირული. აյ ერთი გარემოება არის საგულისხმო, რომელიც ამჟამავნებს კაც-მოყვარეობის გრძნობის გაღიძებას, რაც შემდეგში ასეთი მსხვერპლის გაღების გაუქმებას გამოიწვევდა, განწირულს მოაბამდნენ ცოცხალ ფრინვე-ლებს, რამდენადაც შეიძლებოდა ბევრს, რომ ვარდნა უფრო ნელი ყოფილიყო, არა დამზადავი, ზღვაში კი ნავე-ბი უდარაჯებდნენ, რომ მსხვერპლი გადაერჩინათ, და ეს „განკითხვის თხა“ საღმე შორს გადაეკარგათ. ამ წესს, განკარდტმა ასეა. ასენა მოუქედნა, რომ ეს „განკითხვის თხა“ თვით ღვთაების განსახიერება იყო, შემოქმედ და გამანაყოფიერებულ ღვთაების განსახიერება, და ყოველ-წლიურად ამ განსახიერებას იმიტომა ჰქლავდნენ, რომ ღვთაება სიბერისა და დაუძლურებისაგან დაეცათ. ამ გამანაყოფიერებულ და აღმდგენელ ენერგიას, თითქოს, სამსხვერპლოდ განმავლებულს აცლიდნენ, რომ გადაეცათ მემკიდრისათვის... და სხვა. ეს სტიმულის მიცემა ჰქლდა ლეღვის შტოების ცემით გენიტალიებზე, რაც მიმ-ბაძევლობით მაგის წარმოადგინს<sup>1)</sup>.

ანალიგიური წესები ჰქონდათ რომალებსაც, სატურ-ნალიების დროს, რომელიც ყოველწლიურად იმართებოდა 17-23 დეკემბრამდე. ძველი ცნობებით, სატურნის საკურთხევლით დამაინთ სისხლით იყო ნასხურები. შემდეგ ეს მცაცრი მსხვერპლი ქანდაკებებით შეიცავა.

მიღანისა და ბერლინის მუხეუმებში დაცული ყოფი-ლა როი მანუსკრიპტი, რომელშიც აღწერილია სატურ-ნალიის დღეობა ქვედა მეზია<sup>2)</sup>. წესი ასეთი ჰქონიათ: დღეობამდე ერთი თვით ადრე— კენჭის ყრით ორევლენენ ახალგაზრდა და ლამაზ ვაჟს. ჰმოსავლენენ მეფურად, რო-გორც ეს სატურნის განსახიერებას შეეფერებოდა. ეს „მეფე“ ყველაფრის შემძლე იყო. მას თავისი უნდა და ვნება. იმისი „მეფობა“ ხან-მოკლე იყო და ტრაგიკულად მიაკრდებოდა. ერთი თვის შემდეგ, იმას ყელი უნდა გამოექრა სატურნის საკურთხევლზე. ეს სატურნალიები ჩე. ერას მეოთხე საუკუნეშიც კი იმართებოდა, და ადამიანის მსხვერპლად მიტანა ამ საუკუნემდე მოღწეულა.

იმავე ფრეზერის ცნობით, 303 წ. ჩ. ერ. სატურ-ნალიის დღეობისათვის მსხვერპლის არჩევის დროს, კენჭი რეგბია ქრისტიან ჯარისკაცს დაზის. დაზის. უარი განუც-ხადებია, როგორც ქრისტიანს, რომ მონაწილეობა მიეღო წირმართთა დღეობაში. მაშინ მოუკვეთიათ თავი და ტრადიციული მსხვერპლი მაინც შეუწირავთ, ეს მომხდარა 303 წ. ნოემბრის 20, მთვარის 24 დღეს, 4 საათზე.

არანაკლებ საგულისხმო ყოფილა ადამიანის მსხვერ-პლად მიტანის ცერემონიალი მექსიიაში. იეზუიტი აკოსტა მოგვითხრობს: მექსიკელები მსხვერპლად სწირავდნენ ან ტუსალს, ან ტყევს. „მსხვერპლად მიტანამდე, ისინი, ამ სამსხვერპლოდ გამავადებულს აძლევენ თავიანთი კერპის სახელს, რთავენ კერპისავე სამკაულებით და წარმოიდ-გენდნენ ამ კერპის განსახიერებად. იმ ხნის განმავლობა-ში, ვიდრე ამას მოითხოვს ეს რელიგიური რიტუალი, ხალხი ამ განსახიერებულ კერპს ისევე სცემს თაყვანს, როგორც თვით კერპს, ჰკვებავენ საუკეთესო სანოვაგით

და ანებივრებენ, ჰკველას მოაქვს საწუქარი, შესაწირავი, მოკყავთ ავადმყოფები დასალოცად, განსაკურნაციად—დღე-სასწაულის დღეს კი ჰქლავენ, გამოშიგნაშენ და ცეკვენ“ ასეთი არის ამ რიტუალის ზოგადი სახე. ცეკვე—ცნობით, რომელიც ფრანციული ბერს სახაულს ეკუთვნის, აცტე-კებს, ადამიანის მსხვერპლად მიტანა ასე სცოდნიათ: ჩე-ხუთე თვის პირველ დღეს (ჩენებული აპრილის 23-27) იხდიდნენ დიდ დღეობას. ამ დღისათვის სამსხვერპლოდ განკუთვნილი, მთელი წლის განმავლობაში მეფურად ჰყავ-დათ გამოწყობილი (მსხვერპლს ირჩევდნენ ტკვეთა შორის, ლამაზს, მოხდენილს, უზადოს), რომ მსხვერპლს კარგად სჭეროდა თავი, როგორც ეს შეეფერებოდა „ღმერთა ღმერთს“ თუ „უფალთა უფალს“, საგანგებოდ მიჩნილი ჰყავდა მწროვნელები, რომელიც ასწავლიდნენ: თავდა-კერას, ქცევას, თავაზიანობას, ფლეიტაზე დაკვრას, სიგა-რის მოწევას და სხვ... როდესაც ეს ღვთის ნაცვალი ქუ-ჩაში მიღიოდა, ყველა მეტანით ეცემოდა ძირს, იმის ფეხთა მტკერს ჰკრეფდა და სჭამდა, ნიშანად მორჩილე-ბისა და სასოებას. ბოლოს მიპყავდათ ეს განსახიერებული ღვთაება ტაძარში, საღაც ჯერ მკერდს გაუპოდნენ, აძლაცლიდნენ გულს და შეუწირავდნენ მზეს, შემდეგ მოსჭ-რიდნენ თავსა და შებზე წამოაცვამდნენ.

მექსიკაშივე, სექტემბერში იცოდნენ დიდი დღეობა, მაისის (მცენარე) ღვთაებისადმი მიღილებილი. ამ დღისათ-ვის, მხერპლთა შორის ირჩევდნენ 12-13 წლის ყველაზე ლამაზ გოგონას, მორთავდნენ საუცხოვოდ, თავზე ჰქურავ-დნენ მიტრას, ყელზე და ხელებზე მაისის თავთავებს აუსხამდნენ (შეად. ქართული): — „ქედანა და შენამდე, ვარ-დი მასხა ყელამდე“...), ერთი სიტყით, ეს გოგონა, მომ-წიფებულ მაისის განსახიერება უნდა ყოფილიყო. იწყებო-და ცერემონიალი, საკმაო როტული და საზეიმო, და ეს დღეობა ასე თავდებოდა: ქერუმები წამოაქცევდნენ ამ გოგონას ბოსტნეულისა და პურეულის გროვაზე, მოკვეთ-დნენ თავს, ამთხაქეფ სისხლს მოაგროვებდნენ საგანგებო ჭურჭელში და ასურებდნენ კერპს, დარბაზს, მარცვლეულს ბოსტნეულს და სხვ. (იხ. ფრეზერი, ტ. 4, გვ. 119-123).

დასავლეთ აზის სემიტებში ასეთი წესი იყო: საზო-გადოებრივი უბედურების დროს, მეფე ზოგჯერ თა-ვის შეიღლა შეწირავდა ხოლმე მსხვერპლად, ბობ-ლოსელი ფილონის ცნობით, იუდეველები დიდი უბედურების დროს, თავიანთ შვილებს სწირავდნენ მსხვერპლად შერის მაძებელ დემონებს. ისრაელმა, თავისი შეიღლი იეჟიდი, მორთო სამეფო ტანისამოსით და დაჰკლა საკურთხეველზე, როდესაც ქვეყანას მტერი ემუქრებოდა. კიდევ: როდესაც მოავიტელთა მეფეს ისრაელებმა ალყა შემოარტყეს, მეფემ თავისი შვილი დასწავა ქალაქის გალა-ვაზე, რომ ამით თავისი ქვეყნისათვის საფრთხე აეცილე-ბინა. ჩენ გვაქვს ისეთი ცნობებიც, რომ ადამიანი თოხ ნაწილად გაუქრიათ და ეს ნაწილები, ქალაქის ოთხივ კუთხის საზოგადზე დაუმარხავთ, რომ ამით ქალაქი მიუვალათ ექციათ. მაგ. არსებობს გადმოცემა, რომ ქვე-ლად, ბირმის მეფემ, თავისი ქალაქის შეუვალობისათვის, დაიკირა მოღალაზე და ქალაქის თოხ კუთხეს დამარხა იმისი თოხად გაყოფილი ცხედარი. შეწირულის ძმა ამაოდ სცდილობდა შერის-ძეებას. ქალაქი ვერ აიღო. მაშინ ქვრივმა რძალმა უთხრა, რომ მაგ ქალაქს ჩემი მიცვა-ლებული ქმარი სდარაჯობას, და ვიდრე იმისი ცხედარი არ იქნება ამოთხრილი, ქალაქს ვერ აიღობო. მაშინ ძმა ამოთხარა ძმის ცხედარი და ქალაქიც დაიმორჩილა (იხ. ფრეზერი, გვ. 162).

✓ გერერში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრამ, ჩვენი ლეგენდისათვის საგულისხმო შედეგები მოვცა. ჯერ ახალგაზრდა ქალის ჩონჩხის ნახევარი, და იქვე მახლობლად ვადის ჩონჩხის ნახევარი იქმნა აღმოჩენილი. ხოლო საძირკველის ძირში, ორი მამაკაცის ჩონჩხი, რამაც პროფ. სტურტ მაკალასტერს საბუთი მისცა დაესკვნა, რომ ეს არის ფართოდ გავრცელებული წესი, რომლის მიხედვითაც ადამიანებს ატანდნენ საძირკველში, რომ ამით შენობას შეტი სიმტკიცე მისცემოდა და მტრებისაგან დაეცვათ.

ერთ-ერთ დიალოგში, რომელიც პლატონს მაეწერება, საუბარი არის აღამიანის მსხვერპლად მიტანაზე კართაგენელთა შორის, და იქვე აღნიშნავს, რომ ასეთი წესი ბერძნებმაც იცოდნენ. აეტორი აღნიშნავს ასეთი მსხვერპლის შეწირვას ლიკეის მთაზე და აგრეთვე—ათამასის შთამომავალთა მსხვერპლსაც.

აღამიანთა მსხვერპლად შეწირვა პლუტარხის დროსაც ყოფილა, ბეკთიის უძველეს ქალაქ ორქომენში. „ეს ორქომენის წესი მით უფრო არის საინტერესო, რომ თვით ათამასის შესახებ ამბობდნენ, თითქოს ის, მინიასამდე ორქომენში მეფობდა, და თითქოს ლაფისტიანეს მთაზე იმან ააშნა ძევესის ტაძარი, და იქ უნდოდა თავისი შვილების ფრიქსოსი და ჰელეს მსხვერპლად მიტანა“. მაგრამ აქ უკვე ლეგენდების სამყაროში გადავდივართ.

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ კმარა. ამ ცნობების მიხედვითაც ნათლად სჩანს აღამიანთა მსხვერპლად მიტანის ფაქტი. შემდეგ ში, განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, შენაცვლება მოხდა. აღამიანის მაგიერ, პირუტყვის შეწირვა. ბიბლიურ თქმულებაში აბრამის მიერ ისაკის მსხვერპლად მიტანის შესახებ, ეს ზომენტი საქმაოდ ნათლად მოსჩანს. აბრამმა რომ ამართა ხელი დასაკადებულ შეილის შესაწირად, და მოესმა ხმა: შეჩერდიო და იქ ჯაგებში ცხვარი გაჩნდა, რომელზედაც ლვთის ხმამ მიუთითა, დღეის იქით აღამიანის ხაცვლად ეგ შესწირე ხოლმეო. აქ სრულიად გარევეულად, მართალია ლეგენდარულად, სჩანს ადამიანის შეწირვის აღკვეთა. ფაქტი აღიკვეთა, მაგრამ მოგონება დარჩა. ეს მოგონება, ხალხის მეხსიერების მექანიკის ძალით, ასცილდა კონკრეტულ შემთხვევას, მიიღო ისეთი ფორმა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო იმისი გამოყენება სხვა შემთხვევებისათვისაც. სინამდვილეს მოგონილიც დაემტა, ეპოქის ახალი ელემენტებითაც შეზავდა, და ასე, ლეკვენდად ქცეული, გამოჰყავა საუკუნეთა გრძელ გზას.

მაგრამ ვიდრე ლეგენდების ქვეყანაში გადმოვიდოდეთ, საჭარო არის ვნახოთ ლეგნდის წარმოშობის მეორე საფეხური—ადამიანის მსხვერპლის შენაცვლება ცხოველით.

აღმოსავლეთ აფრიკაში, მასას მოდგმა თაყვანსა სცემს ერთგარ პარაზიტულ მცენარეს, რომელსაც ფესვებში თხას უკლავენ და სისხლს ასხურებენ.

საფრანგეთის სუდანში, ნუნუმას მოდგმა მიწასა სწირავს ხოლმე მსხვერპლს, რომ კარგი მოსავალი მისცეს. ეს მსხვერპლი—დაკლული ფრინველებია, რომლის სისხლსაც ასურებენ მიწასა და მცენარეულს.

გალლას მოდგმა, რომ სამღვთო ხე გადაარჩინოს გახმობას, პირუტყვის სისხლს უქცევს ფესვებში; დღესაც, ასმასში, ლუშაის მოდგმას ასეთი წესი ჰქონია: დედაკაცს რომ მშობიარობა გაუძნელდება, დაკლავენ ქათამს და ორ თანასწორ ნაწილად ჰყოფნ. ერთ ნაწილს სოფლის თავში მარხავენ და თან ატ.ნენ შეიდ ლერწმის ღეროს, მეორე ნაწილს კი—სოფლის ბოლოში და თან ატანენ ხუთ ლერწმის ღეროს. ეს იმასა ნიშნავს, რომ ეს ნაწილე-

ლენინის ორდენის  
ოპერის და ბალეტის  
თეატრი



„აბესალომ და ეთე-  
რი“ ბალეტის მსა-  
ხიობი ორდენისანი  
ელ. გვარამაძე

ლენინის ორდენის  
ოპერის და ბალეტის  
თეატრი



„აბესალომ და ეთე-  
რი“ ბალეტის მსა-  
ხიობი ორდენისანი  
ს. სუჩიშვილი

ბი, თავიდან ბოლომდე დარჩენილ ადგილს იცავნ ბოროტ სულთა გავლენისაგნ, რომლებიც ხელს უშლიდნენ მშობიარობას.

ძირითადად ეს წესის იმავე სათავიდან მომდინარეობს, როგორც დღეს ჩვენთვის საინტერესო თქმულებათა ძირი

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ შორის წაგვიყვანს. მე მინდა უფრო ახლო მივიდეთ ჩვენი ძიების საგანთან, და უფრო ვიწროდ შემოვფარგლოთ მაგალითების წრეც.

საძიებელია მსხვერპლის ყოველი სახე, დაკავშირებული ფეხებთან, საძირკველთან. ჩვენის აზრით, ეს არის მსხვერპლი, ფეხის ანგელოზისადმი შეწირული, ჯერ აღამიანების და შემდეგ პირუტყვისა თუ ნივთის მსხვერპლის სახით.

საქართველოში ასეთი წესი იცოდენ. საძირკვლის ჩაყრას, რომ დაწერებენ, ერთ მხარეს ფულს ჩაჰკრიდნ (შენაცვლებული მსხვერპლი), მეორე მხარეს კი უცინჩილას (უმანკომალი) დაკლავდენ და იმის სისხლს ასურებდენ ფეხეს.

იმავე ფუძის ანგელოსისადმი არის განკუთვნილი ის თხაც, რომელიც უნდა დაიკლას შენობის დამთავრების შემდეგ, უძისოდ ახალ შენობაში დასახლება არ შეიძლება, თორემ ოჯახის უფროსი ერთი ჭლის განმავლობაში გარდაიყვლებათ. და ამ მავიური ცერემონიალის ნაშთი უნდა იყვეს დღემდე ქართლში დარჩენილი „ჭონის“ ტექსტი: — „ამ ოჯახის კედელ-კუთხე, ქრისტე ღმერთო შენ აკურთხეო“.

ქრისა და ზღურბლის სამღვთობაც ფუძის ანგელზის შიმართ თაყვანისცემასთან უნდა იყვეს დაკავშირებული. ეს კულტი მთელ ქვეყანად იყო და არის მოდებული.

მრავალ მოდგმასა სწამს, რომ ვინც პირველად დაადგამს ფეხს საძირკველზე, ის ერთი ჭლის განმავლობაში მოკვდებათ. და რომ ეს უბედურება აიცილონ თავიდან, იმ ადგილას ან ბატქანს კლავენ, ან შავ მამალს.

ზღურბლის ანუ ბჭის ღვთაებრივობა „დაბადების“ მიხედვით ებრაელთა შორის მტკიცე ყოფილა. იერემიას წინასწარმეტყველებაში (თავი ლე. სტ. დ.) მოხსენებულია იერუსალიმის ტაძრის სამი თანამდებობის პირი, რომელთაც „სადგურთ მცველები“ ანუ „ბჭეთა მცველები“ ეწოდებოდა. „რომელი სციდა სადგურსა...“ აგრძევე II წიგნი მეფეთა, (12—10, 22—4, 23—4, 25—18) იხსენიებს ზღურბლის ღვთაებრიობას. იგივე გვხვდება სოფონიას წინასწარმეტყველებაში: (თ. — ა — თ) „იტყვის უფალი: და შერ ვაგო ყოველთა ზედა საჩინო ქმნილთა, წინა ბჭეებთა ზედა მას დღესა შინა აღმასებელთა სახლისა უფლისა ღუთისა მათისა უთნობითა და ზაკვითა“...

ფილისტიმელთა შორისაც ყოფილა მიღებული „ბჭეთა“ ანუ ზღურბლთა სამღვთობა. ფეხის დაკარება აკრძალული იყო.

ბაღდადის ხალიფები, სასახლის მნახელებს აიძულებდნენ, შესავალ კართან, ზღურბლის ჭინ, ჩოქვით თაყვანისცემას. მონღოლებს ანდაზა აქვთ: ზღურბლზე არ შედგე ცოდნათ.

მარკო-პოლო მოგვითხრობს, რომ ჩინეთში მოგზაურობის დროს, — პეკინის სასახლე ნახა, სადაც ყოველ კართან ორ-ორი კაცი იდგა, კომბლებით შეიარაღებული. იმათი მოვალეობა იყო: თვალი ედევნებინათ, რომ ზღურბლზე ფეხი არავის დაედგა.

XVII საუკ. იტალიელი მოგზაური პიეტრო-დელავალე, ისპაპანში სასახლის სანახავად მისული, ასწერს იმ სახეობას, რომლითაც ეკიდებოდნენ ბჭესა და ზღურბლს. ფეხის დადგმა კი არა, იჩიქებდნენ და ემთხვეოდნენ“. (იბ. ფრეზ. „ფოლქ. ბიბლ“. გვ. 298—299).

ასევე იციან ფიჯის კუნძულზე, მარკოპოში, ინდოეთში, ბენარესში და სხ... აფრიკაში, სოფელს წინული ღობები აქვთ გზის გარდი-გარდმო, თალ-გადაყანილი. ძირს კი, მიუს პირად, ამ თალ-ქვეშ წვრილი ლატანი არის გადებული. შემსვლელ-გამომსვლელს აკრძალული აქვს ამ ლატანზე ფეხის დაკარება. მის დროს, ამ ბჭეს და თალს ასხურებენ მსხვერპლად მიტანილ ცხვრისა თუ თხის სისხლით.

ბჭის თუ ზღურბლის ღვთაებრივობის ნაშთები დარჩენილია ცივილურ მოდგმათა შორისაც. მაგ. ზღურბლზე ხელის ჩამორთმევა არ შეიძლებათ. პატარძალი რომ შექვეთ სახლში, ბჭესთან ხანჯლებს გადაჯვარედნებენ... ჩვენში ასეთი წესიც იციან: პატარძალს რომ მოიყვანენ, კარებთან დამხობილ ქვაბზე შეაკენებენ და ფეხ ხედ ქვეშ ვარიას გამოუქავენ, სისხლს კი ზღურბლზე

ასხურებენ. ეს წესი ფართოდ იყო გავრცელებული. ასე იცოდნენ საბერძნეთში, რომში, ძველ აღმოსავლეთში. პალესტინაში ეს წესი დღემდე არც შეჰქმდება ნილი. ეს წესი იციან ინდოეთში, ჩინეთში და სუ-ტრაკანი შემცირებული ტერიტორიაზე. ულაში ცუდათა აქეთ დაცილი, თუ პატარძალმა ზღურბლს ფეხი მიაკრა. ეს წესი დღესაც სრულდება შოტლანდიაში და სხ..

სად უნდა ვეძიოთ კარის ბჭის ოუ ზღურბლის ღვთაებრივობის მიზეზი? — რომაელი ისტორიკოსი გარონი ამას ჰესნის იმ გარემოებით, რომ ბჭეს ჰყავდა უბიშო ღვთაება ვესტა, რომლის კუთვნილების ფეხით გათელა მხაკვრობად ითვლებოდათ. საგულისტმო არის, რომ ზღურბლობან, მრავალ მოდგმას სულთა სადგური დაუკავშირებია. ზოგგან ზღურბლის ქვეშ მიცვალებულებსაც მარხავენ. მაგ. აღმოსავლეთ აფრიკაში, იმას, ვინც შოამომავლობა დასტოვა, ზღურბლის ქვეშ მარხავენ, ვინც უქიდე გადაევო, სხვაგან, ორმოში, ან ნაფირთა სათრეველად... პერჯაბში, ინდოეთში, რუსეთში, ბავშვებს ზღურბლის ქვეშ მარხავდნენ... ინგლისში, თუ ძრობამ მცვდარი ხბო შობა, ან უდღეურად შობა, ბოსლის ზღურბლ ქვეშ მარხავენ ამ ხბოს, რომ ამით სხვა ძროხებს ააცილონ ნაადრევი მშობიარობა.

აქაც მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ კმარა. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მრავალი მოდგმა, საძირკვლის ჩაყრის დროს, დღესაც ჰკლავს ცნცხას, ან თხას ან მამალს, და იმის სისხლით ასხურებენ საძირკველს. იციან ფულის ჩატანებაც.

ამ შენაცვლებითი მსხვერპლის შემდგომ საფეხურს წარმოადგენს თვით შენაცვლებითი მსხვერპლის სიმბოლიური ნიშნებით შენაცვლება. ეს მომენტი კარგად შეინახა ქრისტიანულმა ეკლესიამ. სეფისკვრისა და ზედაშის სახით, იესო ქრისტეს სხეულისა და სისხლის წარმოდგენა:

— „მიიღოთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი, მისატევებლად ცოდვათა“... მიიღოთ და სჭიოთ, ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვის და მრავალთათვის დანთხული, მისატევებლად ცოდვათა“. და ეს მსხვერპლის სიმბოლიკა დღემდე სრულდება ქრისტიანულ ეკლესიის მიერ.

ამ სიმბოლიკის სახეს წარმოადგენს ბულგარულ წესი, დამყარებული იმ რწმენაზე, რომ არც ერთ საცხოვ-ჩებელ სახლს არ შეუძლია გაჩერება, თუ საძირკველში ტალასამი არა აქვს ჩატანებული. წესი ასეთი არის: საძირკველის ჩაყრის რომ დაიწყებენ, ვინმე გამოვლელის ან იმისი ჩრდილის ზომას აიღებენ ჰაფით და ამას ატანენ საძირკველში.

რუსებს ჰქონდათ ასეთი წესი: ახალ სახლში გადასვლისდროს, სახლის უფროსმა, იატავის ქვეშ უნდა ჩაღოს ერთი პური, ზედ მარილი და ერთი ჭიქა რძე. შემდეგ მიდის ძველ სახლში და ეპატიუება სახლის ანგელოზს (დომოვი), რომელიც დაუბარიუებლად არ წამოვა და ჰოველამ ტირილი ექნება. ხოლო როდესაც ოჯახი ახალ სახლში გადმოვა, პირველი პურის ნაქერი უნდა ჩაპლანონ მარჯვენა კუთხეში. ცელესებზე აღფურები ახალ სახლში გადასვლას, რომ დღესასწაულობრივ ქურუში ასეთ წესს ასრულებს: მსხვერპლის შესაწირ აღგილზე ჩამოვაჲი-დებს ტომარას და კითხულობს ლმერთთა სის. ეს სია იმდენად დიდია, რომ მთელი ღამე უნდება იმათ შოხენებასათ. დილით კი მსხვერპლად სწირავს ბრინჯას და

კვერცხებს, ჰერინიათ, რომ ამ დროს, სახლის ბინადართა სულები ტომარაში იყრიან თავსა. შემდეგ ქურუმი იღებს ამ ტომარასა და თავზე აბერტყავს ჯერ მამასახლისს, შემდეგ დიასახლისს და ოჯახის დანარჩენ წევრებს, სიტყვებით: „აი შენი სული, სული, კვლავ ჩადექ შენს სხეულში ხვალიდანვეო... და სხვ. (იხ. ტურცხერი. ტ. 11, გვ. 29).

მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ ქმარი. საესებით ნათელია, რომ ოდესლაც, ადამიანის მსხვერპლად მიტანა ფაქტი ყოფილა, რომელიც შემდეგ შეიცალა მსხვერპლის სხვა სახეებით. აკად ტურავი ამ საკითხის შესახებ მოკვითხრობს: „მსხვერპლის შეწირვას პირველად ლვოაების კებად სოვლიდნენ, შემდეგში კი უფრო ეთიური მნიშვნელობა მიიღო, —განმწმენდი წესისა. ლურსმულად ნაწერ ტექსტებში მოხსენებულია მსხვერპლის სხვადასხვა სახე: კრავი, საკმეველი, ნერსაცხებელი და სხვ. ადამიანის მსხვერპლი მგრინი შერჩენილი იყო მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში. გვხვდება გადაკარგული ცნობები იმის შესახებ, რომ ცხოველთა მსხვერპლი ადამიანის მონაცევლე ყოფილა. მაგ. ერთ-ერთ ტექსტში, შემონა მის პირით ნათქვამია: „კრავი — ადამიანის შენაცვლებაა. კრავს ადამიანი სწირავს თავისი სიცოცხლის მაგიერად“ (იხ. ტურავი—Классиц. Восток—გვ. 245).

ადამიანის მსხვერპლად მიტანა, ვუნდტის აზრით, არის გაწმენდის მსხვერპლის უკიდურესი სახე. შემდეგში, ეს ადამიანის მსხვერპლად მიტანა შეიცალა პირუტყვის მსხვერპლად მიტანით. „მაგრამ ერთი ფორმით, ადამიანის მსხვერპლად შეწირვა შერჩათ ძველი ძველის კულტურულ ერებს — და ეს შემდეგშიც გამოკვავო, სახელდობრ: ნება-ყოფლობითი სიკვდილი ანუ თავის-დადება, როდესაც ერთი ადამიანი იღებს სიკვდილს, თავისი თემის ცოდვათა გამოსასყიდად. სწორედ ეს გამწმენდი მსხვერპლი, უფრო მეტად, ვიდრე მსხვერპლის სხვა სახე, შეიცავს სამსხვერპლო იდეის ყველაზე დიდი აღმაფრენის ჩანასას. გამწმენდი მსხვერპლის უპრიმატიულეს სახეებში, როგორც ამასა ვხვდებით ტაბუს ბატონობის დროს, ვამჩნევთ თავდადების, საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანის შემთხვევებსაც. ტაიტების შესახებ მოგვითხრობენ, რომ გამანადგურებელ ეპიდემიების დროს, იმათი უფროსი ყელზე თოქს იბამდა და თავის სიცოცხლეს სწირავდა ტაბუს დარღვევის გამოსასყიდად, ხალხი კი ლოცულობდა და მარხულობდათ“ (ვუნდტი. მითი და რელიგია. რუს. თარგ. გვ. 303—304).

კაცობრიობის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ადამიანის მსხვერპლად მიტანა შეიცვალა მსხვერპლის სხვადასხვა სახეებით, მაგრამ მოგონება აქ ფაქტების შესახებ დარჩა, და ეს მოგონება, თაობიდან თაობაზე გადასული, ჯერ დადიოდა როგორც ისტორიული აჩბავი, ნამდვილად მომზდარი, შემდეგ კი, ფუნქციის დაკარგვასთან დაკავშირებით, რეალიების კონტურებიც დაიშალა, ფანტაზიის ელემენტებით შეიისო და ისტორიულ ქრონიკებიდან, მხატვრულ შემოქმედებაში გადავიდა. თვით ამ ისტორიულ ქრონიკებშიაც, სინამდვილე და არანამდვილობა ერთმანეთშია არეული, ისე რომ ფანტასტური ელემენტების შექრა ამ ქრონიკების დროს უკვე მომხდარი ფაქტია. მე იმას არ ვამბობ, რომ ეს პროცესი ა პუნქტიდან უ პუნქტამდე ასეთი იყო, და y—z-მდე კი ასე შეიცვალა. არა, ეს შერევა, სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვა წრეში, სხვადასხვანაირად მოხდა. მხოლოდ მაგისტრალის ძირითადი მიმართულება იყო ასეთი და

ამ დებულების ნათელსაყოფად კვლავ საძულებს და ბრუნდება.

შემდეგ საფეხურზე, ფაქტის აღმა ქართველის იღებს. მოგონება გადმოცემად არის ქცევა, შემოწმები მი განსხვავებით, რომ სინამდვილის იერი ჯერ კადევ იდენტიალი აქცის შერჩენილი, რომ ისტორიკოსები ამ ფაქტებს მოგვითხრობენ ისტორიული ფაქტების გვერდით. გადმოცემა ქრონიკებში შედის, როგორც ნამდვილად მომზდარი ამბავი.

ნენის Historia Britonum-ში, შემდეგი ამბავი არის მოთხოვნილი: მეფე Guorthigernus ს ემუქრებიან რომაელები, პიტები და განდევნილი მეფე, ავრელიანის მომხრები. თავისი მოგვების რჩევით, მეფეს ციხის აშენება უნდა, რომელიც მას მტრებისაგან დაიტარავდა. ადგილი ციხის ასაშენებლად, იმავე მოგვების მიერ იქნა არჩეული. დაამზადეს მასალა, შეკვარეს მუშები, მაგრამ ბრძენი მრჩეველები Guorthigernus-ს უცადებენ, რომ ციხე ვერ აშენდება, ვიდრე იმის კედლებს უმამოდ შობილი ბავშვის სისხლი არ მიესურებათ. მეფე მთელ ბრიტანეთში აფრენს კაცებს, ასეთი ბავშვის მოსახებნად. მიაგნეს კიდეც, ბავშვი მიჰყავთ მეფესთან. ეს უკანასკნელი ეუბნება ამ ბავშვს მოყვნის მიზეზს. ბავშვი ეკითხება:— მერე ვინ გითხრათ, რომ ეს ციხე ვერასოდეს ვერ აშენდება, თუ ჩემის სისხლით არ იქნება ნასხურებით. ან როგორ გაიგე ჩემი არსებობის შესახებო? მეფე! მე ყველაფერს ნამდვილად გეტუვი, მხოლოდ ჯერ ნება მომეცი შენს მოგვებს ვკითხო, თუ რა არის ციხის საფუძვლის კევშ?— არ ვიკითო, უთხრეს მოგვება. შემდეგ გრძელდება ეს კითხვა-პასუხი, თუ მოგვების ლუმილი პასუხად ჩაითვლება პოტფრიდის (მონმუტიდან), „ბრიტანეთის მეფეთა ისტორიაში (12 საუ.) მოთხოვნილია იგივე ლეგენდა, იქაც პპოულობენ ბავშვს მერლინს, რომლის დედაც მოლოზანია, დემეციო მეფის ასული. დედა-შვილი მეფესთან მიჰყავთ. მეფე ეკითხება დედას, თუ ვინ იყო ბავშვის მამა, დედა უპასუხებს:— „Vivit anima mea et anima tua, domine mi rex: quia neminem agnovi, qui illum in me generaverit. Unum autem scio, quod cum essem inter socias meas in thalamis nostris, apparebat mihi quidem in specie pulcherrimi juvenis, et saepissime, amplectens me strictis brachiis deosculabatur: et cum aliquantulum tecum moram Fecisset, subito evame alloquebatur, dum secreto sederem, nec usquam comparebat: cumque diu me in hunc modum Frauen tasset, coivit mecum in specie hominis saepius, atque gravidam dereliquit. Seiat prudentia tua, domine mi quod aliter virum non cognovi, qui juvenem istum generavit“ (იხ. აღ. ვესელოვასკი, ტ. 8, სოლ. და კიტოვრ. შესახებ. გვ. 342—387).

იგივე ლეგენდა მოთხოვნილი არის გალექსილ რომანში „Vita Merlini“, რომელიც მეცნიერებრივ უმრავლესობის აზრით, ამავე პოტფრიდის მიეწერება. შესავალის შემდეგ, სწორედ ეს ლეგენდა არის მოთხოვნილი (მხოლოდ მერლინის მისნობა აქ სხვა რედაქციით არის გადმოცემი). აქაც იგივე ამბავია, თუ ციხე რა მიზეზით ვერ აშენდება, და რა არის საჭირო იმისათვის, რომ ციხის კედლები გამაგრდნენ და სხვ...

de-Boron-ის რომანის ანონიმურ გაგრძელებაში, რომელსაც roi Artus-ი ეწოდება, იგივე მერლინი არის გამოყვანილი, რომელსაც ეძებენ, რომ იმისი საშუალებით დაამთავრონ შენობა, რადგან ვერა და ვერ ააშენეს, ინ-

გრეოდა. კედლები შხოლოდ მაშინ განშტკიცდებიან, როდესაც მერლინის სისხლს ასხურებენ საძირკველს. აქ უკიდ ქრინიკებიდან რომანებში და ეპიურ სიმღერათა ქვეყანაში გადმოვდივართ. ოდესლაც ფაქტი, თქმულებად იქცა და ეს თქმულება დადიოდა ქვეყნიდან ქვეყანაში, თაობიდან თაობას გადაეცემოდა, იქცეოდა ახალ პოეტურ შთაგონებათა წყაროდ, და კვლავ განაგრინობდა არსებობას, როგორც მუდმივი ტრანსფორმაციის ამტანი და გადამტანი მოვლენა.

ეს თქმულება ინგლისში მრავალ გარიბაზად იყო მოდებული. და ყველა თქმულების ძირითადი ჩანასახი ერთი იყო: ვორტიქერნმა ვერა და ვერ ააშენა კოშკი, ვიდრე იმისი საძირკველი ბავშვის სისხლით არ ასხურეს.

შოტლანდიაში გავრცელებული არის თქმულება, თითქოს პიქტები, რომელთაც ადგილობრივი ლეგენდა მიაწერს პრეისტორიულ სიძველეთა აშენებას, თავიანთ შენობათა საძირკველს ადამიანთა სისხლით ასხურებდნენ. ლეგენდა გარკვეულად ამბობს, რომ წმ. კოლუმბმა აუცილებლადა სცნო წმ. ორანის კოცხლად დამარხვა თავისი მონასტრის საძირკველში, რომ ამით შეწყალება მიერო მიწის სულთავან, რომელიც ლამით ანგრევდნენ იმას, რაც დღის განმავლობაში შენდებოდა. (ედ. ტეილორი. „Первоб. Куплетура“ ტ. 1, გვ. 94).

„ახალი ედდა“, მიდგარდის კედლების აშენების შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:—მიდგარდის ასაშენებლად იმირის წარბები საქმარისი არ აღმოჩნდა. (Vmir—სკანდინავურ მითოსის გმირია, რომლისაგანაც ქვეყანა შეიქმნა) უნდა აგებულიყო ლამაზი, მტკიცე და მიუვალი ქალაქი—გალავანი. ასებთან მიდის ვინე ხუროთმოძღვარი და ეუბნება:—მე აგიშენებთ ციხე-გალავანს, რომელიც დევ-გმირებისაგან დაგიფარავთ, შხოლოდ გასამრჯელოდ მომეცითო მზე, მთვარე და მშევნიერი ფრეა. ბუსლავი, ეხება—რა ამ თქმულებას, დასძნეს:—როდესაც ამ სკანდინავურ გადმოცემას ვუკვირდებით, ვაჩნევთ ერთ არსებით მომენტს: ფრეიას ან და რომელიმე ლაძაზ და საყვარელ არსების მსხვერპლად მიტანას. ეს მომენტი არ გამოეპარათ შემდეგი დროის თქმულებებსაც, განსაკუთრებით გერმანულს, სადაც ხშირადა ვხდებით, რომ რაინდი, კოშკის თუ ციხის ასაგებად, ეშმაქს აძლევს ან თა-

ლენინის ორდენის  
ობერის და ბალეტის  
თეატრი



აბესალომ და ვეგ-  
რია ვარიზი — ორდე-  
ნისანი ნ. ზარაძე

ვის ქალწულს ან და სატრულს, როგორც ასები აძლევ დნენ ფრეიასათ“ (იხ. ბუსლავი: „Русск. народ. поэзия“ გვ. 304).

დიახ, ეს ჩრდენა ფეხ მოკიდებული იყო გერმანიაში, და იქამდე ძლიერად, რომ 1843 წ. ჰალეში რომ ხიდის შენება დაიწყეს, ხალხი ლაპარაკობდა, რომ შენობის საძირკველში ბავშვი უნდა იყვეს ჩატანებულიო. და ეს ამბავი ლეგენდა კი არ იყო, თითქოს ნამდვილადაც სრულდებოდა, თუ ვერწმუნებით ისტორიულ ქრინიკებსა და გადმოცემებს. ეს ჩვეულება, მთელ ევროპაში ყოფილა მოდებული. მაგ. 1463 წ. ნოგათში დამბა გადმონგრეულა. მოგვითხრობენ, რომ გლეხებმა ერთი მათხოვარი დაათვრეს და ახალი დამბის საძირკველში ჩამარხესო (იხ. ტეილორი. „Первоб. куплетура“, ტ. 1, 94).

— ტიურინგული ლეგენდის მიხედვით, რომ შაგარი და მიუდგომელი ყოფილიყო ლიბერნტეინის ციხე, ერთი დედისაგან იყიდეს ბავშვი და კედელში ჩაიყოლეს. ბავშვი ნაზეულსა სჭამდა, როდესაც კალატოზებმა დაიწყეს იმისი კედელში ჩატანება.— ბავშვმა პირველად დაიძახა:— „დედილო, მე ჯერ კიდევა გხედავო“, მეორედ:— „დედილო, ცოტათი-ლა გხედავო“ და მესამედ:— „დედილო, ეხლა ველარა გხედავო“ და კალატოზებმა კედელს პირიც შეუკრეს.

კიდევ: სხვა ლეგენდით, კოპენჰაგენის კედლები რამდენჯერაც ამოიყვანეს, იმდენჯერ დაინგრა. ბოლოს მოსედებებს პატარა გოგონა, დასვეს მაგიდასთან, დაულაგეს საჭმელი, სათამაშოები, და ვიდრე ბავშვი ამ ტკბილეულს შეეჭურდა და თამაშით თავს ირთობდა, კალატოზებმა ბავშვის თავზე თალი გადაიყვანეს. დაკრეს საკრავებს, მუსიკის ხმებით დაახშეს ეს საშინელება, ამ თალზე კედელი ამოიყვანეს და მას შემდეგ კედელი ილარ დანგრეულა (იხ. იქვე).

ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ამბავი გერმანულ საგებშიაც საკმაოდ არის გავრცელებელუ. მაგ. „საწყალი ჰენრიხის“ ციკლო. ეს თქმულება მე-12 ს-ში ჰარტმანმა დაამუშავა პოემის სახით. ამ პოემის სქემა ასეთია: ჰენრის ფონ-აუეს კეთრი შეეყრება. ერთად-ერთი საშუალება იმისი მორჩინისა არის უმანკო ქალის გული, რომელიც თავისი ნებით წავა ამ მსხვერპლის გალებაზე. ჰენრის არავინ იკარებს. ერთ გლეხს შეემრალება და შეიხიზნებს.

ლენინის ორდენის  
ობერის და ბალეტის  
თეატრი



აბესალომ და ვეგ-  
რია ვარიზი — ორ-  
დებაზავაძე.

გაიგონებ, დაიჯერე ჩემი რჩევა: თქვენ სამი რარო, სამი ძმანი ბაიანებ. თითოსა გყავთ ერთგული და კარგი ცოლი, იმათვანი, ვინ, ხვალ დილით ადრე მოვა, და მოუტან კალატონზებს სადილ-ჯერსა, ჩაარცეთ საძირკველში და მას შევდევ აქ ქალაქის საძირკველი გამტკიცდება. და აავე სკარის ქალაქ ბაიანებ.

ძმებმა მოითამბირეს და გადასწუვიტეს ერთ იმ სამ ქალთაგნის შეწილვა. თანაც ერთმანეთს პირობა მისცეს, რომ ამ საიდუმლოებას მტკიცედ შეინახავდნენ. მაგრამ უფროსმა ძმებმა ფიცი გასტეხეს. ცოლებს საიდუმლო გაუზღვნეს. უზცროსი ძმის ცოლმა კი არაფერი იცოდა. ვუკაშინის ცოლი თავის ტკივილს იმიზეზებს. უგოვრინის ცოლი კი—ხელის ტკივილს. ჯერის წასაღებად უმცროსი ძმის, გოიკოს ცოლი მიდის. დაინ.ხა გოიკო და ატირდა. ცოლი ალერსით ეკითხება ცრემლების მიზეზს, რახედაც გოიკო უბასუხებს:

გენაცვალე, ჩემო კარგო, რადა გითარა?  
ავი საქმე დამემართა უნებლიერ.  
ოქროს ვაშლი დამეკარგა მე უბედულს,  
და მომტაცა აჩარებულ ბორამმა.  
ამას ვტირი, გენაცვალე, ამას ვნაღვლობ...

შევენირი გოიკოვიცა სცდილობს გაუქარვოს ქარს ეს დარდი და ეუბნება, ნუ სწუხარ, კიდევ ვიშვენით უკეთეს ვაშლოს (ეს ვაშლი—სიყვარულის სიმბოლო). ცოლის ნუგეში უფრო ამწებრებს გოიკოს, რომელიც ველარ უცემრის ამ საბრალოს და ზურგს შეაქცევს. ამ დროს მოვლენ ამ ქალის მაზრები და წაიყვანენ ქცელ. ში ჩასატანებლად. ქალსა ჰეონია, რომ მაზლები ეხუმრებიან და იცინის. მაგრამ როდესაც ქვადა და კირი წელიმდე შემოუყენეს, მაშინ გველ-ჯოჯოსავით იშივლა და მახლებს მუდარა დაუწყო. არ გასჭრა ამ ხევწნამ, შემდეგ ქალმა ქმარს შესტირა, მაგრამ არც ამან გასჭრა. სასოწარკვეთილი ქალი ახლა კალატობს მიკმართავს:

— კალატოხო, ჩემო ძმა, გენაცვალე,  
ძუძუებთან სარკმელები დამატანე,  
ძუძუები კედლის გარედ დამიტოვე.  
როცა ჩოვა შევარდენი ჩემი ვანო,  
რომ მოსწოვო თავის დედის ტკილი ძუძუ.  
კალატოხშა დაუჯარა როგორც დოვაილს.  
ძუძუებთან სარკმელები დატანა.  
თეთი მეტრი კედლის გარეთ დაუტოვა,  
რომ ჩვილ ვანო მოეწოვა დედის ძუძუ.  
— კალატოხო ჩემო ძმა, გენაცვალე,  
თვალებთანაც სარკმელები დამიტოვე,  
რომ შემებლოს გაუცემროდე ჩემს დარბაზსა,  
და გხედავდე, ჩემს ბიჭს როცა წამომგრიან,  
და როდესაც ისევ უკან წაიყვანენ.  
კალატოხშა ეს მუდარაც შეიწყრარა,  
იმის თვალებს სარკმელები დაუტოვა,  
რომ ეცეირნა ამ საბრალოს დარბაზის ენ,  
და ენაზა, ბაშეს რა რიგად წამომგრიან,  
ან და უკან ბიჭენას ვით წა ყვანენ...  
და ჩაჟირეს ეს საბრალო ამ კედლებში,  
ის ბიჭენა იქ დაყავდათ დედე ცისმარე.  
რვა დედე ასე გამოკევდა დედამ შვილი.  
მეცხრე დღეს დედამ ხმა ვერ ამოიღო,  
მაგრამ ვანოს მაინც ჰყებდა მთვლი წყლი.  
და აქამდე ეს ამბავი ასსოფს ყველას,  
რომ იმ კედლებს საშაულად რე ჩამოსდის,  
პატარძლები იქ დადიან სამკურნალოდ,  
გამბრალ ძუძუს იქ ირჩენენ დედის რძითა.

... „შევრი დრო ალარ გასულა დურმიშხანის წასკლის შემდეგ, რომ მეფემ დაიბარა თავისი პირველი ვეზირი და უბრძანა საქართველოს საზღვრების გასინჯვა ზომალოს მხრისაკენ და საკა საჭიროდ პპოვოს, ააშენოს

ციხეები. ვეზირი წამოვიდა, გასინჯვა საზღვრები და სხვა— თა შორის პპოვა ციხის აშენების საჭიროება სურამში. მ, შინევ საქართველო მოაგრძოვეს მასალა, დაწყებულებული შეუდგნენ შენება... მაგრამ საკვირველი იძულებული შედებული რაც აიტანეს ციხის კედლები, ერთი ხუთოოდე ადლამ-დე, იმდენჯერ იქნება და გასკდა შუაზე; რაღაცა ავი სული უშლილა იმ ციხის გავეთებას. მღვდელს ახდევინეს პარაკლისა, მაგრამ მაინც არ იქნა, მაინც ისევ გასკდა კედელი. უკანასკნელ ყოველივე ღონისძიება მოიხმარს, მაგრამ არაფრით არ იქნა რა: კედლებმა თავისი არ დაიშალა. რა ქნან?

— მოდი მკითხავს ვაკითხინოთ, წამოიძახა ვიღაცამ.

— მკითხავს, მეიახავს! — დაიძახა ყველამ.  
მოახსენეს ეს აზრი გეზირის...  
მკითხავთან.

— აი, ვხედავ — ... უსჯულოთა ჯარი შემოჩევევია ჭიანჭველასავით სურამის ციხეს. ჩქარა ააშენეთ, მხოლოდ ის დაკურს ჯარს... უნდა როგორმე ააშენო სურამის ციხე.

— აკი ვაშენებ, მაკარა გვეძებევა და რა ვუყო?

— ამოყარე ის საძირკველი, რომელიც ჩაგიყრია, ორ ადლზე კიდევ მოთხარე, გაანათვლინე მღვდელს, ციხეში ურდის მაგიერად დედის-ერთა ვაჟი უნდა დაატანოთ...

— ... მღეროთ! ცოცხალი კაცი კედელში! ჩაფიქრებით სოქვა ოსტატმა, გამოილოდა — რა ვეზირის ბინიდან.

ვეზირმა კი დაიბარა ვინც თავადიშვილები იყვნენ და გამოუხადა რა ყოველივე, იმათაც უბრძანა რამდენსამე, რომ იმათ მოყვანათ საცა უნდოდათ ზურაბი, ხელი ეტაცნათ, შეეკრათ და მიეცათ კალატობებისათვის. ხოლო სხევებს უთხრა, რომ ამ დროს ჯარი მზად ყოვილიყო და შემოხვეოდა იმ ადგილს, საცა მოხდებოდა ეს საქმე...

შემდგომ რამოდენიმე ხნისა, ზურაბი, მკედარივით ყვითელი, ხელებშეკული იდგა კედელში და კალატობები სიქარით ააშენებდნენ იმის გარშემო კედელსა...

— ... გამიშვით ჩემ შვილთან, გამიშვით ჩემ ზურაბთან, იძახოდა ზურაბის დედა და მიიშევდა იმისკენ.

ზურაბმა გაიგონა დედის ხმა:

— მიშველე დედი! შენს ზურაბს ცოცხალსა მარხავენ! დაუძახა დედის ზურაბი.

— შეიღლო ზურაბ, სადამდის!

— ვაიმე დედავ მხრებამდის!

— კარგი, არ ეყოფა? არ შეიტყვეთ იმისი გულადობა! მომეცით შვილი, მომეცით ჩემი ზურაბი!

— შვილო ზურაბ, სადამდის?

— ვაიმე დედავ, გავთავ... ალარ დაასრულებინეს და მსწრაფლ მიაყარეს რამდენიმე თაბაზი კირის...

... ამბობენ, ვითომ იმ ადგილს, საცა დატანებული იყო საწყალი ზურაბი, სურამის ციხე არის ნოტიონ და ცრემლივით ჩამოდის წვეთი. და თითქმის აქამდის, მთვარიან ლამეში გამოილოდა ერთი თმა-გაშლილი დედა-კაცი შავი ტანისამისითა და ტირილით მისძახოდა:

სურამისა ციხე,

სურგილითა გნახე,

ჩემი ზურაბ მანდ არის,

კარგად შემინახე!

1829 წ. დეკემბერში, 8 წლის შლიმანს, მამამ სა- ჩუქრად მოუტანა დასურათებული „ისტორია ბავშვთა-

ვის“ — ერერისა. ბავშვმა ჩქროლვით გადაფურცლა წიგნი და იმისი ცნობისმოყვარეობა მიიპყრო სურათშა „ტროას ხანძარი“. ერერი იყო იქ? — შეეკითხა ბავშვი მამას. — არა შვილო, ეს „მოგონილი სურათიაო“. მაგრამ ბავშვები არა სჯეროდა ეს „მოგონილი“ ისევე, როგორც შემდეგში ღრმად სწამდა სინამდვილე აგამერნონის საფლავისა, სკეის ჭიშკარისა, სადაც ანდრომანე ჰექტორს გამოეთხოვა, ელენეს ჩიხტისა და დიადემისა ..

იმ სოფელში, სადაც შლიმანი იზრდებოდა, ანკერს-ჰაგენში — ჰომიიროსის კულტი ბატონობდა. სახელგანთქმული ფოსი, ჰომიიროსის მთარგმნელი იქვე სცხოვრობდა. პატარა შლიმანიც ამ კულტის პეროფანტი იყო.

1864 წ. შლიმანი კვლავ ეძებს ტროას, ეხლა უკვე როგორც მსწავლული არქეოლოგი. ეძებს მხოლოდ ტროას კი არა, მთელ ჰომიიროსს, უნდა მოთხაროს ყველა ის ადგილი, რომელთ შესახებაც მოგვითხრობს „ლვთაებრივი მოხუცა“. დევ მომწაფებულ მეცნიერის შეგნებას ყრმობის სიზრები და რწმენა ერეოდეს, რომ მოგონილი თქმულება არ შეიძლება. კათეურის მეცნიერები ბხრებს იჩეავდნენ, როდესაც საუბრობდნენ „ჩიტირეკია—მილიონერის“ ანტიკარულ გალუცინაციების“ შესახებ. — მაგრამ სიმართლე შლიმანის მხარეზე აღმოჩნდა. ის ბაზისი, რო-

მელიც შლიმანმა არქეოლოგიას მოუძებნა, — ტრადიცია

დაუსრულებელი ცხოველმყოფელობა — მტკიცე აღმოჩნდა. — სად არის აეტის მთა? ფორკოსის სასუტტი? ნად— ფების მღვიმე? ლაერტის ველი? და ასე, ჰითმარს სასუტტი? ნად— ხედვით ეძებდა შლიმანი, ზღაპრის მიხედვათ ეძებდა სინამდვილეს და... იპოვა კიდეც. იპოვა ის ტროას გალავანი, რომელიც ბავშვობის დროს ერერის წიგნში ნახა, იპოვა „პრიამის განძი“, ელენეს ჩიხტი დიადემა. ის აზარ-ფეშებიც კი იპოვა, რომელიც ეპოსში არის მოხსენებული. მოხდა ჰომიიროსის რეაბილიტაცია. ველარავინ დასკინებს ამ ახალ დონ კიხოტს, რომ დალაქის ტაშტი მამბრინის მუზარადად მიიღო. ფანტაზიის ადგილი ფაქტმა დაიჭირა, უზარმაზარმა, მტკიცემ. გადარშალა ისტორიის უძველესი და უცნობი ფურცლები. ტროა... ზიქენა... და ესა ჰქენა ზღაპარშა, რომელიც მოთხოვნილია „ილიადა—ოდისეს“ სახელწოდებით.

ზღაპრისავე საშუალებათ იქმნა აღმოჩნილი ბენინის კულტურა.. ზღაპარია ატლანტიდის ამბავიც, რომელიც უკვე სინამდვილედ იქცა.. და ვფიქრობთ, რომ ლეგენდაც, არსებითად იგივე ზღაპარი, იმავე სინამდვილეზე არის აღმოცენებული, და ამ დეპულების ნაშილობრივი ნათელ ყოფა იყო ამ მცირე შრომის მიზანი.

ჩედაქციის შენიშვნა: ვახტ. კოტეტიშვილის წერილი „სურამის ციხის ლეგენდის წარმოშობა და მისი პარალელები მსოფლიო ფოლკლორში“ — მოხსენების სახით წაკითხულ იქნა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის საკეთე ინსტიტუტის ფოლკლორის სექციის საჯარო სსდომაზე. რედაქციას საჭიროდ მიაჩინა აღნიშნოს, რომ ვახტ. კოტეტიშვილის ამ გამოკვლევაში საკმაო მასალებია იმის დასამტკიცებლად, რომ სურამის ციხის ლეგენდის პარალელები მსოფლიო ფოლკლორში მართლაც არსებობს. გამოკვლევის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ავტორი არ იძეგა ამ პარალელების ახსნას და ყურადღების გარეშე სტოვებს თვით სურამის ციხის ლეგენდის სოციოლოგიის პრობლემას.

რედაქციის მიზანია, ამ წერილით გახსნას დისკუსია ზღაპრებისა და ლეგენდის პრობლემის შესახებ, რომელთაც უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური ზეპირსიტყვიერი შემოქმედების კრიტიკულად ათვისების ხაქმეში.

ჩედაქცია

# მანანა ორგელიანი

1808—1870

(ჭიგნიდან „ნ. ბარათაშვილის ნათესავები და მეგობრები“.)

მეტეხის ხელოვნების მუზეუმის ერთ ოთახთაგანს ამშვენებს გულპირამოქრილ ქაბაში გამოწყობილ, ლეჩაქდახურულ ლამაზი ქალის პატარა სურათი. ფერად საღებავთა ნაირობა ოდნავ შეჩერულა ნესტანისა და თინათინის სადარ სახეზე.

ეს მანანა ორგელიანის პორტრეტია რომლის ხილვამ ეკატერინე ერისთავს ათქმევინა:

„სატრფოს პორტრეტსა,  
 ვჰერეტ ვითა მხესა  
 მშმუნეარეს გულის განმანათლებლად.  
 მხატვრობა ესე  
 მშვენებით საესე  
 მსგავსნი თუ ოდენ ყოფილ არს ძელად,  
 ოდესუა ვნახე,  
 მის ტურფა სახე  
 მყის განკვირვებით ვიქმენ მოცული,  
 და ვით მშვენიერს,  
 პლანეტსა ციერს  
 ვსჭვრეტდი, შევიქნ ალტაცებული!  
 იზიდავს გულსა  
 მსხვერპლად გძლვნი სულსა,  
 ნუთუ მალნიტი გქონან თვალებში!  
 და მისთვის მარად  
 მყავ მონად მყარად  
 მალალ გონებით მჯობმა ქალებში.  
 უმანკო გული  
 კეთილით სრული  
 ალტრფობს ყოველთ შენდა საქებრიად,  
 გაქვს შესაფერი  
 ეგ ნაზი ფერი  
 მოგნიჭებიეს განსაშვენებლად.  
 ხარ სრული გრძნობით,  
 განსჯით და ცნობით  
 სამაგალითოდ წარმოდგენილი,  
 ქცევა ქებული  
 გაქვს დიდებული  
 გშვენის ქალთ მეფიდ გყონ და დგენილი.<sup>1)</sup>

ქსნის ხეობის შეძლებულ თავადს მირმანობზ დავითის-ძე ერისთავს ორი გაფის: ესტატესა და კონას გარდა ჰყავდა ქალებიც: მარიამი და მანანა.

მომაგალი „ქართველთა რეკამი“ აღიზარდა თავის მამის სახლში, სადაც მიიღო თავის დროისათვის ბრწყინვალე არისტოკრატიული განათლება. ბავშობიდანვე გაი-

ტაცა მანანა მწერლობაში და ხელოკებაში, რომლის სიყვარული შერჩა სიკვდილამდე.

ოციან წლებში მანანა ტფილისშია.

სხვა დეტალები ახალგაზრდა ქალის ამ პერიოდის ცხოვრებისა ჩევნთვის უცნობია.

ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელს წესად ქონდა დადებული წლიურ გამოცდების ჩატარებისას „საჯარო აქტების“ მოწყობა.

„აქტებს“ ესტრებოდნენ მთავარმართებელი, საქართველოს ექვანდონის, გუბერნატორი, შტაბის უფროსი და საერთოდ ყველა, შემთხვევით თუ მუდამ ტფილისში მცხოვრები „წარჩინებულნი“.

რაյო სხვა გასართობი არ იყო, საჯარო აქტები წლიურ სადღესასწაულო წარმოდგენას უდრიდა. მაგრამ ამ წარმოდგენაზე მანდილოსნები არასდროს არ ყოფილან არ შეიძლება კი, რომ მათს ცნობის მოყვარეობას. არ სდომებოდა ერთხელ მაინც გაეგძა იმისი, თუ რა ხდებოდა იქ.

ტფილისის მაშინდელ მანდილოსანთა მცირე ჯგუფში გამოიჩინებოდა ორი ქალი: ნინო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული და მანანა მირმანობზე ერისთავის ასული.

მოინდომეს ამათ სასწავლო აქტის შინაურულად წარმოდგენა.

და გამართეს აქტისნაირი წარმოდგენა.

ოფიციალური მოხელეები, რასაკვირველია წარმოდგენას არ დასტრებიან. იყვნენ სულ ნათესავები თავადის ასულებია.

ეს იყო არღადეგების დროს, ე. ი. სწავლისაგან თავისუფალ დროს [1828 წელს] თავადის ასულ მანანა ორბელიანის სახლში.

წარმოდგენაზი მონაწილეობას იღებდა უფროსი ქლასების ხუთიოდ ექვსიოდე მოწაფე.<sup>1)</sup>

არავითარი სხვა ცნობა წარმოდგენის შესახებ არა გვაქვს იმის გარდა, რომ „აქტს“ „ძალიან კარგად ჩაუგლაა“ და მონაწილენი კი „თავგრძელამსხმელი მაღლობის ლირსნი გაუზღიათ“.

30-იანი წლების დასაწყისში მანანა ცოლად გაჰყვა „ტაინი სოვეტნიკ“ დავით ორბელიანს, მაგრამ ამდენიმე ხნის შემდეგ დავითი გარდაიცვალა და მანანას აღსაზრდელად დაუტოვა სამი ჩეილი: ივანე, ტასო და ალექსანდრე.

1830 წელს მაშინ პორტჩიქმა გრიგოლ ორბელიანმა „გუმანი გულისა“ ასე აუწყა მანანას: „მნათობო, თვით შენ აღმისენ, რა შემართების, რასა ვგრძნობ, როს გხედავ, რადა ვპეტილდები, რად ვჰკრთები ვშიშობ და ვპხარობ“

<sup>1)</sup> იხ. ჟურ. „ცისკარი“ 1871 წ. № 1.

<sup>1)</sup> იხ. დ. ყიფიანის „მშმუარები“ 1930 წ. გვ. 8; 9.

ლენინის ორდენის  
ოპერის და ბალეტის  
თეატრი



„აბესალომ და ეთუ-  
რი“ ბალეტის მა-  
სიმბი — მ. ბაზ ერი

მაშინ რად ენა სდუმდების, რომ შენთან უბნობას ვსცდი-  
ლობ, და რისთვის ნაცვლად სიტყვათა, მხოლოდ ოხერითა  
ვმეტყველობა? მრავალჯერ ვფიცავ არ გნახო, მაგრამ ყოველ ჟამს გე-  
ძიებ, როს გხედავ, გულსა სახმილსა მდუშარედ შეყოფსა აღმი-  
გნებ. მაშინ მე, შმაგი, ყოველთა გარე ჩემს საგანთ ვივიწყებ; ხანა ვწყებ შენთა სიტურფეთ და ხან კი მათვე ვაღმერ-  
თებ. მრავალ გზის ვჰუცავ გივიწყო, და ვქნამცა ნება გონე-  
ბის; მაგრამ როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის... გული ხელმწიფებს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის, და გულის მონად შექმნილი გონებაც შენდა მოჰურინვის!“

მაგრამ მანანამ არ თანაუგრძნო ამ სიყვარულს, ამი-  
ტომ რომანი მალე მეგობრულ დამოკიდებულებაში გა-  
დავიდა და ბოლომდის ასეთივე დარჩა.

გრიბოედოვის მომხიბლავი ქვრივი ნინო ალექსან-  
დრე ჭავჭავაძის ასული უერთგულესი მეგობარი იყო  
მანანა ორბელიანისა, ამიტომ მანანა მთელი დღეობით  
მათთან რჩებოდა.

მანანას ხოტბაში სხვებს არ ჩამორჩა სიყვარულის  
უფიდესი მთქმელი ალექსანდრე ჭავჭავაძე. ვინ იცის  
პოეზიის მარტობაზე რამდენი ლექსი ჩიმოტოვა მანანას-  
თვის ნათქვამმა ამ ოთხსტრიქონიანმა მაჯამამ:

სვერ მაწვიმა მანანა,  
მომივლინა მან ანა,  
მას თან მოყვა მანანა  
მინანავა მან ნანა!

მანანა ორბელიანი ატარებდა ვერცხლის მძიმე ბე-  
ჭედს წარწერთა;

„უდროთ მზის დასავლით  
მაბნელა სოფელმა ანაზღეულათ“. <sup>1)</sup>

ბეჭედის რომანტიული წარწერით და ცენტრულის ლი-  
ტერიტორიაზე მოხილული გრიგოლ ორბელიანი წელი გამოიყენებოდა  
ლობაში თხოვდა მანანას გადაეცა მისოვის თითის ძვირ-  
ფასი სამკაული, ქვრივი მარადის უარით ხვდებოდა სალ-  
ო პოეტის წინადადებას.

ბეჭედი მაინც გასაჩუქრდა.

ამ ამბით აღსფოთებულ გრიგოლ ორბელიანს 1835  
წლის ოქტომბრის ოცდარვას მანანა ასეთ სანუგეშო  
სტრიქონებს სწერდა: „ჩემი ბეჭედი იგანეს მივეცი. ნუ  
დამენდურები შენმა გაზრდამ. შენ უფრო კარგს ბეჭედს  
გამოგიგზავნი თუ მალე არ ჩამოხვალ აქ. ნეტავი შენი  
ნახვა მელირსოს თორემ ბეჭედისა იდვილია, საძაგლი  
ყაფლან“ <sup>2)</sup> ვიცი, როგორც მოგწერდა“ <sup>3)</sup>

გრიგოლ ორბელიანმა ერთ-ერთ ბარათში მანანას  
ბებრობა დაწამა. მშვენიერი ქვრივი თავის პასუხში  
წერდა: „.. ბებრობაზედ დამცინი? უკაცრავათ შენ უფრო  
ბებერი არ ბრძანდები ჩემხედ. ჩემ ბებრობაზე კვლავ  
ნუღარ იხუმრებ, შენი თავი მნიდ არა გყავს უწყალოდ  
დაბერებული და დალალული. მე შენსავით არ გახლავარ. აქ მობრძანდი და ვნახოთ ვინ უფრო ბებერია“, <sup>4)</sup>

მანანა ორბელიანს სახელგანთქმული სალოხი ჰქონ-  
და, სადაც „იკრიბებოდა, რაც რამ იყო ტფილისში წარ-  
ჩინებული მწერლობაში, ხელოვნებაში და მართველო-  
ბაში.“

ვინ არ მოდიოდა აქ?

მიღეთის ხალხი ცვლიდა ერთმანეთს. უცხოეთის  
სხვა და სხვა მხარეთაგან მოსულნი „სანუკვარს სულისას“  
მასთან ეძიებდნენ. ეკზოტიკის რამდენი მოტრფიალე გაო-  
ცებაში მოსულა მასთან სტუმრობისას. თემირხანშურაში  
მყოფი გრიგოლ ორბელიანი სინაულით წერდა მანანას: „თქვენი განბრწყინებული სალონი სავსეა ანგლიჩანებით,  
ჭრანცუზებით, ჰინდოლებით; ჭეშმარიტად ჩუქურს მათი  
ბედნიერება და ვამბობ, ნეტავი მათ რიცხვში მევ ვიყო.  
მაგრამ ცარიელის ნატვრით რა გამოვა და თუ გინდ ესეც  
იღმისრულდეს, ვინ იცის, ვიქნები თქვენგან, მათ მსგავ-  
სად ყურადღებით მიღებული? რასავიკოველია აღარ მექ-  
ნება თქვენთან ის ადგილი, რომელი ახლა შეუცყრიათ  
უცხო ქვეყნელთა“. <sup>5)</sup>

მანანასთან მუდამ ზღვა იდგა მხიარულებისა და  
მოსულნი ქამიდან უამდე თავდავიწყების მორევში სცუ-  
რავდნენ. სიამაყით წერდა სალონის პატრონი გადასახ-  
ლებაში მყოფ გრიგოლ ორბელიანს: „მე არა წაქვს თავი,  
რომ მოგწერო აქაური დროს გატარებები, თორემ ბევრს  
იცინებდი. ახ გრიგოლ! ნეტავი ერთი მოგიყვანა და გა-  
ურებინა აქაურს ჩვენს შექცევებს გაშტერდები“. <sup>6)</sup>

1) ის. საქ. მუხ. პალეოგრ. განყ. (H ფონდის) № 1635 b.

2) ორბელიანი—ი. ბ.

3) ის. საქ. მუხ. პალეოგრ. გან. (H ფონდი) № 155 b.

4) იქვე. წერილი 1835 წ. ოქტომბრის 28-ს.

5) ის. საქ. მუხ. პალეოგრ. განყ. (H ფონდის) № 155 a.

6) ის. საქ. მუხ. პალეოგრ. განყ. (H ფონდის) № 155 b.



ლენინის ორდენის  
მპერის და ბალეტის  
თეატრი

„დაისი“  
ცანკალა ორდენისა-  
ნი მასახობი —  
ხ. ზამაშურიძე

1835 წლის თებერვლის თვეიდან მაისის თვეის შუა-  
რიცხვებამდე მანანა ორბელიანის კახეთში წასვლის გამო  
სალონის კარები ღრმებით დაიხურა. მარტის 12 ს ზა-  
ქარია ორბელიანი თავის ძვალი გრიგოლს წერილით ატყო-  
ბინებდა: „შენი მანანა წინანდალში არის კარგა ხანია.  
Онē там мечтают“. <sup>1)</sup>

ჭავჭავაძების განთქმულ მამულში, რომელსაც აღტა-  
ცებაში მოსული საფრანგეთის კონსული კავალერ გამშება  
„ნამდვილ სასწაულს“ ეძახის და თანვე ამბობს, რომ ეს  
სასახლე ყველაფრით „მოგავარებს ევროპის სასახლე-  
ებ“. სო, მანანა ორბელიანა პჰოვა უდიდესი სულიერი  
სიმშვიდე და სრულ თავდავიწყებას მიეცა.

ამავე ხანებში გრიგოლოვის ქერიეს წინანდალში  
ეწყია უკუდავი რუსი გენის ალექსანტრ პუშკინის უმ-  
ცროსი ძმა ლევ სერგეი ძე (1805—1852) რომელიც 1826  
წლიდან კავკასიის სამხედრო ნაწილებში მახურობდა.

საუბრიანას ლაპარაკი ჩამოვარდა პუშკინზედაც და  
რასაკვირველია, რომ ცნობის მოყვარე, რუსული ენის  
უცოდინარმა მანანამ ბევრი საინტერესო გაივრ გამოჩე-  
ნილი რუსი მწერლის შესახებ, რომელიც 1829 წელს  
ტფილისში ყოფნისას არა ერთხელ იყო მის სალონში.

ლევ სერგეისძე, რომელიც ჩინებულ დეკლამატო-  
რათ ითვლებოდა და რომელიც სხვათა შორის თავის  
ძმის ნაწერებს ავტორზე უკეთ კითხულობდა, როგორც  
ჩანს „წინანდალის ქალებს“ წაუკითხა „რუსლან და ლიუ-  
დმილაც“, რომელიც მანანას შემდეგ ქართულად უთარ-  
გმენს.

კახეთში გატარებულ ღრმისა და იქ მიღებულ სია-  
მოენების შესახებ მანანა გრიგოლ ორბელიანს 1835 წლის  
13 მაისის თარიღით გაგზავნილ ბარათში წერდა: „მე  
ხომ კახეთს ვიყავ ესე იგი წინანდალში უცხოთ შავე-  
ქეც“. <sup>2)</sup>

წინანდალში ყოფნით არა ნაჯეობ ნასიამოვნებ  
დევ სერგეისძე პუშკინის შესახებ პოეტის დედა იმავე  
წლის 19 ივნისს თავის ქალიშვილს წერდა: „სამი დღის

წინად მე მივიღე ლევანისაგან 29 მაისის რიცხვით გა-  
მოგზავნილი წერილი. მან მოიარა მთელი საქართველო,  
ორი კვირე კი გაატარა გრიგოლოვის ქვეშემსქმედების შემთხვევაში. ის ამბობს, რომ ეს დღეები ყველაზე ნერაციულ არანიერებაში. ის მწერს, რომ იგი უმშვენიერესი ქალია“. <sup>1)</sup>

ტფილისში დაბრუნებულმა მანანა ორბელიანმა  
კვლავ აღადგინა სალონი.

ლიტერატურულად გახმაურებული წიგნი რუსული  
ენის უცოდინარ მანანას სალონის წევრთავის ნატერის  
საგნად იქცეოდა ხოლმე, წიგნის ორიგინალში წაკითხვის  
შესაძლებლობას მოკლებული თანახმანი იყვნენ თარგმან-  
ში გაცნობილიყვნენ მას.

წინანდალში რუსულად მოსმენილ და „ქალებისა-  
გან“ ზეპირად ნათარგმნ „რუსლან და ლიუდმილას“ შე-  
სახებ კვალიფიციურ მთარგმნელს რუსეთში მყოფ გრიგოლ  
ორბელიანს მანანა ტფილისადან გაგზავნილ წერილში  
წერდა: „ახლა გთხოვ გრიგოლ თუ ქისები და წინცები  
გინდა ხომ კიდეც დამპირდი წიგნის თარგმნასა და შეის-  
რულე ჩემი თხოვნა რუსლანის ანუ ლუდმინასი. ის წიგნი  
მითარგმნე შენი ჭირიმე ისე კარგა და ძლიერათ, რო-  
გორც რუსულათ არის დაბეჭდილი. თუ გინდა, რომ შე-  
იტყო ეს სახელი ვინ მასწავლა მე მითარგმნეს ჩემნა  
ქალებმა წინანდალში. შენი ჭირიმე სადაც იყოს იშოვნე  
და მითარგმნე ყმაწვილო“. <sup>2)</sup>

„წინანდალის ერთ ქალთაგანს“ ნინო ალექსანდრე  
ჭავჭავაძის ასულს 1835 წლის 10 ივნისს გრიგოლ ორ-  
ბელიანი მანანას თხოვნის პასუხად წერდა: „გიური მანანა  
უფრო გაუგიერებით გადამკიდების მითარგმნეო“ <sup>20).</sup>

იმავე წლის ივლისის 22-ს მანანა აგონებდა გრი-  
გოლ ორბელიანს: „ამას წინათ წიგნის თარგმნა გთხოვე  
ჩემს წიგნში და არ ვიცი მოგივიდა თუ არა თუ შეიძლე-  
ბოდეს მითარგმნე გენაცვალე“. <sup>3)</sup>

ძნელი საოქმელია შეასრულა თუ არა გრ. ორბე-  
ლიანმა დაკვეთა მანანა ორბელიანის სალონისა. პუშკი-  
ნის „რუსლან და ლიუდმილა“ დღემდე უცნობია ქართულ  
თარგმანში.

მანანას სალონში წაკითხულ ნაწერთაგან ხოტბა  
გამონაკვისებს ხვდებოდა ხოლმე. მაღალ-მხ-ტერული  
გემოვნებით დაჯილდურებული მანანა ავტორებს დიდ  
მოთხოვნილებებს უდგენდა.

სხვა და სხვა მიზეზთა გამო ტფილისიდან წასული  
ახალ თხულებებს სარეცენზით მანანას სალონში გზავ-  
ნიდნენ ხოლმე, რომელთა კითხვა და გარჩევა სალონის  
საყვარელ საქმედ ითვლებოდა.

1835 წელს გრიგოლ ორბელიანის მიერ რიგაში  
დაწერილ და რიგიდან მანანას სალონში სარეცენზით  
გამოგზავნილ ლექსს „სულით ერთნო, მოლხინენო“-ს მა-  
ნანა პოეტისადმი მიმართულ ბარათში ასეთ შევასებას  
აძლევდა: „ვერაფერი გახლდათ შენი ლექსი „ტიბლიპიტო“  
შენ დღეში იმისთანა უგემური ლექსი არ გითქვამს“. <sup>4)</sup>

რძალთა შორის ატებილ უთანხმოების გამო იყლი-  
სის თვეში სალონში მსვლელობა საგრძნობლად შეირყა. 1835 წლის ივლისის 22-ს მანანა გრიგოლ ორბელიანს  
მწუხარებით შესჩიოდა: „სხვა ჩემი (სალონის) ამბავი რა  
მოგწერო ვართ უგემურათ საცოდავათ; რომ აქ რომ იყო

<sup>1)</sup> იხ. „Литературное наследство“ 1934 წ. № 16—18 გვ. 793.

<sup>2)</sup> იხ. წერილი 1835 წლის მაისის 18-ს საქ. მუხ. პალეოგრ. განკ. (H ფონდის) № 155 b.

<sup>3)</sup> იხ. საქ. მუხ. პალეოგრ. განკ. (H ფონდის) № 155 a.

<sup>4)</sup> იხ. საქ. მუხ. პალეოგრ. განკ. (H ფონდის) № 155 b.



ლენინის ორდენის  
ოპერისა და ბალეტის  
თეატრი

„აზეუალომ და ეკი-  
რი“ ოანდარუში  
ორდენისანი—  
ზ. სვანიძე

საშინალო შასწუხდები ჩვენის გულისათვის და შაგვიბრა-  
ლებ, მეტად ცუდად ვატარებოთ დროს“. <sup>1)</sup>

ოქტომბრის თვეში რძალთა შორის უთანხმოება მი-  
ვიდა გაყრამდის. ამ ჯერად მანანა 1835 წლის ოქტომ-  
ბრის 28 ს გრიგოლ ორბელიანს წერდა „ჩვენ კამპანიებს  
კითხულობ ისე ღმერთმა შენი მტრის გული ამყოფოს,  
როგორც ჩვენი გული იყოს კამპანიისთვის მოცულილი.  
ვიდა და ვისთვის? ჩვენ ვსხევდართ წმინდა მარტინა სახლ-  
ში. აქმდისინ ჩემი გული სალომე<sup>2)</sup> იყო და კიდევ იმი-  
თი ვსიამოვნებდით ახლა ისიც წაბრძანდა გუშინწინ. ვარ  
საცოდავი უწყალოს ახვრით დროს გამტეარებელი წიგ-  
ნიც არა მაქვს რა, რომ ვიკითხო, ახ! გრიგოლ სადა ხარ  
რა რიგათ საჭირო ხარ ჩემავის. ახლა ჩემი მდგომარეობა  
შაიტყე ვიყრებით მე და ჩემი რძალი. ვალი აქვს თ თხი  
ათასი თუმანი თეთრი ფული არცერთს თამასუქედ ხელი  
არ მიწერია, არც ჩემს ქმარს და მეუბნებიან უთურდ ნა-  
ხევარი შენ უნდა მის ცეო. რაც ქმარი მომჯომია არცრა  
მისარეგებლია ჩემის ყმა და მამულიდამ სულ ამათ შაუჭა-  
მიათ და ახლა ჩემ პაწაწინა აბდებმა უნდა გადიხადონ.  
ღუბერნატორი არის მოლაპარაკე. ახლა წარმოიღინე  
ჩემი უწყალო უნუავშო მდგომარეობა და ისე შამიბრალე.  
აქდამ მანდ მოწერა მეტად ძნელია, თორებ სულ და-  
წვრილებით მოგწერდი ჩემი სახლის ამბავს. ეს გახლამ  
ჩემი დროს გატარება“. <sup>3)</sup>

მანანა ორბელიანი თავის შვილებს ევროპულ ყაი-  
დაზე ზრდიდა. გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ერთ  
ბარათში ვეითხულობთ: „ჩემი შვილები პირს გეორგიან.  
ივანე პანსიონში მყავს და სწავლობს, რაც შეეფერება.  
გიორგი ავალოვსა ვთხოვე მოსკოვში თვალყურის გდება  
და მინდა იქ გავგზავნი და ჯერ პასუხი არ მომსვლია.  
ფრანგიც კი ლაპარაკობს ცოტათ და სწერს კითხვი-  
თაც კითხულობს. ქალიც მაღამ დანელოვიჩიან მყავს  
წელიწადში ოცდა ხუთის თუმანს მართებს თეთრს ფულს  
ისიც სწავლობს, მაგრამ ივანეს გონება კარგი აქვს ვინებ

ტასოს. ალექსანდრე კი ჯერ ყმაშვილი არის და ელენე<sup>4)</sup>  
აკითხებს“. <sup>5)</sup>

1835 წლის დასასრულს გარდაიცვალა შემახატული შე-  
ლი ლუარსაბ ორბელიანი. როცა ამ ამბავში გრიგოლ  
ორბელიანამდეც მიაღწია უკანასკენელი მანანის წერდა  
სანუგეშოთ „... შუალამიდამ რჩი საათია გასული და მე  
მწუხარება არ მაძინებს. რამდენიმე საათია ვცდილობ  
შენდა მოწერის და ვერა მომიგონია სათქმელად.—ვერც  
შენდა ნუგეშის, ვერც ჩემის მწუხარების. ესრეთ სიმწარე  
მან სრულებით განაბნია გონება ჩემი დაპჰთამფლობ  
მოუთმენელსა მოუსვენნობაში; მარამა შენ იკრძობ ჩემს  
მწუხარებას, იგრძობ როდესაც მოიგონებ, რომ უბედ-  
ნიერესი ჩემი დღენი წარვიდნენ თქვენს ოჯახში სა-  
უკარელს დავითოთან და ლუარსაბთან, რომელთა სიკვდი-  
ლით დამემჭარა სრულებით სიცოცხლე. მანანაც ვინძლო  
უბედურებამ არ გძლიოს შენ, არა დაეცე სულითა; გარ-  
დამეტებული მწუხარება არის წინააღმდეგ ლეთისა. მიხე-  
დე შენ წვრილშვილებს, რომელთაცა მფარველად დაპჰთი  
მხოლოდ შენ ამ სოფელში. მათვის უნდა იცოცხლო, მათ-  
თვის უნდა მოითმინ ყოველგვარი უსიამოენება და ტან-  
ჯეა; თვითეული ქამი, თვითეული დღე შენისა სიცოცხ-  
ლისა უნდა უმსხვერპლო მათ. ეს არის დიდი ვალი შენი,  
ვალი დედისა. ამა მიზეზთა გამო განძნევდი სულითა,  
შეძლებისამებრ განავდე ყოველივე მწუხარება და მედერად  
შეუდექ და აღასრულე ვალი შენი. ყოველისა შენის ფი-  
ქრის საგნად უნდა იყვნენ შენი შვილი და მათი ბედ-  
დნიერება. გევერწები დაწვრილებით მომწერე ყოველი-  
ვე გარემოება თქვენის სახლისა, მიზეზი უბედურის სიკვ-  
დილისა, და აწინდელი თქვენი მდგომარეობა და ან რო-  
გორი პლანები გაქვს თქვენის ცხოვრებისათვის“. <sup>6)</sup>

მაგრამ „ღრუბელმა მალე გადაიარა“ და მანანას  
სალონში კვლავ ძეველებური ცხოვრება ადულდა.

გასული საუკუნის ორმოციან წლებში მანანა ორ-  
ბელიანის სალონში მუდმივად დადიოდა საშუალო სიმა-  
ღლისა და მოეთრო პირებელი სახის, ერთმანეთთან გა-  
დაღობილ წარბებით, მიმზიდველ შავთვალებიანი, ყო-  
ველთვის წვერ ულვაშ მოპარსული, ევროპულად ჩატული  
„ექსპედიცია სული ი რასპრავას“ კოტლი „სტოლნაჩალ-  
ნიკი“ შინაურები ტატოს რომ ეძახდენ. „არა კორშილი,  
არა ღამის თევა. არა ყრილობა არ იყო ტურილისი ქარ-  
თველ საზოგადოებაში, საცა ის არ ყოფილიყო თავ მომლ-  
ხენად და შემაცევრად. ყმაშვილი კაცი, უპირველესი  
ოჯახის შვილი, მარჯვე მოსწრებული, მოლაპარაკე, მო-  
ლექსე, მოლექურე, მეჩონგურე, მეთარე, ქალალდის ვატა-  
ცებით მოთამაშე, ყოველგან მომსწრობი, ყოველგან შინაუ-  
რი კაცი. საღამო ისე, როგორ გაივლიდა, სამ ოთხ  
ოჯახს არ სწვეოდა იქ ამბები და ჭორები არ მიეტანა იქ  
არ გამოეტანა. დროუების ფულები არა ჰქონდა (ფართ-  
ნები მაშინ არ იყო) ამდენ სასიარულოდ, მაგრამ ის კოტ-  
ლი ფეხები ხომ ზედ ჰქონდა და ბილიკები ხომ ზეპირად  
იცოდა. მისოვის ყველგან ფართოდ ვაღებული იყო კა-  
რები მეტად მანანა ორბელიანთან, ამ ჩვენებურ მაღამ  
რეკამიებთან. აქ თამაშობდა ის, აქ ლინიობდა, ოხუნჯობ-  
და არშიყობდა“ <sup>7)</sup> მღეროდა, კითხულობდა თავის ლექ-  
სებს, სხვებს უსმენდა, აქებდა, ქირდაგდა და დასცინდა.

<sup>1)</sup> ერისთავიან ნაგულისმეტე—ი. ბ.

<sup>2)</sup> იბ. 1835 წლის ოქტომბრის 28-ს საქ მეზ. პალეოგრ. განკ. (ფონდის) № 155 ბ.

<sup>3)</sup> იბ. საქ. მუზ. პალეოგრ. განკ. (H ფონდის) № 155 ა.

<sup>4)</sup> იბ. 6. ბარათაშვილის თხზულებანი 1922 წ. ბარათაშვილის  
ბიოგრაფია ი. მუნენარგისი.

<sup>1)</sup> იბ. საქ. მუზ. პალეოგრ. განკ. (H ფონდის) № 155 ბ.

<sup>2)</sup> ლაპარაკე ალ. ჭავჭავაძის ცოლხე.

<sup>3)</sup> იბ. საქ. მუზ. პალეოგრ. განკ. (H ფონდის) № 155 ბ.



ლენინის ორდენის  
ობერის და ბალეტის  
თეატრი

„აბესალომ და ეთე-  
თერი“ ს. უბრი—  
ა. ჯანაშია

წაიკითხა თუ არა ნ. ბარათაშვილმა მანანა ორ-  
ბელიანის სალონში იოპ. ლეიზევიცის ტრალედიის ქარ-  
თული თარგმანი ივი მეორე დღესვე 1841 წლის მაისის 21-ს გამარჯვებით აღმოჩენილი თავის ბიძა—გრი-  
გოლ ორბელიანს ატყობინებდა: „ჩვენმა ლიტერატურამ  
ორი კარგი თარგმანი იშოგა: კპიანმა გაღმოთარგმნა  
„Ромео и Джулиетта“ შექსპირის ტრალედია და მე ვთარ-  
გმნე Юლი თარენტსკი, ტრალედია ლეიზევიცისა; თუ  
წაგიკითხავს ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი; მე ძალიან  
მომეტონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმა (მანანას  
სალონის წევრებმა ი. ბ.) ასე გასინჯე იტირეს“.

ბარათაშვილს პირადი მეგობრობა ჰქონდა მანანას-  
თან. ისინი ბარაოებსაც სწერდნენ ერთმანეთს. ამ მიმო-  
წერის არც ერთი ეპისტოლე არ შემოუნახავს ისტო-  
რიას ჩვენთვის. სხვა პირებისადმი მინაწერ ჩვენამდე მო-  
სულ ბარათაშვილის წერილებიდან მანანა არა ერთ გზის  
არის მოხსენებული.

1841 წლის ოქტომბრის 31-ს ბარათაშვილი ტფი-  
ლისიდან მაიკო იორბელიანს წერდა:... „მადლობელი ვარ,  
რომ რახაელს წიგნი დასტურე, გუშინ იასემ მომიტანა.  
ამიტომ უფრო მიამა, რომ წინა დღეს ამ წიგნზედ ლა-  
პარაკი იყო და მეორეს დღეს უნდა მიმეტანა მანანასა-  
თვის, ასე ეგონა მე მაქვს“.

ნ. ბარათაშვილის დის ეკატერინეს ქორწილს ახალ-  
გორში მანანა ორბელიანიც დაესწრო. ბარათაშვილი ზა-  
ქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში დეტალუ-  
რათ აღწერს მრავალდღიან ლხინსა და მასში მანანას  
მონაწილეობას.

1844 წლის აგვისტოს 15-ს ალექსანრ ეკატერი-  
ნესთან ჩასულ ნ. ბარათაშვილსა და მელიტონს თან ახლ-  
და მანანა ორბელიანიც. ბარათაშვილი თავის ბიძა ზა-  
ქარია ორბელიანს წერდა: „ის ღამე და მეორე დღეც  
იყო მშვენიერი. ძალიან მხიარულება იყო. ცოტა წმინდა-  
ლის დროს მანანა აფად გახდა და იმან ცოტად დაგვიშ-  
ლა მხიარულება“.

## გაიარა რამდენიმე ხანშა.

ნახიერავნში ლევან მელიქიშვილთან ერთად მყოფი  
ბარათაშვილი 1845 წლის თებერვლის 9-ს, მარკო ლომბადი-  
ლიანისადმი მინაწერ წერილში მანანას ასე ესაყველურ-  
ბოდა; „მაგრამ ეს მაკვირვებს, არ ვიცი რა მიზეზია, რომ  
მანანა მოყითხვითაც არა მკითხულობს მაგრამ ერთის  
მხრით, არც კი უნდა დავეძურო, ახლა ჩვენ ვიღას მო-  
გაგონდებით, ვიღაც არი ტლუ ბიჭი გდია ნახეჩევანში.  
ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცის  
წლის კაცები არიან!“

მანანა ორბელიანის სალონშა უდიდესი როლი ითა-  
მაშა მთელ რიგ კულტურულ წამოწყებათა საქმეში.

როგორც ლუკა ისარლიშვილის ეხლახან ნაპოვნ  
მოგონებიდან სჩანს მანანა ორბელიანი ყოფილა ერთი  
მთავარი ორგანიზატორთაგანი უურნალ „ცისკარი“-ს გა-  
მოცემისა, და მუდმივ ქართულ თეატრის ჩამოყალიბებისა.

„მანანა ორბელიანის სალონში იყო—სწერს ისარ-  
ლიშვილი—რაც ცისკარის გამოცემას და თეატრს მიეცა  
დასაწყისი.“

აქ იყრიბებოდნენ და კითხულობდნენ ლექსებს:  
ტატო (ბარათაშვილი ნიკო, ასე ეძახდნენ) გიორგი  
ერისთავი, ისარლოვი, ბირთველიჩი (მიხეილ თუმანიშვი-  
ლი), მაღალაშვილი, ხანდახან ყიფიანი და სხვ.

ერთ სალამოს ასეთი შეკრების დროს გამოითქვა  
აზრი უურნალის გამოცემის შესახებ, რაც განხორციელდა  
მას შემდეგ როდესაც ვორონცოვმა (რომელიც ხშირად  
დადიოდა მანანასთან) შეიტყო გიორგი ერისთავზე და  
შემწეობა მისცა უურნალის გამოცემისა და ოეატრის  
დაარსებისათვის. <sup>1)</sup>

რუსეთის გაქნილი და გაიძერა მთავარმართებელი  
მ. ს. ვორონცოვი ცდილობდა რაც შეიძლება ღრმად ჩა-  
ეთრია ქართველი ქალები ევროპული ცხოვრების წესში.

ნიკოლოზ იაკოვი ამბობს: „ვორონცოვმა, რომელ-  
საც სურდა ქართველი ქალებისათვის ეჩვენებია საქართ-  
ველოს გარე რამ, საგანგებო გემით მოაწყო (846 წელს)  
მათი ყირიმში გამგზავრება, ალუპკაში ბანოვანებს მეფუ-  
რად შეხვდნენ“. <sup>2)</sup> ყირიმში გამგზავრებულ ქალთა მარა-  
ქაში იყო მანანაც. ტფილისში ქალების დაბრუნების რამ-  
დენიმე ხნის შემდეგ გრიგოლ ორბელიანი თავის უმცროს  
მას ილიას ჯუნგუთიდან წერდა: „ბრწყინვალე ჩვენი  
კნეინა მანანა როგორ კსულევს? ჩემმაგიერ დიდი პატივი  
ცემა მოახსენე, და ჰყითხე გოლლანდსკის პალატნო რომ  
დამპირდა, მომიტანა ოდესიდან“ <sup>3)</sup>

50 იან წლებში როცა ეკონომიურად დაცემულმა  
ქართველ თავად აზნაურობის ერთა ნაწილმა ავაზაკობასა  
და მძარცველობას ხელი მოჰკიდა, მანანა უაღრესად აღაშ-  
ფოთა და შეურაცხყო ამ უმგვანო საქციელმა. აკაცი წერ-  
თელი ვორონცოვის ექიმ ანდრიევსკის ნაამბობს ასე გადმო-  
გვცემს თავის მოგონებებში: „...ოფისტა რომ გასტეხეს ავა-  
ზაკებმა... განსვენებულმა ვორონცოვმა ცრემლები გადმო-  
ყარა: „ვინ ქართველი და ვინ ამისთანა უცნაური, უმაგა-  
ლითო მათში საქმეო?“ სამაგალითოდაც დასაჯა დამნაშა-  
ვენი: საუკუნოდ მაღნებში მუშაობა მიუსაჯეს დიდსა და  
პატარას, ყველას...“

<sup>1)</sup> ის ზუადიდის მხარეთმცოდნების შუბეუში იღენა მეზ-  
ნარების არქივი.

<sup>2)</sup> ი. ც. „Русская Старина“ 1917 წ. № 2.

<sup>3)</sup> ი. საქ. მუხ. პალეოგრ. განტ. (Н ფონდის) № 155 ა.



ლენინის ორდენის  
აპერის და ბალეტის ოფიციალური



„აბესალომ და ეთერი“  
მარცხნივ: აბით—ვ. გრიგორაზევილი  
მარჯვნივ: სახლოშელესი—ვ. მებუკე

თავადმა პეტელ ქალებს; „ნუთუ მაგრე  
დაგენანათ რამდენიმე კაცის კიმბირში გაგზავნაო“ და  
ქნეინა მანანა ორბელიანისამ ეს პასუხი გასცა ქართველ ქა-  
ლების მაგივრად საზოგადოდ: „ისინი ომშულაც არ გაე-  
ჩინა ღმერთს ჩვენს შესარცხვენად უკეთესი იქნებოდა,  
მაგრამ ჩვენ ის გვაწუხებს, ომი იმ შეჩვენებულებმა ქართ-  
ველებს სახელი გაგვიტეხეს და სხვების სჯოლზე და  
კვალზე წავიდენო!.. ვორონცოვმა ხელზე აკუკა მანანას  
და ლიმილით უპასუხა: „ქნეინავ, ნუ შესწუხდებით, თვი-  
თო-ოროლა ცუდი ყველგან ურევია“. <sup>1)</sup>

მუდმივი ქართული თეატრის საფუძვლის მოკირ-  
წყვლაში მანანა ორბელიანისაც უდევს წილი. 1850 წლის  
იანვრის ორს ტფილისის „კეთილშობილთა“ სასწავლებლის  
დარბაზში ნათამაშებ კომედია „გაყრა“-ში მან ყარდაშვერ-  
დის როლი შეასრულა.

1858 წლის ნოემბრის თვეში ტფილისში ჩამოსული  
შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩი სეიმური  
უმოქლეს დროში მანანას სილამაზის ტყვე შეიქნა, მა-  
რიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის გადმოცემით: „ინგ-  
ლისელი სეიმური ყოფილა შეყვარებული მანანაში, სეი-  
მური იშოვიდა თუ არა ხელსაყრელ დროს უხსნიდა მას  
სიყვარულს ინგლისურ ენაზე, რომელაც მანანას არ ეს-  
მოდა, მაგრამ ატყობდა, რომ ეს სიყვარულის ახსნა იყო  
და რომელიც მისი აზრით მისი ქალისაღმი იყო მი-  
ღვნილი. ბოლოს ერთი მეტისმეტად მხურვალე სიყვარუ-  
ლის განცხადების შემდეგ მანანამ უთხრა ვიღაცა, რომ

<sup>1)</sup> იხ. „რჩეული ნაწერები“ 1930 წ. ტ. I გვ 65.

აეხსნათ სეიმურისათვის, რომ რასაც ის მას თხოვს სრუ-  
ლებით არ არისმისგან დამკიდებული და რომ ეს მხო-  
ლოდ და მხოლოდ მისი ქალის ტასოს საქმეა.

მანანას აუხსნეს, რომ სეიმურისაგან გრძნობების  
გამოხატვა ეკუთვნის არა მის ქალს არამედ თვითონ მას,  
რაზედაც მანანამ ბევრი იცინა“. <sup>2)</sup>

1870 წლის ივლისის 3 ს გრიგოლ ორბელიანი  
ტფილისიდან სამეგრელოს დელფინი ეკატერინე ალექ-  
სანდრე ჭავჭავაძის ასულს ურვით ალვილი წერდა: „მწუ-  
ხარება მწუხარებაზე დაგვერთო ძლივ დავასაფლავეთ  
საბრალო ალექსანდრე სამეგაში, ორს დღეს უკან მივას-  
ვინეთ იქვე ჩვენი სიქადული მანანა“. <sup>3)</sup>

იმავე წლის დეკემბრის 28-ს „მზის დაბნელების“  
წარმოდგენის შემდეგ რევაზ ანდრონიკაშვილის სახლში  
„ქართულ თეატრის მოსიყვარულებათვის“ გამართულ ნა-  
დიმჟე უურნალ „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესე-  
ლიძემ ლხინის დასაწყისშივე თქვა: „პირველად, რომ წარ-  
მოადგინეს ვარანცოვის სურვილით „გაყრა“, მაშინ მომ-  
ქმდები პირი იყვნენ ჩვენი საქართველოს თავადისშვი-  
ლების პირველი ოჯახის შვილები. იმათ რიცხვში ერია  
განსვენებული, დედათ სქესებში ნაქები და განთქმული  
მანანა ორბელიანისა“. <sup>3)</sup>

<sup>1)</sup> ეს ცნობა ჩასწერა და გადმომცა პაპუნა წერეთელმა.


<sup>2)</sup> იხ. საქ. მუზ. პალეოგრ. განყ. (H ფონდის) № 155 ა.

<sup>3)</sup> იხ. უურ. „ცისკარი“ 1871 წ. № 1.

# სახალხო მხატვარი გ. ი. გაგაუვილი

1863—1936 წ.

გიგო გაბაშვილი დაიბადა 1863 წელს ქ. თბილისში, მამა მისი, ივანე გაბაშვილი თავის დროზე ლიტერატურის მოყვარული კაცი იყო, რომელიც მსახურობდა დეპუტატი ჰით საბჭოში მოხელედ. გიგოს დედა, რომელსაც ძალიან უყვარდა მხატვარი, იყო მთავარი სულის ჩამდგმელი იმისა, რომ გიგოს გალვიძებოდა მხატვრობისა და მისწრაფება-და სიყვარული. საშუალო განათლება გიგომ მიიღო ტფილისის რეალურ სასწავლებელში, რომელშიც იმ დროს ხატვას ასწავლიდა მხატვარი მალევიჩი. მალევიჩი, ამჩნევდა რა გიგოს მხატვრობისადმი მისწრაფების სურვილებს, ურჩევდა რომ მომავალ პროფესიად საბოლოოდ მხატვრობა გაეხადა. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაბაშვილი გატაცებული მხატვრობის შემდგომი გალრმავებით და შესწავლით, ემზადება პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში წასახლელიდ, რის შესახებაც თავისი აზრის ის უზიარებს თავისივე მეცნიერს, ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვარს, რომანოზ გველესიანს. მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობის გამო ვერ მოახერხა სასწავლებლის დამთავრებისთანავე გამგზავრებულიყო სამხატვრო აკადემიაში, სამი წელი დაპყო ტფილისში შეუდგა სახსრების შეგროვებას, რომ თავისი საბოლოო მიზანი სისრულეში მოყვანა. ამ ხანებში ტფილისში ახლად ჩამოსული იყო პეტერბურგიდან მხატვარი კეპპენი, რომელსაც უმეცნიერდება გიგო და მუშაობს მ-სივე ხელმძღვანელობით. კეპპენმა, პეტერბურგის აკადემიის პროფესორის, ბატალისტი ვილევალდეოს მოწავემ დიდი გავლენა მოახდინა გაბაშვილზე, როგორც მომავალ მხატვარზე, და სწორედ გიგოს შემოქმედების აღრინდელ პერიოდში ჩამოყალიბებული სახე ხელოვნებისა—ესაა კეპპენისაგან მისთვის დასახული შემოქმედებითი გზა, რომელსაც შემდგომ პერიოდებში აღრმავებს და ამახვილებს მომავალი მხატვარი გაბაშვილი. ამავე პერიოდში გაბაშვილი ეცნობა კიდევ მეორე ბატალისტ მხატვარ რუბოს, რომელიც იმ დროს ტფილისში მუშაობდა. რუბოსა და კეპპენის დამთავრებით გაბაშვილს ლებულობენ 1883 წელს პეტროგრადის სამხატვრო აკადემიაში პროფ. ვილევალდეს ბატალურ კლასში, მეტად მშიმე იყო გიგოსათვის აკადემიის პერიოდში პეტროგრადში ცხოვრება, მას უხდებოდა რამიდენიმე კილომეტრზე ყოველდღიურად სიარული ბინაზე. პირველ ხანებში მსუბუქი ტანსაცმლითაც დადის პეტერბურგის ნესტიან ჰავის პირობებში, ხოლო იმისათვის, რომ სააჩვებო წყარო ეშოვა იძულებული იყო დამით ემუშავნა სხვადასხვა უზრუნველყოს ნახატებს დასამშაცებლად (მაგ. უურნ. „ჩიხ“ და „ჩივა“). შიგხედავათ მთელი რიგი სიძნელეებისა, გაბაშვილი აკადემიაში შესკლისანავე უკვე იქცევს უზრადლების თავისი უნარიანობით ფერებისა და კომპოზიციის გემოვნების მხრივ. გაბაშვილი გარდა ვილევალდეს ბაზალურ ქლასისა, მუშაობს პროფ. ჩისტიაკვის ხელმძღვანელობით, რომელთანაც იმ დროს სწავლობდნენ ცნობილი რუსი მხატვრები არჩიპეკი, სეროვი და სხვა. აკადემიის დამთავრების წინა წელს, გაბაშვილს შეიქმნა შესრულებული გვლისა და დაერღმია სასახლის მხატ-



სახალხო მხატვარი გ. ი. გაგაუვილი

ბული სურათი „ცხენოსანი ქურთი“—დაჯილდოვებული იქნა ვერცხლის მედალით.

1888 წელს, გიგო ამთავრებს პეტერბურგის აკადემიის სადიპლომონ სურათით „ბაზარი ბაქოში“, რომელიც დაჯილდოვებული იქნა ვერცხლის მედალით და შეძენილი იქნა ტრეტიაკვის მიერ, ამას გარდა აკადემიის მიერ შეძენილი იქნა, როგორც სანიმუშონ ნაწარმოები, გიგოს მეორე შესრულებული ცხენის ეტიუდი.

აკადემიის დამთავრებისთანავე გაბაშვილი ბრუნდება საქართველოში.

გაბაშვილმა ერთი წლის ნაყოფიერი მუშაობის შედეგ 1889 წელს მოაწყო საკუთარი წამუშევრების პირველი გამოფენა. ქართული მხატვრობის ისტორიაში ეს მოვლენა უდიდესი ფაქტი იყო, იმიტომ, რომ ეს პირველი შემოხვევა იყო, როდესაც ქართველი მხატვარი წარსდგა საზოგადოების წინაშე თავისი შემოქმედების ნიმუშებით. გაბაშვილს — პირველს მოუხდა გაეწალდა მხატვრობის უკლისა გზს და დაერღმია სასახლის მხატ-

გრობის უძველესი ტრადიციები, მან პირველში აღიმაღლა  
ხმა ჩვენში მთატვრობის მოდუნებული ტემპერამენტის  
წინააღმდეგ.

გაბამვილი პირველი ქართველი ნოვატორი შხატა-  
გარი იყო, რომელიც მოეკლინა სიცოცხლის ყოველგვარ  
ნიშანწეალ მოქლებულ ქართულ მხატვრულ ცხოვრებას  
და საზოგადოების თვალში აამაღლა მხატვრის საპატიო  
წოდება. მე-18 და მე-19-ტე საუკუნის პირველი ნახევრის  
მხატვრობა, რომელიც გაყინულ წერტილზე იდგა, თავის  
შემოქმედებაში ტრადიციულ პორტრეტულ ჟანრს არ  
სცალდებოდა—ისიც საშუალო საუკუნეების ქართული  
მხატვრობის მეთოდოლოგიურ სალტერნაციის იყო მოქცეუ-  
ლი. მხატვრობა ამ პერიოდისა, სასახლის ან ბრძყინვა-  
ლე წოდების ყერმოქნილი მონა იყო, მას არ გააჩნდა  
არავითარი სამოქალაქო უფლებები; მეტად აღსანიშნა-  
ვია ის გარემოება, რომ ჩვენს ხელთ არსებული კოლექ-  
ცია მე-18 და მე 19 ს. 1-ლი ნახ. ქართული მხატვრო-  
ბისა—სულ „უცნობი“ ზეატვრების მიერაა შესრულებული.  
ვინ იყვნენ ეს „უცნობი“ ხელოვანები? ესენი უმთავრე-  
სად დაბალი წოდებიდან გამოსული ნიჭიერი ადამიანები  
იყნენ, რომლებიც თავიანთ ბატონების კარებზე ისხ-  
დნენ და ასრულებდნენ „ბრძყინვალე“ წოდების დაკვი-  
თებს. გაბაშვილმა გაიღაშქრა მხატვრობის ამ ტრა-  
დიციის წინააღმდეგ თავისი მრავალფეროვანი თემა-  
ტიკით, ტიპებით, პერიოდით და საყოფაცხოვრებო მო-  
ქმენტების ასახვით. ის ასპარეზზე გამოვიდა როგორც  
განახლებული ქართველი მხატვრების ლირსეული წარ-  
მომადგენელი.

პირველი საკუთარი გამოფენის შემდეგ 1900-იან  
წლებში, გაბაშვილი ხსნის სამხატვრო სტუდიას, რომელ-  
შიაც თავს უყრის ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდობას.  
ამ სტუდიაში სწავლობდნენ მხატვრები მომცემლიდე,  
გოგიაშვილი, აგალიახი, პიტახია, როინოვი და სხვები.  
აღნი შნულ პირთაგან დღეს არც ერთი მათგანი ცოც-  
ხალი არ არის. გაბაშვილსავე ეკუთვნის ინიციატივა,  
რა მლის მეშვეობითაც მხატვარი ალ. მრევლიშვილი  
პარიზს გაემგხავრა და იქიდან დაბრუნების შემდეგ  
ქართული მხატვრობის მდინარებას შეუტითდა. პირ-  
ველი საკუთარი გამოფენის შემდეგ გაბაშვილი არ-  
ჩეულ იქან „კავკასიის სახვითი ხელოვნების წამა-  
ლისებელ საზოგადოების“ დირექტორად. ამის შემდეგ  
გაბაშვილი დაუღალვად მუშაობს ახალი სურათების შე-  
საქმნელად და ექვთი წლის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ  
ის ექხადება საზღვარ-გარეთ წასაცვლელად, რათა თავისი  
მარცვლული კულტურა უფრო გააღრმავოს და გააღიდოს.  
ამ გარემოებას ხელი შეუწყო ერთმა ხელსაყრელმა  
შემთხვევამ; 1894 წელს, ჩიკაგოელი მილიარდერი  
და მოგზაური შარლ-კრენი, რომელსაც განსრახული  
ჰქონდა, დაეგროვებია კოლექცია სურათებისა კასპიის  
იქითა ქვეყნების ცხოვრებიდან, ჩამოდის ტეილისში და  
აძლევს მხატვარ გაბაშვილს შეკვეთას, რათა შეასრულოს  
28 სურათი კასპიის მხარის ქვეყნების ტიპების, ყოფა-  
ცხოვრების, ეტნოგრაფიისა და ბაზობის თემაზე,  
როსთვისაც მხ.ცვალს აძლევს სათანადო გასამრჯველოს  
წინასწარ. აღნიშნული დავალების შესრულების მიზნით  
კასპიის მხარის შესასწავლად გაბაშვილი მაშინვე მიემ-  
გზავრება ქ. სამარგანდმი და ბუხარაში, ამ პერიოდის  
მის ნამუშევრებს ეკუთვნის ორი სურათი და რამდენიმე  
ეტაჟი. დაბრუნებული ბუხარაზე, გაბაშვილი, მატე-  
რიალურად მომავრებული, ამავე წლის (1894 წ.) ნოვე-

ბერში მიემგზავრება მიუწენები. სამხატვრო მოთხოვნი-ლებათა შესრულების შემდეგ გაბაშვილი ჩარცელოւ, იქნა კომპოზიციის უფროს კლასში, ამის შემდეგ გაბაშვილის ეძღვება საშუალება ისარგებლოს უფასო აქტუალურობას. სადაც ის ამგზავნებს ნაწილობრივ ზარლ-კრენის დაკვეთება. საც. გაბაშვილი მუშაობას აწარმოებს ცნობილი პროექტორის ალ. ვაგნერის ხელმძღვანელობით. 1895 წელს, გაბაშვილი, გამოდის ო გამოფენებზედ, იქცევს უდიდეს ყურადღებას საზოგადოებისას თავისი ყოველმხრივი კანონმომიერების დაცვით შესრულებულ სურათებით. 1898 წელს, გაბაშვილი ამთავრებს აკადემიას, რისთვისაც მას აძლევენ ჯილდოს დიდ ვერცხლის მედალს, რომელიც ითვლებოდა უდიდეს ჯალდოთ აკადემიის დამთავრების დონის და რომელსაც სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იძლეოდნენ. აკადემიის დამთავრების შემდეგ გაბაშვილი მიემგზავრება საბერძნეთის განსაკვიფრებელ, ანტიურ სისველეთა და იტალიის წარსული კულტურის შესასწავლად—რის შემდეგაც 1899 წელს ის ბრუნდება საქართველოში. სამშენებლოში დაბრუნების შემდეგ 1900-იან წლებში ტფილისში ეწყობა დიდი სასოფლო-სამეურნეო გამოცენა, რომელზედაც გაბაშვილი განავებდა სამ განყოფილების, მათ შორის სამხატვრო განყოფილებასაც, რომელშიაც მონაწილეობდა კიდეც. საამოცენო კომიტეტის მიერ გაბაშვილი დაჯილდებულ იქნა ოქროს მედალით. მასევ პერიოდს ეკუთვნის ზემოდებული სტუდიის ჩამოყალიბება. სტუდია ადრე დახურა გაბაშვილმა, რის შემდეგაც მან ხელი მისკუ მხატვრობაზე მუშაობას და ყოველი წლის გამოშევებით მიემგზავრებოდა საზოგარ-გარეთ, ამ პერიოდში მას შემოვლილი აქვს საფრანგეთი, ინგლისი იტალია, შვეიცარია, გერმანია და აზიის ქვეყნები და მთელი კავკასია. საზღვაო გარეთ მოემუშრობის დროსვე ის მონაწილეობდა იქანონ სამხატვრო გამოცენებზეც.

ამის შემდეგ გაბაშვილი, როგორც უდიდესი კულტურის მქონე ხელოვანი ნაყოფერად მუშაობს მხატვრობის ფრონტზე და ქანის მთელ რიგ სურათებს გაბაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდი ნახევარ საუკუნეზე უფრო მეტ მანძილზეა გაშეული. გაბაშვილი თავისი შეთოვლობებით მოყლენათა კრიტიკის როლში არ გამოსულა და ის მთელი თავისი შემოქმედების 60 წლის მანძილზე დარჩა მოვლენათა უშუალო ამსახველად, ემპირიულ რეალისტურ მხატვრად. პეტერბურგის სამხატვრო აკადემია, რომელშიაც სწავლა მდა გაბაშვილი, თავისი მოდუნებული, დახასკებული ტრადიციებით ანტიური სიუკეტებით და მოდელებით გასაძინს არ აღლევდა მასში მოსწავლე პროგრესიულ ახალგაზრდობას და მხატვრობის განვითარებას სქოლასტიკურ სალტესავით გარს ერტყა. აკადემიაში გამეცებული წესები ვერ უჰასურებდნენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მხატვრობას უკენებდა რესეტის იმდროინდელი აღმაგა ლი ბურუუაზია.

6. ჩერნიშვილის ცნობილმა დისერტაციამ, „Эстетическое отношение искусства к действительности“—გამოქვეყნებულმა 1855 წელს, დიდი ჯვლენა მოახდინა მხატვრების ცხოვრებაზე. ჩერნიშვილის ესთოტიკამ უდიდესი გამოხმაურება პოვერა რესეტის ახალგაზრდა ბურუუაზის ფენებშიაც — რადგანაც ძველი ბატონებური ტრადიციები ამ ახალი კლასის უძიდვომ განვითარებას გზაზე ეროვნობდა და გასასანს არ აძლევდა. მე-70 წლებში, ჩერნიშვილის მოძღვრების საფუძველზე შექმნილი სამხატვრო ამხანაგობა „პეტერბურგის კერძო სამუშაოს“ თავიანთ შემოქმედებითი პრაქტიკაში ხალხოსნურ იდეალსაც კი არარეგისტრირდნენ.

გაბაშვილის შემოქმედებით მეთოდოლოგია გამომ-  
დინარეობს. სწორედ იმ პერიოდიდან, როდესაც პეტე 37

დეიქნიკების ხალხოსნური იდეოლოგია მოდუნდა და ხელი მიჰყო თვითმაყოფილებით ავსილ ბურჯუაზის გემოვნებათა დატკპობას.

მაშასადამე, ნაგიანებმა პერედვინიკულმა ტრადიციებმა გაბაშვილის შემოქმედებითი იდეოლოგიაზე იქნია უდაბი ზეგავლენა. მიუნხენის სკოლის გავლენაში მსატვარ გაბაშვილს მისცა საშუალება, რათა კიდევ უფრო გაელრმავებია მისი ტექნიკური დონე მხატვრობისა, მიუნხენის შემდგომ ნაშუშევლებში გაბაშვილს ეტყობა უფრო მეტი დახელოვნება, უფრო მეტი კანონზომიერება ფერების შეზავებაში, კომპოზიციურ კანონზომიერებასა და სხვაში. საზღვარ-გარეთის მუხეუმებრი ამჟაძად არსებული სურათები შესრულებულია მიუნხენის პერიოდის შეძლებ და განციფრებას იწვევენ ინახველთა შორის ფერების სიხალისით და ოსტატობით. ამავე პერიოდშია „შესრულებული გაბაშვილის „სამი მოქალაქე ტფილისა“ — რომელიც შესანიშნავი სურათია თავისი ბეჭებარე კოლორიტით. ამავე პერიოდს ეკუთვნის დე-როჩას პორტრეტი, რომელიც თვით გაბაშვილს თავის ნამუშევართა შორის ყველაზედ უფრო სრულმზილდ მიაჩნდა. ისტორიის ჩარხის ტრიალი თავისას იტახდა მაინც. გაბაშვილს, გარდა გვიანი პერიოდიკული ტრადიციებისა, ხანდახან გამოაჩინდებოდა ხოლმე რომასტიქით გაფლენთილი სულისკვეთება. საზღვარ-გარეთ მოგზაურობისათვის თავის დაწებების შეძლებ გაბაშვილი ხევსურეთის ყოფაცხოვრების ასახვას კიდებს ხელს და გატაცებულია ამ ხალხის თავისებურებებით. ამ პერიოდი მას აქვს სურათები, „მთვრალი ხევსური“, „სადარაჯოზედ“, „თავდასხმა სოფელ არგოთაზე“ და მთელი რიგი სურათები. სურათი „სადარაჯოზედ“ გაბაშვილს უდიდესი ვირტუოზობით აქვს გადმოცემული მთიულეთის ფერადივანი და ჰაეროვანი ბუნება. სადღაუ—შორს, ასეული კილომეტრის მანძილზედ მოსჩანს შენისლული კავკასიონის მთაგრეხილები, ვინ მოსთვლის ეს მწვერვალები რამდენჯერ განათებულა მზის ცხოველძყოფელ სხივებით, რაძებჯერ შენისლულა და რაძებჯერ კექა-ქუხილს გაუყრიცებია. აი, ამ ბუქებრაზ მთების ფონზე მოძიბინე მდელოზე სდგანან ხევსური, იარაღში მჯდარნი და ვაუკაცური გამომეტკველებით ელოდებიან მტრებს, რომ სამზობლოსათვის სისხლიც დაღვარონ! ა ამ სურათში გამოსცეივის უდიდესი სიყვარული სამზობლოსი და რომასტიული განწყობილება.

უდიდესი სრულყოფითაა შექმნილი გაბაშვილის მიერ სერია სურათებისა — „სამარყაბდის ბაზარი“ (რამდენიმე ვარიანტი). მხის გახურებულ, მხევლეტავ სხივების მიერ დაცრიოლული, გახურებული მხარე სამარყაბდი, რომელსააც სიძხურვალის ბული ასდის, გადმოცემულია შუა აზიის ტიპები და ბათი ეთნოგრაფიული თავისებულებანი. გაბაშვილს მთელი თავისი შეძლებებითი პერიოდში ორი ათასზედ მეტი სურათი შეუქმნია, აქედან ბევრი უცხოეთის მუხეუმებრი განახეული, ერთი მხოლო თვით უცხოელი მოგზაურები და კონსულები უშუალოდ გაბაშვილისაგან ყიდულობდენ, ხოლო მეორეს მხრივ ყიდუ-

